CMYK - 1

www.24saati.ge

# 24 საათი

The New York Times
International Weekly
ყოველ სამშაბათს

© გაზეთი 24 საათი | ოთხშაბათი 15 აპრილი, 2009 წელი. №83 (2121) | ფასი 50 ლარი

"24 საათის" ფიფქიანი ნომერი
*2424

ოპოზიციის მარცხი

A8



სომალის სანაპიროსთან მეკობრული ავანტიურა გრძელდება

A8



"დინამო" "დუბლს" უმიზნებს

A13



# ვაშინგტონიდან გზავნილი უცვლელია

დიმიტრი ავალიანი

*აშშ-ს პოზიცია საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობასთან და სუვერენიტეტთან დაკავშირებით შეუვალი რჩება. ეს საქრთველოს საგარეო საქმეთა მინისტრისა და აშშ-ს სახელმწიფო მდივნის შეხვედრაზე კიდევ ერთხელ დადასტურდა. გარდა ამისა, აშშ-საქართველოს სტრატეგიული პარტნიორობა ღრმავდება - მხარეები შესაბამის გეგმაზე მუშაობენ. იმის შესახებ, რომ ობამას ადმინისტრაცია საქართველოს საკითხში პოზიციას არ შეიცვლის, ამერიკელი ექსპერტებიც საუბრობენ.*

**ძალიან კარგად ჩაიარა,** - ასე შეაფასა 24 საათთან სატელეფონო საუბრისას საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა გრიგოლ ვაშაძემ შეხვედრა აშშ-ს სახელმწიფო მდივანთან ჰილარი კლინტონთან, რომელიც თბილისის დროით გუშინ შუადღამისას შედგა.

გაგრძელება A3 გვერდზე



*ჰილარი კლინტონისა და გრიგოლ ვაშაძის პირველი შეხვედრა ბრიუსელში.*

AFP ' 2009

## პროტესტის მესამე კერა

დათო გამისონია

გუშინ რუსთაველის გამზირზე მყოფ დემონსტრანტებს შალვა ნათელაშვილი შეუერთდა, თუმცა ლეიბორისტების ლიდერი ტრიბუნაზე არ ასულა და შეკრებილ ხალხთან გასაუბრებით შემოიფარგლა. მალე პარლამენტის შენობის წინ განთავსებულ სცენაზე ოპოზიციის სხვა ლიდერები გამოჩნდნენ. ალიანსი საქართველოსთვის თანათავმჯდომარემ დავით გამყრელიძემ შეკრებილ ხალხს პროტესტის გამოხატვის ახალი გეგმები გააცნო. ამჯერადაც, კონსერვატორებს, ხალხის პარტიას და მოძრაობა ერთიანი საქართველოსთვის მანიფესტაციის გამართვა ავლაბარში, პრეზიდენტის ადმინისტრაციასთან ერგოთ. საქართველოს გზა და ალიანსი თავისუფლებისთვის კვლავ რუსთაველის გამზირზე დარჩნენ, ხოლო ლევან გაჩეჩილაძე და ალიანსი საქართველოსთვის წევრები უნივერსიტეტის პირველი კორპუსისკენ გაემართნენ. მას შემდეგ, რაც დავით გამყრელიძემ მშვიდობიან მანიფესტანტებს ოპოზიციის გეგმა გააცნო, აღნიშნა, რომ 14 აპრილს უნივერსიტეტთან მიტინგის გამართვას სიმბოლური დატვირთვა აქვს. **31 წლის წინათ, 14 აპრილს ჩვენმა უფროსმა თაობამ თავისი სიმტკიცითა და გამბედაობით გადაგვირჩინა ქართული ენა და პრაქტიკულად ჩვენი იდენტობა. საქართველოში დღესაც ბევრი რამ არის გადასარჩენი და ამიტომ საჭიროა, რომ დღეს კიდევ უფრო მწვავე, მაგრამ მშვიდობიანი პროტესტი გამოვხატოთ,** - განაცხადა გამყრელიძემ.

უნივერსიტეტის პირველი კორპუსის ეზო სარემონტო სამუშაოების გამო ჩაკეტილი იყო და ამიტომ ოპოზიციის ლიდერებმა მომიტინგეებს მეორე კორპუსის კიბეებიდან მიმართეს. სიტყვით გამოვიდნენ ირაკლი ალასანია, ნინო ბურჯანაძე, ლევან გაჩეჩილაძე, პოლიტიკური ოპოზიციის სხვა წარმომადგენლები, ასევე პროფესორ-მასწავლებლები და სტუდენტები. **მე აქ ვისწავლე ჩემი ქვეყნის ისტორია და აქ ჩამოვყალიბდი ჩემი ქვეყნის მოქალაქედ. მიხარია, რომ ძველ და ახალ თაობებს შორის ჰარმონია აღდგა. როგორც ჩანს, ხელისუფლება ხელოვნურად ცდილობდა, გაეთიშა თაობები და დისჰარმონია შეეტანა მათ შორის. დღეს დედაენის დღეა და იმედი მქონდა, რომ ახლა მაინც გაიგონებდა ხელისუფალი ქართველი ხალხის ენას.**

გაგრძელება A2 გვერდზე

## ჩვენ საყმაწვილო ასაკიდან გამოვედით

### ხელისუფლება მხარდამჭერთა მიტინგის ჩატარებას გამორიცხავს

ვერიკო თევზაძე

*ოპოზიციურ წრეებში გავრცელდა ხმები იმის შესახებ, თითქოს ხელისუფლება მხარდამჭერთა აქციის მოწყობას აპირებს. საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენლები ამ ინფორმაციას კატეგორიულად უარყოფენ.*

ევროინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე დავით დარჩიაშვილი მიზანშეწონილად არ მიიჩნევს, რომ საზოგადოების ორ ნაწილს შორის დაპირისპირება მიტინგების ფორმით მოხდეს. **შეუძლებელია, 90-იანი წლების დასაწყისში დავბრუნდეთ,** - შენიშნავს დარჩიაშვილი.

როგორც 24 საათს დავით დარჩიაშვილმა განუცხადა, მოსაზრება მხარდამჭერთა მიტინგის მოწყობის შესახებ პრეზიდენტის მხარდამჭერებისგან ხშირად გამოითქმის. თუმცა თავად პარლამენტარი ასეთ ნაბიჯს გამართლებულად არ მიიჩნევს.

**უბრალოდ, ყველას უნდა ესმოდეს, რომ ამ ქვეყანაში განსხვავებული მოსაზრებების ადამიანები არიან. აქედან გამომდინარე, ლიდერებმაც და მათმა მხარდამჭერებმაც დროზე უნდა იფიქრონ დიალოგზე,** - ასეთია საპარლამენტო უმრავლეობის წარმომადგენლის პოზიცია.

პარლამენტის ვიცე-სპიკერი გიგი წერეთელი დარწმუნებულია, რომ პრეზიდენტსაც და ხელისუფლებასაც უამრავი მხარდამჭერი ჰყავს. **იმ ფონზე, როცა ვითარება დაძაბულია, ხშირად გაისმის პრეზიდენტის გადაყენების ლოზუნგები, ასევე არაეთიკური გამოსვლებიც. ჩემი აზრით, საზოგადოების დიდი ნაწილი, მათ შორის, ხელისუფლების მხარდამჭერები, ღიზიანდებიან. აქედან გამომდინარე, ასეთი სურვილები და ინიციატივები შეიძლება არსებობდეს. მიუხედავად ამისა, მკაფიოდ მინდა ვთქვა: ხელისუფლებას მიტინგის მოწყობის საკითხი დღის წესრიგში არასდროს დაუყენებია.**

გაგრძელება A2 გვერდზე

24 საათი
"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე
www.24saati.ge
ჩვენი პარტნიორები:
თიბისი ბანკი TBC BANK
ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს
GRDC group
ჯი პი აი
ვენის სადაზღვევო ჯგუფი

CMYK - 1

# პროტესტის მესამე კერა

პირველი გვერდიდან



**რადგან ეს ასე არ არის, ჩვენ მტკიცედ დავდგებით და გავაგრძელებთ მშვიდობიან ბრძოლას,** - აღნიშნა ირაკლი ალასანიამ. ნინო ბურჯანაძემ უნივერსიტეტში ლექტორად მუშაობის პერიოდი გაიხსენა და დასძინა, რომ უნივერსიტეტის მიმართ ხელისუფლების პოლიტიკა არასწორი იყო. ერთსაათიანი შეკრების შემდეგ მომიტინგეებს ლევან გაჩეჩილაძემ მოუწოდა, 1 არხის შენობისკენ დაძრულიყვნენ. პოლიტიკური ოპოზიციის ლიდერთა გადაწყვეტილებით, საზოგადოებრივ მაუწყებელთან შეიქმნება პროტესტის მესამე ცენტრი.

აქცია საზოგადოებრივი მაუწყებლისკენ დაიძრა. რამდენიმე ათასი დემონსტრანტი კოსტავას ქუჩაზე პრეზიდენტ სააკაშვილს თანამდებობიდან წასვლისკენ მოუწოდებდა. აპრილის საპროტესტო აქციის დაწყების შემდეგ პირველად მანიფესტანტებს მიმართა ლევან ბერძენიშვილმა, რომელიც ჯანმრთელობის პრობლემების გამო მიტინგის პირველ დღეებში საქართველოში არ იმყოფებოდა. **ხელისუფლებამ არ იცის, რას აკეთებს და საჭიროა ძალა, რომელიც მას არსებულ ვითარებას დაანახებს. პრეზიდენტმა ახლახანს განაცხადა, რომ დასავლეთმა მას უღალატა. აქედან გამომდინარე, არ გამოვრიცხავ, სააკაშვილმა დასავლეთისთვის მისაღები გადაწყვეტილება ველარ მიიღო და შესაძლოა ძალიან მტკივნეული გადაწყვეტილება მიიღოს,** - განაცხადა ბერძენიშვილმა.

1 არხის შენობასთან მომიტინგეებს ოპოზიციონერმა ლიდერებმა მიმართეს. ამის შემდეგ აქტივისტების ორგანიზებით დემონსტრანტებმა რამდენიმე იმპროვიზებული საკანი პირდაპირ კოსტავას ქუჩაზე დადგეს. საზოგადოებრივი მაუწყებლის შენობის წინ გაშლილ რკინისჩარჩოებიან საკნებს თოკებით გაკეთებული გისოსები აქვს. დაახლოებით, 2 მეტრის სიმაღლის თითოეულ საკანს საიდენტიფიკაციო ნომრები აწერია. მოქალაქეები, პოლიტიკოსები და საზოგადოებისთვის ცნობილი ადამიანები კარვებში დარჩენას 24 საათის განმავლობაში, მორიგეობით აპირებენ. პარალელურად, პროტესტის გამოხატვა გაგრძელდება პარლამენტის შენობასთან და პრეზიდენტის ავლაბრის რეზიდენციასთან.

# ჩვენ საყმაწვილო ასაკიდან გამოვედით

პირველი გვერდიდან

**მსგავსი ტიპის ინიციატივა კიდევ უფრო გააღრმავებს დაპირისპირებას. გარანტიას გაძლევთ, რომ მსგავსი რამ არ მოხდება,** - განუცხადა 24 საათს გიგი წერეთელმა.

**ჩვენ საყმაწვილო ასაკიდან გამოვედით,** - ასეთია სახელისუფლებო გუნდის ერთ-ერთი ლიდერის, პარლამენტის ვიცე-სპიკერ მიხეილ მაჭავარიანის კომენტარი. იგი კატეგორიულად გამორიცხავს ხელისუფლების მხრიდან მხარდამჭერთა მიტინგის ორგანიზებას. მაჭავარიანის შეფასებით, თავად ოპოზიცია არის დაინტერესებული **მგავსი ნიუსები შექმნას.** როგორც 24 საათს მიხეილ მაჭავარიანმა განუცხადა, **როგორც ჩანს, ოპოზიციას თემები შემოელია და ახლა დეზინფორმაციას ავრცელებს.**

მიხეილ მაჭავარიანი იხსენებს შევარდნაძის რეჟიმს, როცა ხელისუფლება ქუჩაში გამოსულ ოპოზიციას თავის მხარდამჭერთა გამოსვლებით უპირისპირდებოდა. **ჩვენგან მგავსი ნაბიჯები გამორიცხულია,** - განაცხადა მაჭავარიანმა.

**საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის წევრობის კანდიდატთა შესარჩევ ღია კონკურსში მონაწილე პირთა სია**

| N | გვარი, სახელი | სამუშაო ადგილი, თანამდებობა |
|---|---|---|
| 1 | ჩიქოვანი ირაკლი | ტელეკომპანია „რუსთავი2“, გენერალური დირექტორი |
| 2 | ხარებავა მაგდანა | საქართველოს სასჯელაღსულების პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს ეკონომიკურ დეპარტამენტი, მრჩეველი |
| 3 | კირვალიძე კონსტანტინე | საქართველოს პარლამენტის რეგიონული პოლიტიკის, თვითმმართველობის და მაღალმთიანი რეგიონების კომიტეტი, მთავარი სპეციალისტი |
| 4 | ტუხაშვილი თეიმურაზ | შპს „ეკოჯორჯია“, ავტოგასამართი სადგურის მენეჯერი |
| 5 | ჩიხრაძე მარიამ | ბუღალტერი |

# წარმატებული პროექტი

გერმანიის მთავრობასა და თბილისის N52 საჯარო სკოლას შორის განხორციელდა გაცვლითი პროგრამა, რომელიც გერმანული ენის სწავლებას ითვალისწინებს.

N52 საჯარო სკოლაში გერმანული ენა მეორე კლასიდან ისწავლება. უცხო ენის ყოველდღიურმა სწავლებამ ძალიან კარგი შედეგი გამოიღო და შესაბამისად აღნიშნული სკოლა გერმანული მთავრობის პარტნიორი სკოლა გახდა.

სექტემბრიდან N52 საჯარო სკოლაში მიმდინარეობს დამატებითი მეცადინეობები.

სპეციალურად ამ პროექტისთვის გერმანიიდან ჩამოსული პედაგოგები ატარებენ გაკვეთილებს და მოსწავლეებთან ერთად ქალაქის ღირშესანიშნაობებს ათვალიერებენ. სკოლის პედაგოგების განცხადებით, გერმანულ ენაზე ურთიერთობა სწავლების თვალსაზრისით დიდ როლს თამაშობს. აქედან გამომდინარე, სკოლის მოსწავლეების უმრავლესობამ საკმაოდ კარგად იცის გერმანული ენა.

როგორც 24 საათთან საუბრისას 52-ე საჯარო სკოლის დირექტორმა პაატა ბერიკაშვილმა აღნიშნა, გერმანული ენის ბაზის საფუძველზე დაიწყო მოსწავლეების გაცვლა. მერვე, მეცხრე, მეათე და მეთერთმეტე კლასის მოსწავლეები გერმანიაში ენის შემსწავლელ კურსებზე მიემგზავრებიან. **თავდაპირველად, როდესაც პროექტის განხორციელება დავიწყეთ, გერმანიიდან ერთი პედაგოგი ჩამოვიდა. დღეს უკვე, პროექტის ფარგლებში, ენას, სკოლის გერმანული ენის პედაგოგებთან ერთად, გერმანიიდან ჩამოსული სამი პედაგოგი ასწავლის. ჩვენს სკოლაში გერმანული ენის ყოველდღიურმა სწავლებამ ძალიან კარგი შედეგი გამოიღო. შესაბამისად, გერმანიიდან ჩამოსული პედაგოგები კმაყოფილები არიან. რაც შეეხება გერმანიაში სასწავლებლად წასვლას, ეს მოხდება ცოდნის ხარისხის საფუძველზე. ხოლო თუ გერმანიაში გამგზავრებული მოსწავლე ენის შემსწავლელ კურსებზე პირველი ხარისხის დიპლომს აიღებს, მას საშუალება მიეცემა, უფასოდ გააგრძელოს სწავლა გერმანიის უნივერსიტეტში,** - აცხადებს პაატა ბერიკაშვილი.

ამიერკავკასიაში გერმანული ენის კოორდინატორ-კონსულტანტ კერსტინ შეფლერის განცხადებით, აღნიშნული პროექტის წარმატებით განხორციელებაში უდიდესი წვლილი მიუძღვის N52 საჯარო სკოლის დირექტორ პაატა ბერიკაშვილს. **ის, რომ 52-ე საჯარო სკოლაში გერმანული ენის შესწავლა წარმატებით მიმდინარეობს, ბატონი პაატა ბერიკაშვილის დამსახურებაა. სკოლის ინიციატივით მოხდა შეთანხმება გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროსთან. 52-ე საჯარო სკოლა ცოდნის ხარისხის საფუძველზე შეირჩა. დღეს სკოლაში აღნიშნული პროექტი ძალიან წარმატებით ხორციელდება. სწორედ ამ სკოლის მოსწავლეებისთვის გერმანიის მთავრობა ერთთვიან სტიპენდიას გამოყოფს და მოსწავლეებს შესაძლებლობა ექნებათ, სკოლაში მიღებული გერმანული ენის ცოდნა გერმანიაში გაიღრმავონ,** - აღნიშნა კერსტინ შეფლერმა.

გერმანული ენის გაცვლითი პროექტი საქართველოში 1994 წლიდან ხორციელდება. გერმანიაში გერმანული ენის კურსები 400 ქართველმა მოსწავლემ წარმატებით დაამთავრა. დღეისთვის მათი ერთი მესამედი გერმანიის სხვადასხვა უნივერსიტეტებში წარმატებით აგრძელებს უფასო უმაღლესი განათლების მიღებას.

**საკუთარი ინფორმაცია**

**გაზეთ "24 საათის" გამომცემელი შპს "მვპ". რედაქტორ-გამომცემლები:** მამუკა ფაჩუაშვილი, პაატა ვეშაპიძე.
**რედაქცია:** სოფიკო ჩხაიძე (მთავარი რედაქტორი), ლევან ღირსიაშვილი (მმართველი რედაქტორი). რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (საზოგადოება,Weekend), ინგა ალავიძე (სამართალი), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), სოფო კილასონია (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი). **რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი** ირაკლი ლეჟავა ტელ: 899 22 09 49. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), ირმა ჯიშკარიანი, დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი
**რედაქციის მისამართი: თბილისი, 01-86. ირაკლი გამრეკელის ქ.51. ტელ: 20-24-24, 31-91-03 (06, 07), 31-93-90 (91). ფაქსი: 31-93-86. ელ-ფოსტა: public@24hours.ge**

# ვაშინგტონიდან გზავნილი უცვლელია

პირველი გვერდიდან

მისი თქმით, **სახელმწიფო მდივანმა შეხვედრა დაიწყო განცხადებით იმის შესახებ, რომ აშშ არასდროს შეიცვლის თავის პოზიციას საქართველოს ტერტორიული მთლიანობის, დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის მხარდაჭერის თაობაზე და ასევე მხარს უჭერს საქართველოს უფლებას, თავად აირჩიოს საკუთარი გზა.**

გარდა ამისა, საქარათველოს საგარეო საქმეთა მინისტრის თქმით, შეხვედრაზე ჰილარი კლინტონმა აღნიშნა, რომ აშშ-მ და მთელმა ცივილიზებულმა სამყარომ შენიშნა ის ცივილური დამოკიდებულება, რაც საქართველოს ხელისუფლებამ და საზოგადოებამ გამოიჩინეს თბილისში მიმდინარე საპროტესტო აქციების დროს.

ვაშაძის განცხადებით, აშშ-ს სახელმწიფო მდივანთან შეხვედრაზე განიხილეს ოკუპირებული ტერიტორიების, ჟენევის მოლაპარაკებების, საქართველოში გაერო-ს და ეუთო-ს მისიების საქმიანობის საკითხები.

გარდა ამისა, გრიგოლ ვაშაძემ და ჰილარი კლინტონმა იმსჯელეს ორ ქვეყანას შორის დადებული სტრატეგიული პარტნიორობის ქარტიის სამოქმედო გეგმად გადაქცევის შესახებ.

იმის თაობაზე, რომ აშშ-სა და საქართველოს შორის გაფორმებული სტრატეგიული პარტნიორობის ქარტიის განხორციელებისთვის უახლოეს პერიოდში უმაღლესი დონის ორმხრივი სამთავრობო კომისია შეიქმნება, გუშინ საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმაც განაცხადა. მან კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი ბარაკ ობამას დამოკიდებულებას გასული წლის აგვისტოს ომის მიმართ. **ობამას არ უსაუბრია ძალის გადამეტებაზე, არასწორ პასუხზე ან არათანაზომად მოქმედებებზე; მან პირდაპირ თქვა - ეს იყო შეჭრა სხვა ქვეყანაში,** - აღნიშნა მიხეილ სააკაშვილმა.

საქართველო და აშშ სტრატეგიულ პარტნიორებად რჩებიან, გრძელდება ბუშის ადმინისტრაციის პერიოდში ხელმოწერილ საკითხებზე თანამშრომლობა და ამ ურთიერთობას წინსვლა ეტყობა, - განაცხადა გუშინ საქართველოში აშშ-ს ელჩმა ჯონ ტეფტმა. მისი თქმით, ვაშაძისა და კლინტონის შეხვედრა **კარგი შესაძლებლობაა, რომ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა და აშშ-ს სახელმწიფო მდივანმა ისაუბრონ სხვადასხვა პრობლემატურ საკითხებზე.**

**ბრიუსელში მათ უკვე ჰქონდათ შესაძლებლობა, მცირე ხნით შეხვედროდნენ ერთმანეთს და ესაუბრათ როგორც კონფლიქტების, ისე ჟენევის მოლაპარაკებების შესახებ,"** - დასძინა ჯონ ტეფტმა.

იმის შესახებ, რომ ობამას ადმინისტრაცია არ ცვლის პოზიციას საქართველოს მიმართ, გუშინ რუსულ სააგენტო რია-ნოვოსტისთან საუბრისას ამერიკელმა ექსპერტმა, კოლუმბიის უნივერსიტეტის პროფესორმა, აშშ-ს ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის ყოფილმა წარმომადგენელმა საქართველოში ლინკოლნ მიტჩელმაც განაცხადა.

მისი თქმით, **ის, რაც განაცხადა პრეზიდენტმა ობამამ, არ მგონია, დიდად განსხვავდებოდეს იმისგან, რასაც იტყოდნენ პრეზიდენტი ბუში ან პრეზიდენტი მაკკეინი. ობამა ისევე უჭერს მხარს საქართველოს, მის სუვერენიტეტს, როგორც მისი წინამორბედი .**

მან აღნიშნა, რომ აშშ-სთვის რუსეთთან ურთიერთობას დიდი მნიშვნელობა აქვს, ეს ობამა-მედვედევის შეხვედრამაც დაადასტურა. თუმცა, მეორე მხრივ, **რუსეთის მხრიდან აგრესია პასუხგაუცემელი არ უნდა დარჩეს .**

ამერიკელმა ექსპერტმა აღნიშნა, რომ რუსეთის მხრიდან საქართველოს წინააღმდეგ აგრესიის განახლება **ძალიან დიდი შეცდომა იქნებოდა... ამით რუსეთი დასავლეთს აჩვენებს თავს, როგორც აგრესიული იმპერიული სახელმწიფო... ჩვენს ქვეყნებს შორის ურთიერთობების აღდგენას ეს დიდ საშიშროებას შეუქმნის.**

# ფონი დიალოგისთვის და ახალი ინიციატივა

გიორგი ასანიშვილი

## პრეზიდენტი

პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების საკითხს გუშინ კიდევ ერთხელ დაუბრუნდა. სააკაშვილის განცხადებით, ამჟამად საქართველოს მთლიანი ოკუპაციის საფრთხე არ არსებობს. ამის არგუმენტად პრეზიდენტი იმ გარემოებას ასახელებს, რომ რუსეთის სამხედრო ძალების კონცენტრაცია საქართველოს ფარგლებს შიგნით და ფარგლებს გარეთ აღემატება იმას, რაც გასული წლის აგვისტოში იყო.

**მე ვფიქრობ, რომ ახლა არ არსებობს ხელსაყრელი სიტუაცია ფართომასშტაბიანი სამხედრო ავანტიურის განსახორციელებლად. ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ეს ყველაფერი შესაძლო შიდა არეულობაზე იყო გათვლილი. არადა, როგორც ბოლო დღეების მოვლენებმა გვაჩვენა, რა ფულიც არ უნდა დაიხარჯოს და რაც არ უნდა ქნან, საქართველო სტაბილური ქვეყანაა და მასში სერიოზული არეულობის შეტანა შეუძლებელია. მეორე მხრივ, საქართველოს დღეს ბევრად მეტი საერთაშორისო მხარდაჭერა აქვს, ვიდრე გასული წლის აგვისტოში. ახლა დღის წესრიგში საქართველოს სრული დეოკუპაციის საკითხი უნდა დადგეს,"** - აღნიშნავს მიხეილ სააკაშვილი.

პრეზიდენტი ოფიციალური მოსკოვის იმ განცხადებასაც ეხმაურება, რომლის მიხედვითაც, თუ თბილისში ხელისუფლება შეიცვლება, რუსეთს საქართველოსთან კარგი ურთიერთობა ექნება. სააკაშვილის განმარტებით, ამ შემთხვევაში რუსეთი, საქართველოზე საუბრისას, ქართლ-კახეთ-იმერეთს გულისხმობს და არა ერთიან საქართველოს, ფსოუს და როკის გვირაბის ჩათვლით.

**ჩვენი ამოცანაა, რუსეთთან მოვამზადოთ ნამდვილი დიალოგი, გავიმაგროთ საერთაშორისო პოზიციები, მოვახდინოთ ინტეგრაცია ევროატლანტიკურ სტრუქტურებში და ახლა ამის უნიკალური შანსი არსებობს. უნდა გავაძლიეროთ ჩვენი ეკონომიკა, დარწმუნდეს რუსეთი, რომ საქართველოში შიდა არეულობის გარედან მოწყობა შეუძლებელია,"** - აღნიშნავს პრეზიდენტი სააკაშვილი.

ქვეყანაში არსებულ ვითარებაზე კომენტარი მიხეილ სააკაშვილს გუშინ არ გაუკეთებია. ამ საკითხზე ჟურნალისტებს საქართველოს სახელმწიფო მინისტრი ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში გიორგი ბარამიძე ესაუბრა.

**ოპოზიციასა და ხელისუფლებას შორის შეიძლება შედგეს დიალოგი ნებისმიერ საკითხზე, გარდა პრეზიდენტის გადადგომის მოთხოვნისა,** - აცხადებს ბარამიძე. მისი აზრით, პრეზიდენტის გადადგომის მოთხოვნა დღეს არასერიოზული და არსებული ვითარების არაადეკვატურია, რადგან საქართველო რუსეთთან, ფაქტობრივად, ომის მდგომარეობაში იმყოფება და მის მიერ არის ოკუპირებული.

კიდევ ერთ არგუმენტად იმისა, თუ რატომ არ უნდა გადადგეს მიხეილ სააკაშვილი, ბარამიძე იმ გარემოებას ასახელებს, რომ თბილისიდან 40 კილომეტრის დაშორებით რუსული ტექნიკა დგას, რომლის რაოდენობაც დღითიდღე იზრდება.

**ასეთ პირობებში უმაღლესი მთავარსარდლის გადადგომის მოთხოვნა არ წაადგება ქვეყნის უსაფრთხოებას,** - დასძენს სახელმწიფო მინისტრი.

მისივე განცხადებით, ყველა დანარჩენ საკითხზე, რომელსაც ოპოზიცია ასახელებს, მოლაპარაკება შეიძლება.

## საპარლამენტო უმცირესობა

ამ ყველა დანარჩენი საკითხის ერთად თავმოყრას ცდილობს საპარალმენტო უმცირესობის ლიდერი გიორგი თარგამაძე, რომელიც ხელისუფლებას და არასაპარლამენტო ოპოზიციას ახალ ინიციატივას სთავაზობს. მისი თქმით, არსებული პოლიტიკური კრიზისის განმუხტვის, მხარეებს შორის ნდობის გაჩენისა და დიალოგისთვის აუცილებელი წინაპირობების შექმნის მიზნით აუცილებელია რამდენიმე ნაბიჯის გადადგმა.

კერძოდ, საჭიროა: **გადადგნენ უზენაესი სასამართლოსა და ცესკო-ს თავმჯდომარეები, ტელეკომპანია იმედი დაუბრუნდეს მის კანონიერ მფლობელს, გაიცეს სატელიტური მაუწყებლობის ლიცენზია ტელეკომპანია მაესტროსთვის , მოხდეს საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს თვითდათხოვნა, შეირჩეს დამოუკიდებელი ექსპერტებისგან შემდგარი ჯგუფი, რომელიც მეურვეობას გაუწევს ტელეკომპანიების მიერ მოვლენების ობიექტურად გაშუქებას და ჩამოყალიბდეს ძალოვანი სტრუქტურების მონიტორინგის ჯგუფი, რომელიც საპროტესტო აქციების დროს პოლიციის წინააღმდეგ შესულ საჩივრებს განიხილავს.**

ქრისტიან-დემოკრატების ლიდერის ინიციატივას სახელისუფლებო გუნდი არაერთმნიშვნელოვნად შეხვდა.

საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენელი დავით დარჩიაშვილი მიიჩნევს, რომ გიორგი თარგამაძის შეთავაზებები აცდენილია ძირითად თემატიკას და ითვალისწინებს ისეთი ინსტიტუტების (სასამართლო, კერძო სტრუქტურები) საქმიანობაში ჩარევას, რომელშიც არც ხელისუფლება და არც პოლიტიკური პარტიები არ უნდა ერეოდნენ.

**ეს არ არის დიალოგის შეთავაზება. ეს უფრო ულტიმატუმია. დიალოგი შეიძლება წარიმართოს კონსტიტუციის ფარგლებში, რომელიც, თავის მხრივ, გადახედვას საჭიროებს,** - მიაჩნია ევროპასთან ინტეგრაციის საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარეს.

მმართველი გუნდის სხვა წევრებს განსხვავებული მოსაზრება აქვთ.

**ვიდრე ხელისუფლებასა და ოპიზიციას შორის დიალოგი დაიწყება, შეიძლება, წამოიწიოს ნებისმიერმა საკითხმა, მათ შორის არარეალურმაც კი, თუმცა ეს არ იქნება წარმოებული დიალოგის საბოლოო შედეგი. მხოლოდ მოლაპარაკებების გზით მივაღწევთ ისეთ შედეგს, რომელიც ქვეყანას ნორმალური განვითარების საშუალებას მისცემს,"** - აცხადებს ეკონომიკური განვითარების მინისტრი ლაშა ჟვანია.

## არასაპარლამენტო ოპოზიცია

არასაპარლამენტო ოპოზიცია კი, როგორც მოსალოდნელი იყო, გიორგი თარგამაძის შეთავაზებას მკვეთრად უარყოფითად შეხვდა. ალიანსი საქართველოსთვის წევრი მამუკა კაციტაძე ქრისტიან-დემოკრატების ლიდერის ინიციატივას პოლიტიკურად არაკორექტულს უწოდებს. იგი მიიჩნევს, რომ თარგამაძის ინიციატივაში არაფერია ნათქვამი იმ ძირითად თემაზე, რომელიც ოპოზიციისთვის პირველხარისხოვანია და რიგგარეშე არჩევნების დანიშვნას გულისხმობს.

**ის, რაზეც თარგამაძე საუბრობს, არის მეორე სერია. ოპოზიციის ძირითადი თემა კი საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნებია. როდესაც ოპოზიციის წარმომადგენელი თავის ინიციატივაში ამას არ ახსენებს, ეს, რბილად რომ ვთქვათ, კორექტული არ არის,** - აცხადებს დავით გამყრელიძის თანაპარტიელი.

ანალოგიური პოზიცია აქვთ კონსერვატორებსაც". ზვიად ძიძიგურის თქმით, ოპოზიცია თარგამაძის მიერ დასახელებული მოთხოვნების შესრულების წინააღმდეგი არ არის, მაგრამ ისინი ძირითად მოთხოვნას ვერ შეცვლიან და გადაფარავენ.

თარგამაძის ინიციატივამ ვერც რესპუბლიკელებში ჰპოვა მხარდაჭერა. დავით უსუფაშვილის შეფასებით, ქრისტიან-დემოკრატების" ინიციატივას არანაირი დიალოგი არ სჭირდება. მისი თქმით, კარგი იქნება, თუ თარგამაძის მიერ დასახელებული საკითხები მიხეილ სააკაშვილის გადადგომამდე შესრულდება, თუ არადა პრეზიდენტის გადაყენების შემდეგ ეს პრობლემები მაინც მოგვარდება.

საპარლამენტო უმცირესობის ლიდერის პოზიციას არც პარლამენტის ექს-სპიკერი იზიარებს.

**ცვლილება პრეზიდენტიდან უნდა დაიწყოს. ამ ცვლილებას მოჰყვება სისტემისა და ცალკეული ადამიანების შეცვლა. ჩვენ კი არ შევწყვეტთ ბრძოლას მანამ, სანამ ამ მიზანს არ მივაღწევთ,** - აღნიშნავს ნინო ბურჯანაძე.

კიდევ უფრო მკაცრი ტონი აქვს საქართველოს გზის ლიდერ სალომე ზურაბიშვილს.

**გიორგი თარგამაძის ინიციატივებს არანაირი აზრი არა აქვს. მთავარია ოპოზიციის ინიციატივები და არა თარგამაძის. თავად გიორგი თარგამაძე ვინ არის? ის ხომ ხელისუფლების ერთ-ერთი წარმომადგენელია?"** - მოწინააღმდეგე პოლიტიკურ ბანაკში მოიაზრებს საქართველოს გზის ლიდერი საპარლამენტო უმცირესობის ლიდერს.

# პასპორტიზაცია ფულის მოსაპარად

ახალგორის რაიონში ოსური პასპორტების გაცემა იწყება. ეს დავალება ცხინვალის ე.წ. უშიშროების სამსახურს თავად ედუარდ კოკოითმა მისცა. ახალგორის რაიონის სრული პასპორტიზაციისთვის სეპარატისტული მთავრობა ვადას 15 აპრილამდე იძლევა. **ჩვენ გამოვყავით სპეციალური ჯგუფი სამხრეთ ოსეთის მოქალაქეების პასპორტიზაციისთვის. სახელმწიფო უშიშროების კომიტეტი გამოყოფს პასპორტების ფორმების საჭირო რაოდენობას ამ პროცესისთვის,** - აცხადებს ცხინვალის მარიონეტული რეჟიმის ლიდერი ედუარდ კოკოითი.

დე ფაქტო საპასპორტო-სავიზო სამსახურის ხელმძღვანელ სერგეი კოტაევის განცხადებით, ლენინგორის(ახალგორის) რაიონის მოსახლეობა, იქაური ფაქტობრივი ხელისუფლების გადაწყვეტილებით, სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის პასპორტებს მიიღებს. **შინაგან საქმეთა სამინისტროს ლენინგორის რაიონის მოსახლეობის პასპორტიზაციისთვის მუშაობის დაწყება დაევალა და ამ სამუშაოების დაწყების ბოლო ვადა 15 აპრილით განისაზღვრა, პროცესი კი 15 მაისისთვის უნდა დასრულდეს,** - აღნიშნა სერგეი კოტაევმა.

საქართველოს ხელისუფლების ინფორმაციით, თითო ეთნიკურ ქართველზე ოცი ოსური პასპორტი გაიცემა, ამ პასპორტებზე გამოყოფილი რუსული დახმარება კი კოკოითის ფორმირებებს გადაეცემათ.

ახალგორის რაიონის გამგებელ ზურაბ ფიცხელაურის განცხადებით, ახალგორის რაიონის პასპორტიზაციის შესახებ ბრძანების გაცემა საარჩევნო პროცესს უკავშირდება, რომელიც 31 მაისსაა დანიშნული. მისივე თქმით, სეპარატისტები ახალგორის რაიონის საარჩევნო უბნების დაკომპლექტებას ქართველი პედაგოგებითაც აპირებენ.

რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრ თემურ იაკობაშვილის შეფასებით, ე.წ. სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო პრეზიდენტ ედუარდ კოკოითს პასპორტიზაცია "შავი ფულის გასაკეთებლად" სჭირდება.

**ახალგორში პასპორტების დარიგება, პირველ რიგში, ემსახურება კოკოითის ჯიბის გასქელებას. ეს არაერთხელ მომხდარა. მას ე.წ. მკვდარი სულების რაოდენობის გაზრდა უნდა. არჩევნები და ეს ყველაფერი, რა თქმა უნდა, მოგონილი მიზეზია. პასპორტიზაციის მთავარი მიზანია, კოკოითმა რაც შეიძლება მეტი პასპორტი გასცეს, რათა რაც შეიძლება მეტი შავი ფული მიიღოს. ის რუსეთისგან დახმარებას, ხელფასებს და სარეაბილიტაციო ფულს მოითხოვს,** - განაცხადა იაკობაშვილმა.

**საკუთარი ინფორმაცია**

# რა უნდა შეიცვალოს საქართველოში?

გიორგი კავკასიძე
*შვეიცარიის ქართული სათვისტომოს თავჯდომარე ცუგი, შვეიცარია*

მე, უცხოეთში მცხოვრებ ქართველს, რომელსაც საშუალება აქვს მიიღოს 3 ქართული ტელეარხის გადაცემები და თვალყური ადევნოს ქართულ პრესას ინტერნეტის საშუალებით, ყოველდღე მესმის მოწოდება, რომ მთავრობა უნდა შეიცვალოს, რადგან (ზოგადად) ვერ გაამართლა იმედები .

ამ სტატიით არც მთავრობის დაცვას ვაპირებ და არც ოპოზიციისა, უბრალოდ ვსვამ კითხვას - საქართველოს (ბოლო) დამოუკიდებლობის მანძილზე რომელმა მთავრობამ გაამართლა? რომელმა არ გამოიწვია ხალხის, თუნდაც ნაწილის რისხვა? საქმე მთავრობაშია თუ ჩვენში, ვინც ამ მთავრობებს ვირჩევთ და მართვის მანდატს ვაბარებთ?

მე მგონია, რომ მიზეზი ჩვენში უნდა ვეძებოთ, რადგან ჩემი ღრმა რწმენით, ჩემი თაობა და ასევე შედარებით ახალგაზრდა თაობაც (უფროს თაობაზე რომ არაფერი ვთქვა) საბჭოთა, არასწორ ფასეულობებზე ვართ გაზრდილები და ისეთი ეჭვი მაქვს, რომ ეს ფასეულობები შთამომავლობით გადაეცა 90-იან წლებში დაბადებულ და გაზრდილ ქართველ ახალგაზრდობასაც, ან მის უმეტეს ნაწილს. ამიტომაც ვერ ვაკეთებთ სწორ არჩევანს, ან არასწორად ვაფასებთ რეალობას.

დაახლოებით 20 წელი ვიცხოვრე საზღვარგარეთ. ამ პერიოდში ვცხოვრობდი რუსეთში, აშშ-ში, ჩეხეთში და ახლა შვეიცარიაში. იმის გამო, რომ ბოლო წლების განმავლობაში ჩემი პროფესიული მოვალეობა სტრატეგიული მარკეტინგი იყო, მიხდებოდა სხვადასხვა ქვეყნებში მოგზაურობა, ამ ქვეყნების ისტორიისა და კულტურის ძირითადი ელემენტების შესწავლა და შემდეგ სტრატეგიული ბიზნეს გეგმების შედგენა და განხორციელება. მუშაობის სხვადასხვა ეტაპზე ჩემს იურისდიქციაში შემოდიოდნენ ისეთი ქვეყნები, როგორებიცაა - ყოფილი სსრკ რესპუბლიკები, აღმოსავლეთი და ცენტრალური ევროპის ქვეყნები, თურქეთი, ისრაელი, შვეიცარია, ავსტრია, აფრიკის კონტინენტის ქვეყნები, არაბეთის ყურის ქვეყნები, ინდოეთი და სხვა. ეს სია იმიტომ მოვიყვანე, რომ დაგარწმუნოთ - ის დასკვნები, რის გაკეთებასაც ვაპირებ, ერთმანეთისგან ძალიან განსხვავებული ქვეყნების ისტორიის, კულტურის, რელიგიის, და ზოგადად ცხოვრების წესების შესწავლის შედეგია. ვინც იცის სტრატეგიული მარკეტინგის მიზნები და ამოცანები, დამეთანხმება, რომ უცხო ქვეყნის ყოფის, ქცევების, სახელმწიფო მოწყობის და კანონების ცოდნის გარეშე შეუძლებელია ახალი პროდუქციის პრომოცია და გაყიდვა. ამიტომ პროდუქტის ბიზნეს გეგმა შვეიცარიისთვის, მნიშვნელოვნად განსხვავდება იგივე პროდუქტის ინდოეთისთვის შემუშავებული ბიზნეს გეგმისაგან.

მინდა გაგიზიაროთ რამდენიმე მოსაზრება, რომლებიც, ჩემი აზრით, განასხვავებს დასავლურს აღმოსავლურისაგან და განაპირობებს დასავლური სოციალური სისტემის, ტექნოლოგიური განვითარებისა და ეკონომიკის უპირატესობას. მგონი, მკითხველი დამეთანხმება თუ ვიტყვი, რომ ქართველის ცნობიერებაში და ქცევაში გაცილებით მეტია აღმოსავლური ელემენტები, ვიდრე დასავლური (აღმოსავლურში არ ვგულისხმობ ჩინეთს, იაპონიას ან სამხრეთ აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებს).

ფუნდამენტური განსხვავება, რაც მე დასავლურ და აღმოსავლურ აზროვნებაში ვნახე, არის ის, რომ დასავლეთში ყოველი მოქმედება არის შედეგზე ორიენტირებული, ხოლო აღმოსავლეთში - პროცესზე. ამიტომაც დასავლეთისთვის დროს სხვა ფასი აქვს, აღმოსავლეთისთვის - სხვა.

ავხსნი, რას ვგულისხმობ. თუ საქმიანი შეხვედრა კარგად არის წინასწარ მომზადებული, შანსი იმისა, რომ დასავლელ პარტნიორთან პირველი შეხვედრისთანავე მიაღწიო შეთანხმებას და კონტრაქტი გააფორმო, 60 პროცენტი და მეტია. ხოლო აღმოსავლელ პარტნიორთან პირველივე შეხვედრაზე, რაც არ უნდა კარგად იყოს ეს შეხვედრა მომზადებული, კონტრაქტის გაფორმების შანსი ნული პროცენტია, რადგან აღმოსავლელისთვის პირველი საქმიანი შეხვედრა პროცესის დასაწყისია, რომელიც თვეობით შეიძლება გაგრძელდეს.

კარგია ეს თუ ცუდი - მკითხველმა განსაჯოს, მე კი ჩემს კიდევ ერთ დაკვირვებას გაგიზიარებთ: ევროპის (მხედველობაში მაქვს ძველი ევროპა) ეკონომიურად ყველაზე ჩამორჩენილ ქვეყნებსა და რეგიონებს - საბერძნეთს, პორტუგალიას, იტალიის სამხრეთსა და სიცილიას, ესპანეთის სამხრეთს - მხოლოდ ერთი რამ აქვთ საერთო: ისინი ათწლეულების განმავლობაში იყვნენ აღმოსავლელების მმართველობის ქვეშ, რამაც, ჩემი აზრით, წარუშლელი კვალი დატოვა მათ ცნობიერებასა და ქცევაზე.

მეორე მნიშვნელოვანი განსხვავება რაც შევამჩნიე, არის ის, რომ:

აღმოსავლელები მეტწილად ნეგატიურები, ხოლო დასავლელები პოზიტიურები არიან. აღმოსავლელები ყოველ მოვლენასა თუ ქცევაში, პირველ რიგში, ნეგატიურს ეძებენ ან ხედავენ, მაშინ, როდესაც დასავლელები - პოზიტიურს.

ერთ ცხოვრებისეულ მაგალითს მოვიყვან: როდესაც აღმოსავლელი ბავშვი (მათ შორის ქართველიც) ეზოში მიდის ფეხბურთის სათამაშოდ, გაიხსენეთ რას აბარებს დედა - არ გაოფლიანდე (ფეხბურთის თამაშის დროს!), არ გაცივდე, სახლში არ დააგვიანო, შარვალი არ დასვარო და სხვა. ყველა დანაბარებში არის ნეგატიური - არ . ამ დროს დასავლელი დედის დანაბარები (რომელიც მე თვითონ ხშირად მომისმენია ჩემი შვილის სკოლაში სწავლის პერიოდში) ასეთია - მიდი, ყველაზე მაგრად ითამაშე, შენ ყველაზე მეტი ბურთი უნდა შეაგდო და სხვა.

ახლა გაიხსენეთ თქვენი ბავშვობა ან აწმყო, თუ შვილები გყავთ, და გულახდილად თქვით, რამდენჯერ მოგისმენიათ მსგავს სიტუაციებში არ .

მესამე განსხვავება, რაც შევამჩნიე, არის აღმოსავლელების ფარისევლობა და ფლიდობა მაშინ, როდესაც დასავლელები გაცილებით პირდაპირები და გულახდილები არიან. მაგალითებისთვის შორს წასვლა არ არის საჭირო - გადახედეთ დამოუკიდებელი საქართველოს სამეცნიერო რესურსს. რამდენი მეცნიერებათა დოქტორი თუ აკადემიკოსი გვყავს? მგონი, ერთ სულ მოსახლეზე გადაანგარიშებით, მსოფლიო ლიდერები ვართ. ახლა გადახედეთ ქართველი მეცნიერების მიღწევებს. განა შეესაბამება მეცნიერ-მუშაკთა და აკადემიკოსთა რაოდენობას? ეს იმის ბრალია, რომ დისერტაციის დაცვა იქნება თუ სამეცნიერო მოხსენება, არავინ ეუბნება მომხსენებელს, რომ მისი დისერტაცია, მოხსენება, გამოქვეყნებული შრომა და ა.შ. პროფანაციაა - როცა ნაშრომი ამას იმსახურებს. ყველა ტაშს უკრავს და ულოცავს მომხსენებელს, ხოლო მერე, დარბაზიდან გამოსვლის შემდეგ ან ვიწრო წრეში , მოხსენებას ან მომხსენებელს აფასებენ, როგორც უვიცობის ზეიმს , იდიოტობას . განა ეს მასობრივი ფლიდობა და ფარისევლობა არ არის?

მეოთხე განსხვავება დასავლურ და აღმოსავლურ აზროვნებასა და ქცევაში არის აღმოსავლელების მიერ კანონის უპატივცემლობა და უდისციპლინობა, და დასავლელების მიერ კანონისადმი ღრმა მოწიწება და მორჩილება.

შეადარეთ, როგორ გადადიან გადასასვლელზე დასავლეთში და როგორ - აღმოსავლეთში; როგორ გააქვთ ნაგავი; როგორია მატარებლების დაგვიანების სტატისტიკა დასავლეთში და როგორი აღმოსავლეთში; როგორ იცავენ ქუჩაში მოძრაობის წესებს დასავლელი მძღოლები და აღმოსავლელი. ამ შედარებების უსასრულოდ გაგრძელება შეიძლება.

არ ვარ დარწმუნებული, იცის თუ არა მკითხველმა, რომ ისეთ ღრმად მორწმუნე ქვეყანაში, როგორიც საუდის არაბეთის სამეფოა, არსებობს რელიგიური პოლიცია. მისი ძირითადი დანიშნულებაა დააკავოს და რელიგიურ სასამართლოს გადასცეს ის მორწმუნეები, რომლებიც ლოცვისთვის განკუთვნილ დროს არ ლოცულობენ ან ქუჩაში დაეხეტებიან, ან რამადანის დროს მზის ჩასვლას არ ელოდებიან და საჭმელს შეექცევიან. საუდელები, ყველაზე მკაცრი მორწმუნეები, მასობრივად რომ არ არღვევდნენ მორწმუნეთა ცხოვრების წესებსა და კანონებს, ალბათ რელიგიური პოლიცია არ იარსებებდა.

ახლა ჩვენს ქვეყანას გადავხედოთ, როგორია ჩვენში კანონის პატივისცემა ან ქცევის დისციპლინა? მგონი, კატასტროფული სიტუაციაა. ქუჩაზე გადასვლას ან მძღოლების მიერ მოძრაობის წესების დაცვას თავი რომ დავანებოთ, კანონს კანონის დამცველებიც არ სცემენ პატივს. რამდენიმე წლის წინ გაოგნებული დავრჩი ახალგაზრდა დემოკრატი შინაგან საქმეთა მინისტრის ქცევით, როდესაც, მისი ბრძანებით, უცხოური მანქანები ჩამოართვეს მოსახლეობის ნაწილს. ტელე-ინტერვიუში ბატონმა ოქრუაშვილმა განაცხადა - უნდა გავარკვიო, კანონიერად არის განბაჟებული ეს ავტომობილები თუ არაო. ეს რომ დასავლეთში მომხდარიყო, ასეთი მინისტრი თავის ადგილზე ერთი დღეც ვერ გაძლებდა, რადგან დასავლეთში პირადი ქონების ხელყოფა ერთ-ერთ მძიმე დანაშაულად ითვლება.

დემოკრატიული პრინციპებიდან და უდანაშაულობის პრეზუმფციიდან გამომდინარე, ბატონ ოქრუაშვილს ჯერ უნდა დაემტკიცებინა, რომ ავტომობილები უკანონოდ (ან კანონის დარღვევით) იყო შემოყვანილი და შემდეგ, სასამართლოს დადგენილების საფუძველზე ჩამოერთმია პატრონებისათვის - თუ კანონი მისცემდა ამის უფლებას.

რამდენადაც მახსოვს, ეს კანონდამცველების მიერ კანონის უპატივცემულობის პირველი მერცხალი იყო, ამას მოყვა ბადაგონი , თაბუკაშვილის ქუჩის სახლის ამბავი, გირგვლიანების ოჯახის უბედურება და ბევრი სხვა.

სამწუხაროდ, მანქანების უკანონოდ ჩამორთმევას საზოგადოების (დიდი ნაწილის) პროტესტი არ მოჰყოლია, რადგან ჩვენ კაკო-ყაჩაღის და არსენა ოძელაშვილის ფასეულობებზე ვართ გაზრდილები. აბა, გაიხსენეთ, მდიდარს ართმევს - ღარიბს აძლევს . რიგითი დასავლელი იკითხავს - რა უფლებით?

და ბოლოს: აღმოსავლეთის ქვეყნებში სუსტია ან არ არსებობს სამოქალაქო საზოგადოება.

აღმოსავლურ მენტალიტეტში დომინირებს მეფე, მმართველი, ბელადი, სულიერი მამა ან სხვა სახელწოდების წინამძღოლი, რომელიც ხალხის მაგივრად ფიქრობს, ხალხის მაგივრად განიცდის, ხალხის მაგივრად იღებს გადაწყვეტილებებს და ზოგადად ზრუნავს თავის ხალხზე. დასავლეთში, კონსტიტუციურ მონარქიებშიც კი, არ აღიქმება მეფე, როგორც ხალხზე მზრუნველი და ხალხის მაგივრად გადაწყვეტილების მიმღები.

დასავლეთში ხალხი, ანუ სამოქალაქო საზოგადოება იღებს გადაწყვეტილებას და თვითონ ზრუნავს თავის თავზე. ამის ყველაზე თვალსაჩინო მაგალითია შვეიცარია, სადაც ყველა სასიცოცხლო მნიშვნელობის კანონს ან გადაწყვეტილებას მოსახლეობა თვითონ იღებს, სახალხო რეფერენდუმის სახით.

პოლიტიკა ჩემი საქმე არ არის - ეს აღმოსავლური სენტენციაა, რომელიც აიტაცა და ყოველდღიური ცხოვრების წესად აქცია საბჭოთა პროპაგანდამ. მოსახლეობა, რომელიც ამ პოსტულატს იზიარებს, არც ქვეყნის მართვაში ერევა და არც გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. ამით მოვლენების განვითარებაზე პასუხისმგებლობას თავს არიდებს, წინამძღოლს ავალებს მასზე და მის შვილებზე ზრუნვას და ამით შეუზღუდავ უფლებებს ანიჭებს. ამის შედეგად ხდება მთავრობასა და ხალხს შორის კავშირის გათიშვა, ავტოკრატული მმართველობის ჩამოყალიბება, განუკითხაობა, დაუსჯელობის განცდა მმართველების მიერ. პოლიცია და სხვა სამართალდამცველი ინსტიტუტები ხალხს კი აღარ იცავენ დამნაშავეებისგან, მთავრობას იცავენ ხალხისგან.

ეს მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, როდესაც საზოგადოების კონტროლი მთავრობაზე ან კლებულობს, ან სრულიად ქრება.

ალბათ, გახსოვთ რამდენიმე წლის წინ ატეხილი ისტერია ჩაშვების ინსტიტუტის გამო, რომელსაც ყველა კიცხავდა და მიწასთან ასწორებდა. დასავლური მენტალიტეტისთვის კი ის, რაც ჩვენში აღშფოთებას იწვევს, ნორმალური ცხოვრების წესია და, აი, რატომ: კანონმორჩილი დასავლელი მოქალაქე, რომელიც რეგულარულად იხდის გადასახადებს, მიიჩნევს, რომ დებოშირი მეზობელი მან კი არ უნდა დააშოშმინოს, არამედ იმან, ვისაც ეს მოქალაქე ფულს უხდის (გადასახადების სახით) საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისათვის, ე.ი. პოლიციამ. ამიტომაც ურეკავს პოლიციას და სთხოვს, რომ პოლიციამ შეასრულოს ის საქმე, რაც ევალება და რაშიც ფულს უხდიან.

დასავლელისთვის პოლიცია ან ზოგადად სახელმწიფო მოხელე არის დაქირავებული მოსამსახურე, რომელმაც გარკვეული ფუნქცია უნდა შეასრულოს, რისთვისაც საზოგადოება მას ქირაობს და შესრულებული სამუშაოს საზღაურს უხდის. ეს ეხება როგორც რიგით პოლიციელს, ასევე პრეზიდენტსა და პარლამენტის წევრს. უკანასკნელთა სამსახურში აყვანა კი არჩევნების გზით ხდება.

ალბათ დამეთანხმებით, რომ არც ერთი ორგანიზაცია არ აიყვანს საპასუხიმგებლო თანამდებობაზე პიროვნებას, რომელსაც მხოლოდ ლამაზი გარეგნობა აქვს ან კარგად ყვება ანეგდოტებს, მარგამ ცოდნის ნატამალი არ გააჩნია. კანდიდატის ცოდნის შეფასება ხდება გასაუბრებებისა და იმ საბუთების შესწავლის შედეგად, რომელსაც კანდიდატი წარუდგენს ორგანიზაციას.

ზუსტად იგივე სისტემა მოქმედებს დასავლეთში პარლამენტის წევრობის ან პრეზიდენტობის კანდიდატის შერჩევის დროს. საარჩევნო პროგრამის სახით, კანდიდატები ხალხს, ანუ ამომრჩევლებს წარუდგენენ მათი ცოდნის და შესაძლებლობის დამადასტურებელ მასალას. პროგრამებში გაწერილია კანდიდატის ან პარტიის მიზნები და ამოცანები, მკაფიოდაა აღწერილი, თუ რა ვადებში ვარაუდობს კანდიდატი (ან პარტია) კონკრეტული მიზნის მიღწევას და რის ფასად. შემდეგ ხდება ამ პროგრამების შესწავლა, შედარება, დებატები, კრიტიკა. ყოველივე ამას აკეთებს ხალხი ანუ ამომრჩეველი.

ახლა ვკითხულობ, პრეზიდენტისა თუ პარლამენტის წევრების არჩევნების დროს, ჩვენი ამომრჩევლის რამდენ პროცენტს ქონდა კანდიდატების პროგრამა წაკითხული? ან იყო თუ არა ეს პროგრამები სრულფასოვანი? იყო თუ არა მსჯელობა პრესაში, ტელევიზიით ამა თუ იმ კანდიდატისა თუ პარტიის პროგრამაზე, ან პროგრამის ძლიერ და სუსტ მხარეებზე? ბოლოს, თუ ამომრჩეველმა არ იცოდა კანდიდატის ან პარტიების პროგრამები, მაშინ რას მისცა ხმა - პოპულისტურ, შეუსრულებად დაპირებებს? - ქვეყნებში, სადაც სამოქალაქო საზოგადოება ძლიერია, ასეთი ფანდები აღარ ჭრის.

როდესაც კანდიდატს ირჩევენ პროგრამით და არა გარეგნობით ან ოჯახიშვილობით, ძალიან ადვილია მისი წარმატებების ან წარუმატებლობის შეფასება და ანალიზი.

მე არ მაქვს სურვილი, რომ ვამტკიცო - დასავლეთში ყველაფერი კარგია და აღმოსავლეთში, საქართველოს ჩათვლით, ყველაფერი ცუდი. მე იმის თქმა მინდა, რომ, თუ გვინდა, მოკლე დროში გავიაროთ ის მანძილი, რის გავლასაც დასავლეთის ქვეყნებმა ათწლეულები და საუკუნეები მოანდომეს, უნდა მოხდეს დასავლური ფასეულობების სინთეზირება ჩვენს კულტურასთან, ყოფასთან და ცხოვრების წესთან. საქართველო თითქმის ორასი წელი იმყოფებოდა ბნელეთში , ეს იმ დროს, როდესაც დასავლეთი ვითარდებოდა.

იმისთვის, რომ ეს სინთეზი მოხდეს, ჩვენ, პირველ რიგში, გულახდილები უნდა ვიყოთ. საჯაროდ უნდა ვაღიაროთ ის უარყოფითი, რაც გვაქვს. მხოლოდ ამის შემდეგ იქნება შესაძლებელი ახლის და უკეთესის გათავისება.

სამართლიანობის მიზნით უნდა აღვნიშნო, რომ, ჩემი აზრით, ყველაზე პროგრესული აღმოსავლური ქვეყანა თურქეთია, რომელმაც გიგანტური ნაბიჯები გადადგა დასავლური ფასეულობების მიმართულებით. მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ეს სვლა ზემოდან , ბელადის - ქემალ ათათურქის მიერ იძულების წესით იყო განხორციელებული და არა ქვემოდან - საზოგადოების მოთხოვნით. დავიჯერო დღევანდელი საქართველო მე-20 საუკუნის ოცდაათიანი წლების თურქეთზე პროგრესული და განვითარებული არ არის?

ამბობენ, საზოგადოება ისეთ მთავრობას იმსახურებს, როგორიც თვითონ არისო. მე, როგორც საქართველოს რიგით მოქალაქეს, თუ მინდა, რომ მყავდეს კარგი მთავრობა , ჩემში უნდა ვეძებო მთავრობის ცუდობის მიზეზი და არა მთავრობაში. მე უნდა ვკითხო ჩემს თავს - სწორი არჩევანი გავაკეთე, როცა ეს პრეზიდენტი ან პარტია ან საკრებულოს წევრი ავირჩიე? ვმონაწილეობდი კი ჩემი ქვეყნის, რეგიონის, ქალაქის მართვაში? მთავრობის კონტროლში? გადაწყვეტილებების მიღებაში?

თუკი საქართველოს ყოველი ამომრჩეველი პასუხისმგებლობით მოეკიდება მასზე დაკისრებულ მოვალეობას - აირჩიოს პროფესიონალურად და მორალურად ღირსეული მთავრობა, ყოველდღე აკონტროლოს ამ მთავრობის მუშაობა, სასწრაფო რეაგირება მოახდინოს მთავრობის დანაპირების (ანუ სარჩევნო პროგრამის) შეუსრულებლობაზე ან არაკანონიერ ქცევაზე, გარწმუნებთ, რომ ვერც ერთი მთავრობა ვერ გაბედავს თვითნებობას.

თუ ვინმეს პრეტენზია აქვს დღევანდელი მთავრობის ან მმართველი პარტიის მიმართ, ვურჩევდი აიღოს მათი საარჩევნო პროგრამები, იპოვოს შეუსაბამობა დანაპირებსა და რეალობას შორის და პუნქტებად ჩამოაყალიბოს პრეტენზიები.

ასევე პუნქტებად ჩამოაყალიბოს მთავრობისა თუ პარლამენტის წევრების მიერ კანონის დარღვევის ფაქტები (თუ ასეთი მოიძებნება) და ყველა ეს პუნქტი გააცნოს ამომრჩეველს.

მე ვფიქრობ, რომ მხოლოდ ასე შეიძლება მთავრობისა და პარლამენტის მუშაობის სამართლიანი შეფასება და არა ყბადაღებული უნდა წავიდეს ძახილით, რომელიც უკვე ჩვიდმეტი წელია, გვესმის.

# იმერული უმუშევრობა

რევაზ საყევარიშვილი



უმუშევრობის პრობლემატიკის შესასწავლად ყველა ტიპის ადგილობრივი თუ საერთაშორისო ორგანიზაციები უამრავ კვლევას აწარმოებენ, რათა საკითხის ყველაზე მგრძნობიარე უბნების სრული და უშეცდომო დიაგნოსიტირება მოხდეს. ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის მიერ განხორციელდა რაოდენობრივი კვლევა იმერეთის რეგიონში, რომელიც ერთ-ერთ ყველაზე მაღალი უმუშევრობის მაჩვენებლის მქონე რეგიონს წარმოადგენს. კვლევის მიზანს წაარმოადგენდა რეგიონის შრომის ბაზრის შესწავლა, ბაზრის მოთხოვნების წარმოჩენა, ასევე შრომის ბაზრის მოთხოვნების დადგენა კონკრეტულ პროფესიებსა და უნარ-ჩვევებზე. რაოდენობრივი კვლევა განხორციელდა იმერეთის რეგიონში არსებული საწარმოების გამოკითხვის გზით სტრუქტურიზებული კითხვარის გამოყენების მეშვეობით.

სულ გამოიკითხეს 600 საწარმო. გამოკითხული საწარმოების ძირითადი ნაწილი დაკავებულია ვაჭრობისა და მომსახურების სფეროში (შესაბამისად, 369 და 295 საწარმო), მხოლოდ 22 საწარმო ახორციელებს საქმიანობას სოფლის მეურნეობასა დაა 5 - მშენებლობაში. რაც შეხება გადამამუშავებელ მრეწველობას, მას გამოკითხულთაგან 9 საწარმო მისდევს.

საწარმოთა 73% ფუნქციონირებს ბაზარზე 1 დან-5 წლამდე, გამოკითხულ საწარმოებში სულ მუშაობს 5529 ადამიანი. გამოკითხული 599 საწარმოდან ერთ საწარმოში საშუალოდ მუშაობს 9 ადამიანი. აქედან, ბოლო ერთი წლის განმავლობაში დასაქმებულთა რიცხვი გაიზარდა 86 საწარმოში და შემცირდა 35-ში, ხოლო დაანარჩენ საწარმოებში მომუშავეთა ცვლილება არ მომხდარა.

გამოკითხულ ორგანიზაციებში მომუშავეთა ასაკის განსაზღვრისას გამოჩნდა, რომ საწარმოების უმეტესობაში დასაქმებულთა საშუალო ასაკი არის 31-50 წელი, ხოლო 599 გამოკითხულ საწარმოში მხოლოდ 51 წელზე უფროსი ასაკის მქონე 19 ადამიანია დასაქმებული.

აღსანიშნავია, რომ გამოკითხულ საწარმოთა 41% მიიჩნევს, რომ ასაკს მნიშვნელობა არ აქვს და ამ ორგანიზაციებში ასაკობრივი სტრუქტურა უბრალოდ გარემოებამ განაპირობა. რესპოდენტთა 22%-ის აზრით, მათ ჰქონდათ ამ ასაკის პირებთან სამუშაო გამოცდილება და მათი მოლოდინი გამართლდა, ხოლო 25% ფიქრობს, რომ ამ ასაკის ადამიანების ცოდნა და გამოცდილება აკმაყოფილებს მათ მოთხოვნებს.

გამოკითხულ საწარმოებში დადგინდა, რომ დამქირავებლების 44% თავად ირჩევს კანდიდატს ახლობლების წრიდან, ხოლო 17%-მდე ითვალისწინებს ნაცნობის პირად რეკომენდაციას/თხოვნას; ვაკანსიის თაობაზე განცხადების გამოქვეეყნებას პრიიორიტეტს ანიჭებს გამოკითხულთა მხოლოდ 16%; არსებული გამოცდილებით მეწარმეები დაქირავებისას მეტად ენდობიან ახლობლის, მეგობრის ან/და ნათესავის რეკომენდაციას ან/და რჩევას.

კითხვაზე: რა პროფესიის პირები გყავთ დასაქმებული ორგანიზაციაში?" - რესპოდენტების პასუხები კითხვარში მითითებული პროფესიების მიხედვით შემდეგნაირად გადანაწილდა. კვლევის პეროდისთვის გამოკითხული საწარმოების 6%-ს ჰქონდა გამოცხადებული ვაკანსია. ჩამოთვლილი ვაკანსიებიდან ყველაზე მაღალი მოთხოვნა იყო გამყიდველზე. თითქმის იგივე პროცენტი ჰქონდა ბუღალტრის პოზიციას (შესაბამისად, 23% და 20%). გამოკითხულთა 41% ჩამოთვლილი ვაკანსიების გარდა ასახელებდა სპეციალისტებს საკუთარი ორგანიზაციისს სპეციფიკის შესაბამისად, მაგალითად, სტილისტი, მკერავი, მცხობელი, მეწაღე და ა.შ.

პასუხი და შედეგი ანალოგიური აღმოჩნდა კიითხვაზე: რა პროფესიის კადრების დაქირავებას აპირებთ მომავალში?" დიდი მოთხოვნა და არსებული კადრების მაღალი ხვედრითი წილი მოდის გამყიდველზე, მუშახელსა და, ორგანიზაციების სპეციფიკიდან გამომდინარე, მომსახურე პერსონალზე. მიუხედავად იმისა, რომ რესპოდენტთა 74% თითქმის ყოველთვის ახერხებს სასურველი კადრების დაქირავებას, საგულისხმოა ის ფაქტი, რომ აღნიშნული 74%-ის უმეტესობასს ვაჭრობის სფეროში დაკავებული მეწარმეები შეადგენდნენ, ხოლო რესპოდენტთა 8%, რომელიც მიიჩნევს, რომ სასურველი კადრების მოძიება თითქმის შუძლებელია, ძირითადად გადამამუშევებელ მრეწველობასა და მომსახურების სფეროში არიან დაკავებულნი.

კითხვაზე: რა განაპირობებს საქართვეელოში საჭირო კვალიფიკაციის კადრების მოძიების სირთულეს?" - მოსაზრებები თითქმის თანაბრად განაწილდა. 32% ფიქრობს, რომ კადრებს არ აქვთ საკმარისი გამოცდილება; 27%-ის აზრით, შესაბამისი პროფესიული განათლების დონეა დაბალი; რესპოდენტების 26% მიიჩნევს, რომ პრობლემა კვალიფიკაციის ამაღლების დაბალი ხელმისაწვდომობითაა განპირობებული; 15%-მა კი მიუთითა, რომ არ არსებობს შესაბამისი სააგენტოები, რომლებიც მათ მაღალკვალიფიციურ კადრებს შესთავაზებენ.

2006 წლის დასაქმების პროგრამაში იმერეთიდან მონაწილეობა მიიღო რესპონდენტთა მხოლოდ 7%-მა (39 საწარმო). 2007 წელს დასაქმების პროგრამაში მონაწილეთა წილი კიდევ უფროო მცირდება (სულ 66 საწარმო). 2006 წლის დასაქმების პროგრამით გამოკითხულ საწარმოებში დასაქმდა 417 ადამიანი, თუმცა დასაქმებულების მხოლოდ 7% განაგრძობს მუშაობას. ასევე საინტერესო იყო იმის განსაზღვრა, რა საკითხებში ექმნება კერძო სექტორს პრობლემები და რომელ სფეროებში საჭიეროებენ მეწარმეები დამატებით კონსულტაციებს.

ბუღალტრული აღრიცხვა ერთ-ერთი პრობლემატური საკითხია. ასევე მნიშვნელოვან პრობლემას მეწარმეებითვის ბაზრის მოთხოვნის შესწავლა წარმოადგენს. ამ მიზნით კვლევების ჩატარების მნიშვნელობას მეწარმეების დიდი ნაწილი აღიარებს, თუმცა ეს მომსახურება დიდ თანხებთან არის დაკავშირებული. რაც შეეხება ტრენინგ-კურსებს, მეწარმეების დიდი ნაწილი აღნიშნავს, რომ მათთვის უფრო მოსახერხებელი კვალიფიციური კადრების დაქირავებაა. იმის გათვალისწინებით, რომ ქვეყანაში ასეთი კადრების სიმცირეა, მათ უხდებათ არსებული კადრებიის კვალიფიკაციის გაზრდა დამატებითი ტრენინგ-კურსების მეშვეობით.

# ზიმბაბვური ვალუტა აიკრძალა

საოცრად სწრაფად მზარდი ინფლაციის გამო ზიმბაბვეს მთავრობა იძულებული გახდა ეროვნული ვალუტის - ზიმბაბვური დოლარის მიმოქცევა ერთი წლით შეეჩერებინა. სააგენტო AFP-ის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, ზიმბაბვეს ეკონომიკის მინისტრმა ელტონ მანგომამ განაცხადა, რომ ადგილობრივი დოლარის მიმოქცევის შეჩერება აუცილებელი გახდა, რადგან მისი ღირებულება არაფრით არ არის უზრუნველყოფილი.

როგორც ცნობილია, ეს აფრიკული ქვეყანა ინფლაციის დონის მიხედვით მსოფლიო რეკორდსმენია: ბოლო დროს მისმა ტემპმა ასტრონომიულ ციფრს - წელიწადში 231 მილიონ პროცენტს მიაღწია. მიუხედავად იმისა, რომ ბრუნვაში კარგა ხნის წინ ჩაუშვეს მილიარდი ზიმბაბვური დოლარის ღირებულების კუპიურები, მათი მსყიდველობითუნარიანობა ბევრად დაბალია, ვიდრე იმ ქაღალდის ღირებულება, რომელზეც ისინია დაბეჭდილი.

უნდა ითქვას, რომ ადგილობრივი დოლარი მიმოქცევიდან არაოფიციალურად უკვე გამოსულია. ადგილობრივ ბაზარზე ყველა ანგარიშსწორება კარგა ხანია ამერიკულ დოლარში, ევროში, ბრიტანულ ფუნტ სტერლინგში, სამხრეთაფრიკულ რენდში და ბოცვანურ პულში მიმდინარეობს.

ზიმბაბვეს ეკონომიკა ღრმა კრიზისშია. სახელმწიფოში უმუშევრობამ 80 პროცენტს მიაღწია, მისი რამდენიმე მოქალაქე კი ლტოლვილი გახდა. ქვეყანას არ ყოფნის საწვავი და პირველადი მოხმარების ნივთები. სიტუაციას ქოლერის ეპიდემიაც ართულებს, რომელმაც გასული წლის აგვისტოს ბოლოს იფეთქა და რომელსაც 4 ათასზე მეტი ადამიანი შეეწირა.

## მრავალმხრივი ცვლილება აშშ-ს ბირჟაზე

გუშინ, აშშ-ს საფონდო ბირჟაზე ძირითად ინდექსთა მრავალმხრივი ცვლილება დაფიქსირდა. ინვესტორთა განწყობაზე დადებითი გავლენა ფინანსური კომპანიების კვარტალური ანგარიშების მოლოდინში ოპტიმისტურმა პროგნოზებმა მოახდინა. თუმცა, უარყოფითი მომენტი გახლდათ ავტოგიგანტ General Motors-ის შესაძლო გაბანკროტების და ავიამშენებელ Boeing-ის მიერ წარმოების შემცირების შესახებ გაკეთებული განცხადება.

საბოლოოდ, Dow Jones Index 0,32 პროცენტით, 8.057,81 პუნქტამდე შემცირდა. 0,05 პროცენტით გაზრდილმა Nasdaq Index-მა 1.653,31 პუნქტი შეადგინა, ხოლო S&P 500 Index-მა 0,25 პროცენტით, 858,73 პუნქტამდე მოიმატა.

## ნავთობის ფასმა მოიკლო

გუშინ, ლონდონისა და ნიუ იორკის ნავთობის ბირჟებზე "შავი ოქროს" ფიუჩერსებზე (სამომავლო კონტრაქტები) ფასების კლება დაფიქსირდა. კერძოდ, 1 ბარელი Brent-ის მარკის ნავთობი 52,14 დოლარი ღირდა, Light-ის მარკის ნავთობი კი 50,05 დოლარი/ბარელამდე გაიაფდა.

ბუნებრივი აირის ფასმაც მოიკლო და მილიონი ბრიტანული თერმული ერთეულის - BTU-ს (ენერგიის ერთეული, რომელიც აშშ-სა და დიდ ბრიტანეთში გამოიყენება. მილიონი თერმული ერთეული 27 კუბური მეტრი ბუნებრივი აირის წვისას გამოყოფილ ენერგიას შეესაბამება) ღირებულებამ 6,165 დოლარი შეადგინა.

"შავი ოქროს" გაიაფების მიზეზი კვლავ საერთაშორისო ენერგეტიკული სააგენტოს მიერ ნავთობზე მოთხოვნილების შემცირების შესახებ გაკეთებული პროგნოზი გახლდათ. გარდა ამისა, გავლენა აშშ-ში ნავთობისა და ნავთობპროდუქტების მარაგების ზრდის მოლოდინმა მოახდინა.

მოიკლო "ოპეკის სანავთობე კალათის" ფასმაც და მისმა ღირებულებამ 51,92 დოლარი/ბარელი შეადგინა. შეგახსენებთ, რომ ტერმინი ძოპეკის კალათა" (OPEC Reference Basket of Crudes) ოფიციალურად 1987 წლის 1 იანვრიდან შემოიღეს და იგი კარტელის წევრი ქვეყნების მიერ მოპოვებული 13 მარკის ნავთობის ღირებულების საშუალო არითმეტიკულით გამოითვლება. ესენია: ალჟირული Saharan Blend, ანგოლური Girassol, ინდონეზიური Minas, ირანული Iran Heave, კუვეიტური Kuwait Export, ლიბიური Es Sider, ნიგერიული Bonny Light, ეკვადორული Oriente, ყატარული Qatar Marine, Arab Light (საუდის არაბეთი), Murban (არაბეთის გაერთიანებული საემიროები) და ვენესუელური BCF 17.

1999 წლიდან ოპეკის ქვეყნებმა გააუქმეს 22-28 დოლარი/ბარელის ფარგლებში არსებული ოფიციალური ძფასთა დერეფანი", 2006 მარტიდან კი ძკალათის" ფასების საზღვარი დეკლარაციულად 50 და 60 დოლარი/ბარელით განისაზღვრა.

"ოპეკის კალათის" ფასის ისტორიული მაქსიმუმი 140,73 დოლარი/ბარელი 2008 წლის 3 ივლისს დაფიქსირდა.

## ძვირფასი ლითონები გაძვირდა

გუშინ, ნიუ იორკისა და ლონდონის სასაქონლე ბირჟებზე, ოქროს და სხვა ძვირფასი ლითონების ფიუჩერსებზე ფასების მნიშვნელოვანი ზრდა დაფიქსირდა. კერძოდ, 1 უნცია ოქროს ღირებულებამ 1,4 პროცენტით მოიმატა და 894,7 დოლარი შეადგინა. ვერცხლი 3,6 პროცენტით, 12,77 დოლარი/უნციამდე, პლატინა 4,3 პროცენტით, 1247 დოლარი/უნციამდე, პალადიუმი კი 4,8 პროცენტით, 242,3 დოლარი/უნციამდე გაძვირდა. ოქროს და სხვა ძვირფასი ლითონების გაძვირების მიზეზი ავტოგიგანტ General Motors-ის შესაძლო გაბანკროტების და ბანკების კვარტალური ანგარიშების მოლოდინში საინვესტიციო მიმზიდველობის ზრდა გახლდათ. ინვესტორები ცდილობდნენ შესაძლო რისკებისაგან თავი სახსრების ძვირფას ლითონებში დაბანდებით დაეზღვიათ.

## ინდოეთის ეკონომიკა 7 პროცენტით გაიზარდა

ინდოეთის პრემიერ-მინისტრის მანმოჰან სინგჰის განცხადებით, 2008-2009 ფინანსური წლის, რომელიც 31 მარტს დასრულდა, შედეგების მიხედვით, ქვეყნის შიდა პროდუქტის მოცულობა 7 პროცენტით გაიზარდა. ინდოეთის მთავრობის მეთაურის თქმით ეგზომ მცირე მაჩვენებელი გლობალური ეკონომიკური კრიზისით აიხსნება. როგორც ცნობილია, ბოლო წლებში ინდოეთის ეკონომიკა ზრდის მაღალ ტემპს აჩვენებს და მხოლოდ ჩინეთს ჩამორჩება. მაგრამ გლობალური ეკონომიკური კრიზისის ფონზე მოთხოვნილების შემცირება ინდური ექსპორტის მოცულობაზე მნიშვნელოვნად აისახა, რამაც ეკონომიკურ ზრდას დაღი დაასვა. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ კრიზისის გავლენა ინდოეთის ეკონომიკაზე ბევრად ნაკლებია, ვიდრე სხვა ქვეყნებისაზე.

### "ოპოზიცია სახელმწიფო ობიექტებს მშვიდობიანად ვერ აიღებს"

შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადებით, "ოპოზიცია სახელმწიფო ობიექტებს "მშვიდობიანად" ვერ აიღებს". "გარწმუნებთ, რომ ოპოზიცია სახელმწიფო ობიექტებს "მშვიდობიანად" ვერ აიღებს", - განუცხადა "პირველს" შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის ხელმძღვანელმა შოთა უტიაშვილმა ოპოზიციონერი ლიდერების მიერ გაკეთებული შესაბამისი განცხადების კომენტირებისას. მოძრაობის ერთიანი საქართველოსთვის" გენერალური მდივან ეკა ბესელიას განცხადებით, არასაპარლამენტო ოპოზიციის ლიდერები თბილისის მერიის, შინაგან საქმეთა სამინისტროს და "მოდულის" შენობას, ასევე ყველა სხვა სახელმწიფო ობიექტს დაივლიან და "მშვიდობიანად აიღებენ".

**პირველი**

### კოკოითი ახალგორის რაიონში ოსური პასპორტების დარიგებას იწყებს

ახალგორის რაიონში ოსური პასპორტების გაცემა იწყება. ეს დავალება ცხინვალის ე.წ. უშიშროების სამსახურს თავად ედუარდ კოკოითმა მისცა. ახალგორის რაიონის სრული პასპორტიზაციისთვის სეპარატისტულ მთავრობას ვადა 15 აპრილამდე აქვთ მიცემული. "ჩვენ გამოვყავით სპეციალური ჯგუფი პასპორტიზაციისათვის. სახელმწიფო უშიშროების კომიტეტი გამოყოფს პასპორტების ფორმების საჭირო რაოდენობას ამ პროცესისათვის," - აცხადებს ცხინვალის სეპარატისტული რეჟიმის ლიდერი ედუარდ კოკოითი.

საქართველოს ხელისუფლების ინფორმაციით, პასპორტებზე გამოყოფილი რუსული დახმარება კოკოითის ფორმირებებს გადაეცემა.

ახალგორის რაიონის გამგებლის ზურაბ ფიცხელაურის განცხადებით, ახალგორის რაიონის პასპორტიზაციის ბრძანების გაცემა საარჩევნო პროცესს უკავშირდება, რომელიც 31 მაისსაა დანიშნული. მისივე თქმით, სეპარატისტები ახალგორის რაიონის საარჩევნო უბნების დაკომპლექტებას ქართველი პედაგოგებითაც აპირებენ.

რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრ თემურ იაკობაშვილს კი, ახალგორის რაიონის პასპორტიზაციასთან დაკავშირებით სხვა ვერსია აქვს. მისი განცხადებით, ამით კოკოითი ფულის გაკეთებას ცდილობს, რადგან პასპორტებს მკვდარ სულებზე გასცემს, შემდეგ კი, იმ ადამიანების ხელფასებს პენსიებს და სხვა სახის ფულად კონპენსაციებს იღებს. "არჩევნები არის მხოლოდ ერთი განზომილება. მაინც მიმაჩნია, რომ ახალგორში პასპორტების დარიგება პირველ რიგში, ემსახურება კოკოითის ჯიბის გასქელებას. როგორც არსებულ და ისე არარსებულ პასპორტებზე მოითხოვს დახმარებებს, პენსიებს, ხელფასებს. ეს არაერთხელ მომხდარა. მას უნდა ე.წ. მკვდარი სულების რაოდენობის გაზრდა. არჩევნები და ეს ყველაფერი, რა თქმა უნდა, არის მოგონილი მიზეზები," - აცხადებს თემურ იაკობაშვილი.

**მედიანიუსი**

### ავტოავარია მსხვერპლით დასრულდა

გურჯაანში, თავისუფლების ქუჩაზე მდებარე სასურსათო მაღაზიაში ბე-ემ-ვეს მარკის ავტომანქანა შევარდა. თვითმხილველების განცხადებით, შეჯახება გადაჭარბებულმა სიჩქარემ გამოიწვია. შეჯახების შედეგად ავტომანქანაში მჯდომი 28 წლის ალექსანდრე კვანტალიანი ადგილზე გარდაიცვალა. სხეულის მძიმე დაზიანებები მიიღო ავტომანქანაში მჯდომმა მეორე პირმაც, გარდაცვლილის ძმამ მურმან კვანტალიანმა. ამ დროისთვის ის თბილისის რესპუბლიკურ საავადმყოფოშია გადაყვანილი. მომხდართან დაკავშირებით გამოძიებას შს სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის კახეთის სამმართველო აწარმოებს.

**ჯი-ეიჩ-ენი**

### სამოქალაქო რეესტრის თელავის სამსახურში ვაკანსიაზე კონკურსი გამოცხადდა

იუსტიციის სამინისტროს სამოქალაქო რეესტრის სააგენტომ თელავის სამსახურში სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის განყოფილების უფროსის ვაკანტურ თანამდებობაზე კონკურსი გამოაცხადა.

საკონკურსო მოთხოვნებია: უმაღლესი განათლება, სამუშაო გამოცდილება 2-3 წელი, სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს საქმიანობის მარეგულირებელი კანონმდებლობისა და კომპიუტერული პროგრამების ცოდნა. დაინტერესებულმა პირებმა კონკურსში მონაწილეობისათვის საბუთები 20 აპრილამდე სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ადამიანური რესურსების მართვის სამსახურში უნდა წარადგინონ.

**მედიანიუსი**

# საია შსს-ს მოვალეობას ახსენებს

*საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის თავმჯდომარე თამარ ხიდაშელმა შსს-ს სპეციალურ განცხადებასთან დაკავშირებით ბრიფინგი გამართა.*
*საქმე ისაა, რომ შსს-მ გაავრცელა განცხადება დემონსტრაციების მსვლელობის დროს გამოთქმული ბრალდებების შესახებ და განაცხადა, რომ უფლებათა დარღვევის კონკრეტულ ფაქტებთან დაკავშირებით დაზარალებულებს პოლიციისთვის არ მიუმართავთ.*



*თამარ ხიდაშელმა შსს-ს განცხადებასთან დაკავშირებით ბრიფინგი გამართა.*

ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის თავმჯდომარე თამარ ხიდაშელი შინაგან საქმეთა სამინისტროს შეახსენებს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 261-ე მუხლის მოთხოვნებს, რომლის თანახმადაც, **"დანაშაულის ჩადენის შესახებ ინფორმაციის მიღების შემთხვევაში გამომძიებელი, პროკურორი, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, ვალდებულნი არიან დაიწყონ გამოძიება".** იმავე კოდექსის 263-ე მუხლის თანახმად, **"წინასწარი გამოძიების დაწყების საფუძველია ცნობები დანაშაულის ჩადენის შესახებ"**. თამარ ხიდაშელს განცხადებით, ამავე მუხლის მიხედვით, ასეთი შეიძლება იყოს: ფიზიკური ან იურიდიული პირების, სახელმწიფო ან თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოების, თანამდებობის პირების, ოპერატიულ-სამძებრო ორგანოს მიერ მიწოდებული ცნობები, აგრეთვე ცნობები, რომლებიც მოძიებულია მასობრივი ინფორმაციის საშუალებით.

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია კიდევ ერთხელ ამახვილებს ყურადღებას იმ ფაქტზე, რომ ზოგიერთ შემთხვევაში, იმ ადგილებზე, სადაც ადგილი ჰქონდა პოლიტიკური პარტიის აქტივისტების ფიზიკურ შეურაცხყოფას, საპატრულო პოლიციის ავტომანქანები პატრულირებდნენ.

**შესაბამისად, ისინი არათუ აღნიშნული უფლებათა დარღვევის თვითმხილველები იყვნენ, არამედ ვალდებულნი იყვნენ თავად დაუყოვნებლივ მოეხდინათ რეაგირება. ცნობები მომიტინგეების დარბევასთან დაკავშირებით ასევე არაერთხელ გახმაურდა საქართველოს სახალხო დამცველის მიერ,** - აცხადებს თამარ ხიდაშელი.

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციისთვის ასევე მიუღებელია შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადება იმის თაობაზე, რომ რუსთაველის გამზირზე 11 აპრილს, დაახლოებით 23:00 საათზე მომხდარი ინციდენტი ხანმოკლე იყო და პოლიციის ჩარევას არ საჭიროებდა.

**მიუხედავად იმისა, რომ მათივე განცხადებით, "ფიზიკურ შეურაცხყოფა მიაყენეს" დამლაგებელთა ჯგუფს, ასევე "დაზიანებულ იქნა კომპიუტერები და ხმის აპარატურა , პოლიციის შესახებ საქართველოს კანონის, ასევე 2005 წლის 15 დეკემბრის საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის N1310 ბრძანების თანახმად, საპატრულო პოლიციის პირდაპირ მოვალეობაში შედის საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა და დანაშაულის აღკვეთა, ასევე "მშვიდობიანი მიტინგების, დემონსტრაციების და მოქალაქეთა მასობრივი ღონისძიებების მონაწილეთა უსაფრთხოების" უზრუნველყოფა,** - აცხადებს თამარ ხიდაშელი .

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია კიდევ ერთხელ მოუწოდებს შინაგან საქმეთა სამინისტროს,უზრუნველყოს დემონსტრაციების მონაწილეთა უსაფრთხოება, აღკვეთოს ძალადობის შემთხვევები, დაუყოვნებლივ გამოიძიოს უფლებათა დარღვევის თითოეული ფაქტი და შესაბამისი პასუხისმგებლობა დააკისროს საპატრულო პოლიციის იმ თანამშრომლებს, რომლებმაც სამსახურებრივი გულგრილობა გამოიჩინეს კანონით მათზე დაკისრებული მოვალეობების განხორციელების დროს.

**საკუთარი ინფორმაცია**

# რუსთაველზე ინციდენტის შედეგად ორი ახალგაზრდა დაიჭრა

გუშინ წინ, გვიან ღამით, კლასიკური გიმნაზიის წინ მომხდარი ჩხუბისას მოძრაობა "7 ნოემბრის" წევრები - გიორგი ონიანი და მამუკა გირგვლიანი დაჭრეს.

გავრცელებული ინფორმაციით, დაჭრილი მამუკა გირგვლიანი სანდრო გირგვლიანის ბიძაშვილია, ის სახის არეშია დაჭრილი და თბილისის რესპუბლიკურ საავადმყოფოში ოპერაცია ჩაუტარდა. ამასთან, ფეხშია დაჭრილი გიორგი ონიანი. თავდასხმელთა ვინაობა მათთვის უცნობია.

როგორც საპროტესტო აქციის ახალგაზრდული შტაბის წევრმა გიორგი ონიანმა განაცხადა, გვიან ღამით მათ უცნობი პირები დაესხნენ თავს და აქციის მონაწილეებს ჩხუბი გაუმართეს. მისივე თქმით, ისინი გიმნაზიის წინ მიმდინარე კონფლიქტის მონაწილეების გასაშველებლად მივიდნენ, სადაც დაჭრეს მათთვის უცნობმა პირებმა.

მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით, განცხადება გაავრცელა შინაგან საქმეთა სამინისტრომ, რომლის ინფორმაციითაც, 14 აპრილს, 00:05 პარლამენტის წინ შეკრებილ მომიტინგეებს შორის მოხდა ინციდენტი, რომლის შედეგადაც, მსუბუქად დაიჭრა ორი პიროვნება. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით, ძველი თბილისის შს სამმართველოში აღიძრა სისხლის სამართლის საქმე.

პოლიციამ უკვე დაკითხა ორივე დაჭრილი და აგრძელებს სხვა თვითმხილველთა დაკითხვას.

აღნიშნული ინციდენტი დააფიქსირა პარლამენტთან დამონტაჟებული ვიდეოკონტროლის კამერამ. შინაგან საქმეთა სამინისტრომ აღნიშნული ვიდეო მასალაც გაავრცელა.

**საკუთარი ინფორმაცია**

# პირველი სრულყოფილი კვლევა ქუჩის ბავშვებზე

*ფედერაცია "გადავარჩინოთ ბავშვები" დღეს გამართავს კვლევის პრეზენტაციას "ნუ მიწოდებთ ქუჩის ბავშვს! - საქართველოში ურბანული ქუჩის ბავშვების რაოდენობა და მახასიათებლები".*

ქუჩის ბავშვების კვლევა საქართველოში ჩატარდა ფედერაცია "გადავარჩინოთ ბავშვების" მიერ, აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოსა და გაეროს ბავშვთა ფონდის ერთობლივი მხარდაჭერით, სხვადასხვა სახელმწიფო, არასამთავრობო და აკადემიურ წრეებთან თანამშრომლობით. კვლევა საქართველოს ოთხ დიდ ურბანულ ცენტრს მოიცავდა: თბილისი, ქუთაისი, რუსთავი და ბათუმი.

კვლევა ქუჩის ბავშვების პრობლემების პირველი მრავალმხრივი შეფასებაა, რაც კი ოდესმე საქართველოში ჩატარებულა. კვლევის ავტორთა გაცხადებით, იგი მსოფლიო მასშტაბითაც უნიკალურ ინიციატივას წარმოადგენს, რადგან მსგავსი კვლევები ცოტა არსებობს.

კვლევის მიზანი იყო ოთხ მიზნობრივ ურბანულ ცენტრში ქუჩის ბავშვების მიახლოებითი რაოდენობის განსაზღვრა და მათი თავისებურებების აღწერა, ისე, რომ მტკიცებულებებზე დაყრდნობით შესაძლებელი ყოფილიყო პოლიტიკისა და პროგრამული რეკომენდაციების შემუშავება.

კვლევა აჩვენებს, რომ ქუჩის ბავშვების არსებობა საქართველოში დაუცველი ბავშვებისა და მათი ოჯახების წინაშე არსებული მრავალი სოციალურ-ეკონომიკური პრობლემის გამოვლინებაა და არა განცალკევებული ფენომენი. იგი ითხოვს სწრაფ ინტეგრირებულ და კოორდინირებულ მიდგომას ბავშვის რთული ფენომენისადმი, ასევე ოჯახური ფაქტორისა და საზოგადოებრივი სტრესორისადმი, რაც ბავშვს უბიძგებს ქუჩისკენ ან ქუჩაში დარჩენისაკენ.

**საკუთარი ინფორმაცია**

# სასამართლომ 65 წლის ქალბატონი სასამართლო დარბაზიდან გაათავისუფლა

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიამ დააკმაყოფილა მსჯავრდებულ ანეტა სურმანიძის შუამდგომლობა და 65 წლის ქალბატონი სასამართლო სხდომის დარბაზიდან გაათავისუფლა.

ანეტა სურმანიძე სასჯელს თავის საკარმიდამო ნაკვეთში 445 ძირი კანაფის მცენარის დათესვისთვის იხდიდა. სასამართლომ გაითვალისწინა, რომ მსჯავრდებულს სასჯელს ნახევარი მოხდილი აქვს, ინანიებს ჩადენილ დანაშაულს, ხასიათდება დადებითად, რეჟიმის მოთხოვნებს არ არღვევდა, არის ხანდაზმული, ჰყავს მრავალსულიანი ოჯახი და მიიჩნია, რომ მოცემულ ეტაპზე მსჯავრდებულ სურმანიძის მიერ სასჯელის მთლიანად მოხდა საპატიმრო ადგილზე მიზანშეწონილი აღარ არის და სასჯელის შემდგომი მოხდისგან გაათავისუფლა.

# ფხენიანი მოლაპარაკებებს ბოიკოტს უცხადებს

მარიკა იაშვილი


AFP ' 2009

ჩრდილოეთ კორეა ბირთვული პროგრამის განახლებაზე ოფიციალურ განცხადებას აკეთებს. ჩრილოეთ კორეის ხელმძღვანელობა აცხადებს, რომ კორეის ნახევარკუნძულის დენუკლეარიზაციის შესახებ ექვსმხრივი მოლაპარაკებების გაგრძელების აუცილებლობას ვერ ხედავს და მას უაზროდ მიიჩნევს. ოფიციალურმა ფხენიანმა განცხადება ბირთვული იარაღის რაოდენობის გაზრდაზეც გააკეთა და აღნიშნა, რომ მათი შეჩერების ყველა მცდელობა უშედეგოდ დასრულდება.

**ჩვენ ექვსმხრივი მოლაპარაკებები აღარ გვჭირდება. მასში მონაწილეობას აღარასდროს მივიღებთ და არ შევიზღუდავთ თავს არავითარი შეთანხმებით, რომელიც ამ მოლაპარაკებებზე იქნება მიღწეული,** - ნათქვამია განცხადებაში, რომელიც ქვეყნის საგარეო საქმეთა სამინისტრომ გაერო-ს უშიშროების საბჭოს კრიტიკის საპასუხოდ გამოაქვეყნა.

**ჩვენ ვგეგმავთ ნაბიჯების გადადგმას შეჩერებული ბირთვული ობიექტების ხელახლა ასამუშავებლად და დიდი ძალისხმევით ვეცდებით ბირთვული მარაგის გაზრდას, რაც ჩვენი უსაფრთხოებისთვის არის აუცილებელი,** - ნათქვამია განცხადებაში. დოკუმენტში ისიც არის აღნიშნული, რომ ოფიციალური ფხენიანი განაგრძობს მუშაობას ატომური ელექტროსადგურის მშენებლობაზე, რომელიც 1990-იან წლებში ქვეყნის აღმოსავლეთში დაიწყო და ჯორჯ ბუშის ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ შეჩერდა.

ფხენიანი დიდი ხნის წინ აკეთებდა განცხადებას იმის შესახებ, რომ გაერო-ს უშიშროების საბჭოს მხრიდან მისი მოქმედებების გაკრიტიკების შემთხვევაში ექვსმხრივ მოლაპარაკებებს დატოვებდა. ქვეყნის ლიდერების აზრით, გაერო-ს ამგვარი პოზიცია ჩრდილოეთ კორეის მიერ კოსმოსის ათვისების უფლების დარღვევა იქნება.

ექვსმხრივი მოლაპარაკებები პირველად 2003 წელს შედგა და მასში აშშ, ჩინეთმა, იაპონია, რუსეთი, სამხრეთ კორეა და ჩრდილოეთ კორეა მონაწილეობდნენ. მოლაპარაკებების მთავარი შედეგი იყო ის, რომ ოფიციალურმა ფხენიანმა არა მხოლოდ შეაჩერა თავისი ბირთვული პროგრამა, არამედ იონბიონის ექსპერიმენტულ ცენტრში რეაქტორების დემონტაჟიც დაიწყო.

ექვსეული სრული მასშტაბით უკვე წელზე მეტია, არ შეკრებილა და მოლაპარაკებები ჩიხში შევიდა, რადგან მისმა ზოგმა მონაწილემ დაკისრებული ვალდებულებების შესრულებაზე უარი თქვა. საუბარია სამხრეთ კორეასა და იაპონიაზე, რომელთაც ჩრდილოეთ კორეა, ბირთვული ობიექტების დემონტაჟის სანაცვლოდ, საწვავით უნდა მოემარაგებინათ ჩვეულებრივი ელექტროსადგურებისთვის. თავის მხრივ ამერიკა არ დააკმაყოფილა ჩრდილოეთ კორეის მიერ წარმოდგენილმა ცნობებმა ბირთვული პროგრამის შესახებ. ხოლო მათი გადამოწმების გზებზე ვაშინგტონმა და ფხენიანმა შეთანხმება ვერ შეძლეს.

სამშაბათს დილით გაერო-ს უშიშროების საბჭომ გამოაქვეყნა ოფიციალური დოკუმენტი, რომელშიც ჩრდილოეთ კორეის მიერ რაკეტის გაშვებაა გაკრიტიკებული და ნათქვამია, რომ ოფიციალურმა ფხენიანმა ასეთი ქმედება მომავალში აღარ უნდა გაიმეოროს, რადგან ის გაერო-ს 1718-ე რეზოლუციას ეწინააღმდეგება, რომელიც ჩდილოეთ კორეას ნებიმიერის სახის რაკეტების გაშვებას უკრძალავს.

რეზოლუციის შემუშავებაზე, რომელშიც ჩრდილოეთ კორეის ქმედებების მიმართ გაერო-ს პასუხი იქნებოდა გამოხატული, უშიშროების საბჭოს ხუთეული და იაპონია მთელი გასული კვირის განმავლობაში მუშაობდნენ, თუმცა საბოლოოდ ისინი არა საერთაშორისო ძალის მქონე რეზოლუციით, არამედ განცხადებით შემოიფარგლნენ, რომელიც ორგანიზაციის გენერალური მდივნის სახელით გამოქვეყნდა.

განცხადებაში ნათქვამია, რომ თუ ჩრდილოეთ კორეა დაკისრებული ვალდებულებების შესრულებაზე უარს იტყვის, მის მიმართ სანქციები გაძლიერდება. თუმცა იმ შემთხვევაში, თუ სანქციების შესახებ შეთანხება ვერ მოხერხდება, უშიშროების საბჭოს რეზოლუციის მიღებას მოუხდება.

ფხენიანის განცხადებას ის ქვეყნები გამოეხმაურნენ, რომლებიც ექვსმხრივი მოლაპარაკებების მაგიდასთან ჩრდილოეთ კორეის გვერდით ისხდნენ.

რუსეთი უარყოფითად აფასებს ოფიციალური ფხენიანის გადაწყვეტილებას ბირთვული პროგრამის განახლების შესახებ. მოსკოვი ჩრდილოეთ კორეას გაერო-ს უშიშროების საბჭოს 1718-ე რეზოლუციის შესრულებისკენ და ექვსეულის მიერ 2005 წელს მიღწეულ მდგომარეობასთან დაბრუნებისკენ მოუწოდებს. ოფიციალურ მოსკოვს მიაჩნია, რომ კორეის ნახევარკუნძულის დენუკლეარიზაცია აუცილებელია და ჩრდილო-აღმოსავლეთ აზიაში უსაფრთხოების დასაცავად მშვიდობიანი გზები უნდა მოიძებნოს.

რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებაში ნათქვამია, რომ **რუსეთი ამ მიზნების მისაღწევად მსოფლიო თანამშრომლობისთვის არის მზად.** მოსკოვი ოფიციალურ ფხენიანს მოუწოდებს, კიდევ ერთხელ დაფიქრდეს იმ ნეგატიურ შედეგებზე, რომლებიც შეიძლება მის ქმედებებს მოჰყვეს.

ამავდროულად რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი ლავროვი ჩდილოეთ კორეის პრობლემის მოსაგვარებლად კიდევ ერთი საერთაშორისო ფორუმის შექმნის წინააღმდეგია. მას მიაჩნია, რომ ექვსმხრივი მოლაპარაკებები უნდა გაგრძელდეს და მისმა ყველა მონაწილემ მასზე დაკისრებული მოვალეობები რუსეთის მსგავსად უნდა შეასრულოს, თუმცა ჩრდილოეთ კორეაზე ზეწოლის გაძლიერება საჭირო არ არის.

რუსეთის მსგავსად ჩინეთიც წინააღმდეგია, რომ ჩრდილოეთ კორეის წინააღმდეგ სანქციები გაიზარდოს და ზეწოლა გაძლიერდეს. ოფიციალური პეკინი მიიჩნევს, რომ სანქციებს არსებითი შედეგი არ მოჰყვება და ოფიციალურ ფხენიანთან პრობლემების მოსაგვარებლად მოლაპარაკებების განახლებაა საჭირო.

ქვეყნის საგარეო უწყების განცხადებაში აღნიშნულია, რომ რეგიონში მშვიდობისა და სტაბილურობის შესანარჩუნებლად მოთმინების გამოჩენა და ცივი გონებით მსჯელობაა საჭირო.

ჩრდილოეთ კორეის ყველაზე ახლო მეზობელი სამხრეთ კორეა გაერო-ს უშიშროების საბჭოს განცხადების გამო ფხენიანის მკვეთრ რეაქციაზე მშვიდად რეაგირებას აპირებს. ამის შესახებ ოფიციალური განცხადება ქვეყნის საგარეო საქმეთა და საგარეო ვაჭრობის სამინისტროს ოფიციალურმა წარმომადგენელმა გააკეთა. **ჩვენ ვაპირებთ, მშვიდად განვიხილოთ ჩრდილოეთის მუქარა,** - ნათქვამია განცხადებაში.

ჩრდილოეთ კორეის განცხადება ექსპერტებმაც შეაფასეს. მათი ნაწილი მიიჩნევს, რომ ოფიციალური ფხენიანის რეაქცია გაერო-ს განცხადებაზე მოსალოდნელზე მკვეთრი იყო. ისინი მიიჩნევენ, რომ დამოუკიდებლად ჩრილოეთ კორეა რეაქტორების აშენებას ვერ შეძლებს, ხოლო განცხადება იონბენში არსებული ობიექტების აღდგენის შესახებ უფრო მუქარაა, ვიდრე რეალური საფრთხე და ფხენიანისთვის თავად იარაღის ფლობის ფაქტია მნიშვნელოვანი და არა მისი სიმძლავრე.

ექსპერტთა მეორე ნაწილი კი აცხადებს, რომ იმ შემთხვევაში, თუ ჩრდილოეთ კორეაზე ზეწოლა გაძლიერდება, ოფიციალური ფხენიანი ბირთვული იარაღის გამოცდას კიდევ ერთხელ მოინდომებს.

# სოჭის მერობის პრეტენდენტთა რიცხვი შემცირდა

ივა შილაკაძე


*ალექსანდრ ლებედევი.*

სოჭის მერის თანამდებობის დასაკავებლად გამართულ საარჩევნო მარათონს გუშინ კიდევ სამი კანდიდატი გამოაკლდა. ეს არჩევნები ოლიმპიადის გამო (მასშტაბური მშენებლობები და საერთაშორისო ყურადღება), ფაქტობრივად, ფედერალურ მნიშვნელობას იძენს, რაც კანდიდატთა შემადგენლობასაც ეტყობა. თავიდან ამ პოსტის დაკავების 26 მსურველი იყო - ადგილობრივი დონის ჩინოვნიკებიდან და პოლიტიკოსებიდან დაწყებული, ფედერალური პარტიების ლიდერებითა და ბიზნესმენებით დამთავრებული, თუმცა ეს სია დღეისთვის საკმაოდ შეთხელდა.

საარჩევნო კომისიამ რეგისტრაციაში 3 აპრილისთვის ორ ათეულამდე კანდიდატი გაატარა, ხოლო მას შემდეგ სხვადასხვა პრეტენდენტის ჩივილისა და დოკუმენტებში აღმოჩენილი ხარვეზების გამო კიდევ რამდენიმე რეგისტრაცია გააუქმა. მერობის ზოგმა მსურველმა თვითონ მოხსნა საკუთარი კანდიდატურა.

გუშინ და გუშინწინ უკვე ძლიერი ფიგურების ჯერიც დადგა. 13 აპრილს ერთ-ერთ კანდიდატ ვლადიმირ ტრუხანოვსკის მოთხოვნით გააუქმეს ბიზნესმენისა და პოლიტიკოსის ალექსანდრ ლებედევის რეგისტრაცია. ტრუხანოვსკი აცხადებს, რომ საარჩევნო კომისიამ რეგისტრაციაში ლებედევის გატარების დროს "შეცდომები დაუშვა" (?). ალექსანდრ ლებედევი სერიოზული ბიზნესმენია, ფლობს ისეთი მსხვილი კომპანიების აქციათა პაკეტებს, როგორებიც არის "ნაციონალური სარეზერვო ბანკი", "აეროფლოტი", "გაზპრომი", მიხეილ გორბაჩოვთან ერთად ფლობს ოპოზიციურ "ნოვაია გაზეტას", ახლახან შეიძინა გაკოტრების პირას მყოფი ლონდონური "ივნინგ სტანდარდი". ლებედევი ბოლო პერიოდში აქტიურად აკრიტიკებდა ზამთრის ოლიმპიადის მოსამზადებელ სამუშაოებს. ის აცხადებს, რომ ადგილობრივი სასამართლოს მიერ მისი რეგისტრაციის გაუქმება პოლიტიკურად არის მოტივირებული. ლებედევი ამ გადაწყვეტილების გასაჩივრებას აპირებს, მანამდე კი საარჩევნო კამპანიას ჩვეულ რეჟიმში გააგრძელებს.

ორშაბათსავე საკუთარი კანდიდატურა მოხსნა პარტია "პრავოე დელოს ერთ-ერთმა ლიდერმა ანდრეი ბოგდანოვმა. იგი შარშან რუსეთის პრეზიდენტის პოსტზეც იყრიდა კენჭს, მაგრამ ხმების, დაახლოებით, ერთი პროცენტი მიიღო. მან თავისი კანდიდატურა მმართველი პარტიის "ერთიანი რუსეთის" წარმომადგენლის, სოჭის მერის მოვალეობის დროებით შემსრულებელ ანატოლი პახომოვის სასარგებლოდ მოხსნა. ეს პარტია თვითლიკვიდირებული "მემარჯვენე ძალთა კავშირის" ბაზაზე იმ წევრების მიერ შეიქმნა, რომლებიც კრემლთან თანამშრომლობის გზას დაადგნენ. უფრო ცნობილი ძველი ლიდერები - ნემცოვი, ხაკამადა და სხვები ან აქტიურ ოპოზიციაში რჩებიან, ან პოლიტიკისგან განზე გადგნენ (უაზრობის გამო).

გუშინ სასამართლომ გააუქმა კიდევ ერთი კანდიდატის "სამართლიანი რუსეთის" წარმომადგენელ ვიქტორ კურპიტკოს რეგისტრაცია. ამის საფუძველი გახდა დოკუმენტების არასწორი შევსება გირაოს შეტანის დროს. ეს პარტიაც აპირებს სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრებას. გუშინვე სასამართლომ უსაფუძვლოდ მიიჩნია და არ დააკმაყოფილა კომპარტიის წარმომადგენელ იური ძაგანიას მოთხოვნა ანატოლი პახომოვის რეგისტრაციის გაუქმების შესახებ. სასამართლო არ დაეთანხმა კანონმდებლობის "კომუნისტურ" ინტერპრეტაციას. პახომოვის რეგისტრაციის გაუქმების მოთხოვნას მოძრაობა "სამართლიანობის" ლიდერი ბორის ნემცოვიც აპირებს. ეს უკანასკნელი მიიჩნევს, რომ მმართველი პარტიის წარმომადგენელი დარღვევებით აწარმოებს საარჩევნო კამპანიას და აქტიურად იყენებს სამსახურებრივ მდგომარეობას.

დღეისთვის საარჩევნო მარათონს შემორჩნენ "ერთიანი რუსეთის" წარმომადგენელი ანატოლი პახომოვი, "სამართლიანობის" ლიდერი ბორის ნემცოვი, კომპარტიის წარმომადგენელი იური ძაგანია, ლიბერალურ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელი ალექსეი კოლესნიკოვი და ორი ბიზნესმენი - პაველ ემელიანენკო და ვლადიმირ ტრუხანოვსკი.

# ოპოზიციის მარცხი

## ნაომარი ტაილანდი ახალ წელს აღნიშნავს

მარიკა იაშვილი

ტაილანდში ანტისამთავრობო დემონსტრაციები დასრულდა. ლიდერები პოლიციას ბარდებიან, აქციის მონაწილეები კი მათ მიერვე ოკუპირებული ტერიტორიიდან 60 ავტობუსით გაიყვანეს. თავისუფალია მთავრობის სახლის წინ მდებარე მოედანი, რომელიც მანიფესტანტებს 26 მარტიდან ჰქონდათ ოკუპირებული. დედაქალაქის ცენტრალურ მოედანთან დისლოცირებული სამხედრო ძალების რაოდენობის გაზრდის შემდეგ, ოპოზიციის ლიდერებმა განაცხადეს, რომ სისხლისღვრა არ სურთ და სამართალდამცავებს ჩაბარდნენ.

გათავისუფლებულ მოედანზე ამჟამად 300 ტაილანდელი სამხედრო პატრულირებს. დენონსტრანტებმა რკინის ბარიერების, არმატურის, საბურავების და ხის ყუთებისგან აშენებული ბარიკადები დატოვეს. მათგან ტერიტორიის გასათავისუფლებლად მოედანზე მუნიციპალური სამსახურების წარმომადგენლები და სპეცტექნიკა მუშაობს.

მანიფესტაციის ლიდერებმა განმარტეს, რომ მთავრობის სახლის მიმდებარე ტერიტორიის დატოვება დემონსტრანტების უსაფრთხოების მიზნით გადაწყვიტეს. თუმცა ამავდროულად, ისინი ხელისუფლებისთვის ბრძოლაზე უარის თქმას არ აპირებენ. **ჩვენ დავბრუნდებით და დემოკრატიისთვის ბრძოლას გავაგრძელებთ,** - აცხადებს ერთ-ერთი აქტივისტი ვირა მუსკაპონგი.

სამშაბათს დილით გავრცელდა ინფორმაცია, რომ მთავრობის სახლისკენ, სადაც პოლიციასა და სამხედროებს ალყაში ჰყავდათ მოქცეული სამი ათასი დემონსტრანტი, ჯავშანტრანსპორტიორები მიემართებოდნენ. გაჩნდა ვარაუდი, რომ ოპოზიციონერთა დასაშლელად ხელისუფლება ძალისმიერი ოპერაციის ჩატარებას გეგმავდა. პასუხად მანიფესტანტები გაზის აფეთქებით იმუქრებოდნენ, თუმცა მიუხედავად ამისა, პრობლემა მშვიდობიანი გზით მოგვარდა.


დემონსტრანტები მანიფესტაციის ადგილს დროშებით ტოვებენ

AFP ' 2009

წითელ პერანგებში გამოწყობილმა 30 ათასამდე დემონსტრანტმა კვირას ბანგკოკის ორი უმნიშვნელოვანესი გზაჯვარედინი დაიკავა. ისინი ამჟამინდელ პრემიერ-მინისტრ აბჰისტა ვეტჩაჩივას გადადგომას ითხოვდნენ. მანიფესტანტები მხარს უჭერდნენ განდევნილ პრემიერ ტაქსინ ჩინავატას, რომელმაც თანამდებობა 2006 წელს დაკარგა.

ორშაბათს, არეულობის დროს ორი ადამიანი დაიღუპა, ხოლო 83 დაშავდა. 27 დაზარალებული საავადმყოფოებში გადაიყვანეს.

მასობრივი არეულობის გარდა, დემონსტრანტებმა სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების ასოციაციის სამიტიც ჩაშალეს, რომელიც ტაილანდში შაბათს უნდა ჩატარებულიყო. ამის გამო ქვეყნის ხელისუფლება იძულებული გახდა, სამიტზე დასასწრებად ჩასული პრეზიდენტებისა და მთავრობის მეთაურების ევაკუირება ვერტმფრენებით მოეხდინა.

ტაილანდის პრემიერ-მინისტრმა აბჰისტ ვეტჩაჩივამ ქვეყანაში შექმნილი რთული ვითარების გამო კამბოჯაში ვიზიტი გადადო. ის თავის კამბოჯელ კოლეგა ხუნ სენომს და კამბოჯის მეფე ნოროდომ სიამონის უნდა შეხვედროდა და ინდუსთა ძველი ტაძრის პრეახ ვიხეარის ირგვლივ შექმნილი სასაზღვრო კონფლიქტის საკითხი განეხილა.

მასობრივი ინფორმაციის საშუალებები აღნიშნავენ, რომ ვეტჩაჩივამ, როგორც იქნა, შეძლო რეაბილიტაცია ჩაშლილი სამიტის შემდეგ, როდესაც მას ყველა შეხვედრის გადადება და გაცოფებული ბრბოსგან გაქცევა მოუხდა. ვეჩტატივას პოზიციები იმანაც გაამყარა, რომ მან არმიისგან სრული მხარდაჭერა მიიღო.

ჩინავატას მომხრეები ქვეყნის უკლებლივ ყველა გაზეთმა გააკრიტიკა და ოპოზიციონერებს ტერორისტები და თავზეხელაღებულები უწოდა. საპასუხოდ ყოფილმა პრემიერმა დემონსტრაციის მონაწილეთა ბანაკში ადგილობრივი პრესის შეშვება აკრძალა და ჟურნალისტებს მოსყიდულები და არაპროფესიონალები უწოდა.

ბანგკოკში ვითარება თანდათან მშვიდდება, ქალაქი თითქმის დაუბრუნდა ნორმალურ ცხოვრებას. დაძაბულობის შემცირებას ხელი შეუწყო ქვეყნის არმიამ და მთავრობის ძალიხმევამ. დიდი როლი ითამაშა სონგრანის - ტაილანდური ახალი წლის დადგომამაც.

უკვე მოწესრიგდა დაზარალებული რაიონებიც და გადატანილ ბრძოლებს მხოლოდ ქალაქის ცენტრში დარჩენილი დამწვარი ავტობუსები მოწმობს. ქუჩებში სრულად აღდგა მოძრაობა, ქუჩები ხალხით გაივსო და ღისშესანიშნაობათა დათვალიერებაც შესაძლებელი გახდა. ტურისტებს ძველებურად შეუძლიათ სამეფო სასახლისა და მუზეუმის მონახულებაც. სამეფოს სტუმრები სონგრანის ფესტივალშიც მონაწილეობენ.

მოკლე დროში აღდგენილი სტაბილურობის მიუხედავად, ექსპერტები ფიქრობენ, რომ კრიზისის დასრულებაზე ლაპარაკი ჯერ ადრეა და სამდღიანი დღესასწაულის შემდეგ ვითარება შესაძლოა ხელახლა დაიძაბოს.

# სომალის სანაპიროსთან მეკობრული ავანტიურა გრძელდება

ხათუნა გაბიევი

სომალის სანაპიროებთან მეკობრეების აქტიურობა არ წყდება. მასმედიაში პერმანენტულად ჩნდება ინფორმაცია კიდევ უფრო მეტი გატაცებული ხომალდისა და დატყვევებული მეზღვაურების შესახებ. ამჯერად მეკობრეებმა ბერძნული ხომალდი იგდეს ხელთ, სადაც ეკიპაჟის 22 წევრი იმყოფებოდა. გავრცელებული ცნობებით, იერიშის შედეგად არავინ დაშავებულა, ხოლო ბორტზე მყოფი გუნდის წევრების მოქალაქეობის შესახებ ზუსტი ინფორმაცია ჯერჯერობით არ არსებობს.

ტანკერი მეკობრეებმა ხომალდ "მაერსკ ალაბამას" დატყვევებული ამერიკელი კაპიტნის რიჩარდ ფილიპსის გათავისუფლების ოპერაციიდან მეორე დღეს იგდეს ხელთ. ოპერაციის მსვლელობისას ამერიკელ სამხედროთა ტყვიებს სამი მეკობრე ემსხვერპლა.

ბერძნული ხომალდის პარალელურად, მეკობრეებმა სომალის ნაპირებთან ორი ეგვიპტური თევზსაჭერი გემის ხელში ჩაგდებაც მოახერხეს. ეგვიპტის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლის განცხადებით, სომალიში ეგვიპტის ელჩმაც დაადასტურა სანაპიროსთან გემების გატაცების ფაქტი. მიტაცებული ხომალდების ეკიპაჟის წევრთა რაოდენობა 24-დან 28 პირამდე მერყეობს.

სომალის ნაპირებთან თავდასხმის დიდი ალბათობის გამო სხვა ხომალდებს ეკრძალებათ ამ რაიონში მოხვედრა.

საინფორმაციო სააგენტო "ეი-პი"-ს თანახმად, მიმდინარე კვირის დასაწყისში მეკობრეებმა კიდევ ერთი სატვირთო ხომალდი გაიტაცეს. გავრცელებული ცნობებით, ბოროტმოქმედებმა "Irene E.M." სამშაბათს გამთენიისას იგდეს ხელთ. ჯერჯერობით გაურკვეველია, რომელი სახელმწიფოს საკუთრებას წარმოადგენს სატვირთო ხომალდი. ინციდენტის დეტალებზე მოკვლევა მიმდინარეობს.



სომალის სანაპიროსთან მეკობრული ავანტიურა გრძელდება

AFP ' 2009

სომალის ხელისუფლება დამოუკიდებლად ვერ უმკლავდება მეკობრეობის პრობლემას. გაერო-ს მონაცემებით, 2008 წელს აფრიკული რქის სანაპიროსთან 120 თავდასხმაა რეგისტრირებული. ექსპერტთა შეფასებით, გასულ წელს მეკობრეების "შემოსავალმა", დაახლოებით, 150 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.

ადრე ფრანგმა სამხედროებმა მეკობრეებს იახტა ჩამოართვეს. ოპერაციას ორი ბოევიკი და ხომალდის მფლობელი ემსხვერპლა. ზოგიერთი ექსპერტის აზრით, ასეთი კონფლიქტების ძალისმიერი მეთოდებით გადაჭრას შესაძლოა რეგიონში ძალადობის კიდევ უფრო გამწვავება მოჰყვეს. თანაც ცნობილია, რომ მეკობრეებმა თანამებრძოლების დაღუპვის გამო შურისძიების განზრახვაზე უკვე გააკეთეს განცხადება.

ბერძნული ტანკერის მიტაცებამდე ვრცელდებოდა ინფორმაცია სომალელი მეკობრეების ხელში მოხვედრილი 13 ხომალდის შესახებ, რომელთა ბორტზეც სხვადასხვა ეროვნების 228 წარმომადგენელი იმყოფება.

ფილიპსის გათავისუფლების შემდეგ, 13 აპრილს, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტ ბარაკ ობამას განცხადების თანახმად, ამერიკას კატეგორიულად სურს სომალის სანაპიროებთან მეკობრეთა თვითნებობის აღკვეთა.

**"ამ საკითხზე შეერთებული შტატები აქტიურად ითანამშრომლებს სხვა სახელმწიფოებთან,"** - აღნიშნა ბარაკ ობამამ.

ამჟამად ოფიციალური ვაშინგტონი მეკობრეების წინააღმდეგ ბრძოლის სხვადასხვა ვარიანტს განიხილავს. ბევრ სამხედრო ანალიტიკოსს მიაჩნია, რომ მეკობრეებთან ეფექტიანი ბრძოლის წარმართვისთვის აუცილებელია ხმელეთზე მათი ბაზების განადგურება. თუმცა, დამკვირვებლები ასეთ მეთოდს ეჭვის თვალით უყურებენ და გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში ამერიკელების წარუმატებელ კამპანიას იხსენებენ. ამასთან, სახმელეთო ოპერაციებში მნიშვნელოვნად იზრდება მშვიდობიანი მოქალაქეების დაღუპვის რისკიც.

პენტაგონის ხელმძღვანელ რობერტ გეითსს კი მიაჩნია, რომ სომალელი მეკობრეების პრობლემის სუფთა სამხედრო გზით დაძლევის შესაძლებლობა თითქმის არ არსებობს. მისი თქმით, იმ ოთხი მეკობრის ასაკი, რომლებმაც გასულ კვირას "მაერს ალაბამას" კაპიტანი ხუთი დღის მანძილზე ჰყავდა დატყვევებული და გამოსასყიდად 2 მლნ აშშ დოლარს ითხოვდნენ, 17-დან 19 წლამდე მერყეობს.

**"მანამდე, ვიდრე სომალიში მცხოვრებ ლატაკთა რიცხვი დიდია, ხოლო საბრალდებო სკამზე მოხვედრის შანსი მცირე, ვითარების კონტროლზე აყვანის რეალური შესაძლებლობა არ არსებობს. ხმელეთზე სამხედრო ოპერაციის ნაცვლად საჭიროა ისეთი ღონისძიებების შემუშავება, რაც ხელს შეუწყობს მოზარდთა ცხოვრების ნირის შეცვლას. მოზარდები ცეცხლსასროლი იარაღით არიან აღჭურვილნი. თქვენც კარგად გესმით, ამას როგორი შედეგები შეიძლება ჰქონდეს. სომალელი მეკობრეების საკითხი სერიოზული საერთაშორისო პრობლემაა და მათთან ბრძოლა ობამას ადმინისტრაციის კიდევ ერთი პრიორიტეტი გახდება საერთაშორისო ასპარეზზე,"** - განაცხადა რობერტ გეითსმა ჟურნალისტებთან კუონტიკოში საზღვაო ქვეითთა კორპუსის კოლეჯის სტუდენტებთან შეხვედრის შემდეგ.

# რევიუ



*როგორც ცნობილია, პოპის ყოფილმა მეფემ, მაიკლ ჯექსონმა ფინანსური პრობლემების გამო წლების განმავლობაში დაგროვილი უნიკალური საავტორო ნივთების, ხელოვნების ნიმუშებისა და სხვა პირადი ნივთების გაყიდვა გადაწყვიტა. მისი სიმდიდრის აუქციონი უკვე დაწყებულია. ფოტოზე ხედავთ XVIII საუკუნეში დამზადებულ უნიკალურ ჭადრაკს, რომელიც თურმე ჯექსონს ძალიან ყვარებია და რომელთან განშორებაც ყველაზე მეტად უმძიმს.*

## ეგვიპტელები წამლებს ყურძნისგან ამზადებდნენ

პენსილვანიის უნივერსიტეტის არქეოლოგებმა და ბიოლოგებმა აჩვენეს, თუ როგორ ამზადებდნენ ძველი ეგვიპტელები წამლებს ღვინოზე: მასში ურევდნენ ბალახებს. გამოკვლევა ორ ნიმუშს ჩაუტარდა. ერთ-ერთი მათგანი ამოიღეს ჭურჭლიდან, რომელიც, სავარაუდოდ, ძვ.წ.აღ-ის 3150 წელს მიეკუთვნებოდა, ხოლო მეორე - ძვ.წ.აღ-ის VI-VI საუკუნეებს. მეცნიერების მიერ გაკეთებული დასკვნები ჟურნალში - Proceedings of the National Academy of Science (PNAS) დაიბეჭდა. ამის მოკლე შინაარსი მოყვანილია გაზეთში The Telegraph.



უფრო ძველ ჭურჭელში, რომელიც ფარაონ სკორპიონ პირველის (წინადინასტიური ეპოქა) სახელით ცნობილი მმართველის სამარხში მოიპოვეს, სხვადასხვა სახეობის ბალახი აღმოაჩინეს, მათ შორის: პიტნა და შალფეი. ერთ ამფორაში კი, რომელიც ჩვენი წელთაღრიცხვის პირველ ათასწლეულს მიეკუთვნება, ღვინო ფისს შეიცავდა. აღსანიშნავია, რომ სამედიცინო პაპირუსებში ძველი ეგვიპტელების მიერ გამოყენებული ბალახები მოხსენიებულია როგორც სხვადასხვა დაავადების - მუცლის მოშლიდან ჰერპესის ჩათვლით - სამკურნალოდ.

ამ გამოკვლევის ხელმძღვანელია პენსილვანიის უნივერსიტეტის ანთროპოლოგიის ფაკულტეტის წარმომადგენელი - პატრიკ მაკგოვერი. მან ერთ-ერთმა პირველმა გამოიყენა არქეოლოგიაში ანალიტიკური ქიმია. ის ავტორია სამეცნიერო-პოპულარული წიგნისა Ancient Wine: The Search for the Origins of Vini culture ( უძველესი ღვინო: მეღვინეობის კულტურის საწყისების ძიებაში ).

ამასთან, საინტერესოა გამოკვლევა, რომელიც ცნობილი ეგვიპტელი ფარაონის - ტუტანხამონის სამარხში გაკეთდა. მასში აღმოჩენილი ჭურჭლის შესწავლამ აჩვენა, რომ ახალგაზრდა ფარაონი იმქვეყნიურ ცხოვრებაში თეთრი ღვინის დიდი მარაგით გაემგზავრა . ეს ფაქტი ნამდვილ აღმოჩენად იქცა, რადგან ეგვიპტურ წყაროებში თეთრი ღვინო პირველად მხოლოდ ძვ.წ.აღ-ის მესამე საუკუნეშია მოხსენიებული, ანუ ტუტანხამონის გარდაცვალებიდან 1600 წლის შემდეგ. ამის შესახებ ინფორმაციას New Sciantist ავრცელებს.

ტუტანხამონის სამარხში ღვინის ექვსი ჭურჭელი აღმოაჩინეს. ფარაონის დასაფლავების დღიდან (ძვ.წ.აღ-ის 1352 წელი) ჩვენს ეპოქამდე სასმელი მთლიანად აორთქლდა. და მიუხედავად იმისა, რომ ყველა ჭურჭელზე მოსავლის წელი იყო მითითებული, ასევე ყურძნის დასახელება და მისი პატრონის სახელიც კი, ღვინის ფერის ამოცნობა ადვილი არ აღმოჩნდა.

ძველად გამოქვეყნდა მონაცემები იმის შესახებ, რომ ბერსელონას უნივერსიტეტის მეცნიერთა ერთმა ჯგუფმა ჩაატარა სითხის ანალიზი და დარწმუნდა, რომ ჭურჭელში წითელი ღვინო ინახებოდა.

თუმცა, ჟურნალის New Sciaentist თანახმა, უფრო ზუსტმა და საფუძვლიანმა გამოკვლევამ აჩვენა, რომ მართალია ყველა ჭურჭელში ნაპოვნია ღვინის მჟავა, მხოლოდ ერთ-ერთი შეიცავდა მჟავას, რომელიც წითელი ყურძნის კანის შემადგენლობაში შედის. ამის მაგალითზე, მეცნიერებმა დაასკვნეს, რომ დანარჩენი ჭურჭელი თეთრ ღვინოს ინახავდა.



# აფიშა

## 15 აპრილი

**თეატრი**

რუსთაველის თეატრი (მცირე სცენა)
"გედის სიმღერა"
დასაწყისი: 19.00

მარჯანიშვილის თეატრი
"პიგმალიონი"
დასაწყისი: 20.00

მარჯანიშვილის თეატრი (თეატრი სხვენში)
"შერცხვენილნი" (პრემიერა)
დასაწყისი: 20:00 -

თავისუფალი თეატრი
"ემიგრანტები" (სოხუმის თეატრის სპექტაკლი)
დასაწყისი: 19:00

თეატრალური სარდაფი რუსთაველზე
"უჩინმაჩინის ქუდი"
დასაწყისი: 20:00

**კინო**

"ამირანი"
"გასეირნება ყარაბახში 2: კონფლიქტის ზონა"
დასაწყისი: 12.30; 14.30; 16.30; 18.30; 20.30; 22.15
"ნიკი და ნორა"
დასაწყისი: 12.00; 16.00; 20.00
"სხვა სამყარო"
დასაწყისი: 14.00; 18.00; 22.15

"საქართველო"

"დესპეროს თავგადასავალი"
დასაწყისი: 13:00; 15:00
"გასეირნება ყარაბაღში 2: კონფლიქტის ზონა"
დასაწყისი: 17:00; 21:00
"სხეულის გარეშე"
დასაწყისი: 19:00

**გამოფენები**

არტ გალერეა "ლაინი"
ქართველი მხატვრების მუდმივმოქმედი ექსპოზიცია - (ფერწერა, ქანდაკება)

მეიდან არტ ჰოლი
ქართველი მხატვრების მუდმივმოქმედი ექსპოზიცია - (ფერწერა, ქანდაკება)

თბილისის ისტორიის მუზეუმი "ქარვასლა"
იტალიის საელჩო გიწვევთ გამოფენაზე - "იტალიური სტილი".

"მანანა არტ სალონი"
თანამედროვე ქართული სახვითი და გამოყენებითი
ხელოვნების ნამუშევართა გამოფენა

გალერეა "კამეა"
ქართველი მხატვრების ჯგუფური გამოფენა
(ფერწერა, გრაფიკა, ფაიფური, მინანქარი, ხის ნაკეთობები...)

მინანქრის გალერეა "ორნამენტი"
მუდმივმოქმედი ტიხრული მინანქრის გამოფენა-გაყიდვა

თვალსაზრისი

# გამეორება ცოდნის დედაა, თუ ფანტაზიის სიმწირე?

ლაშა ჩხარტიშვილი
თეატრმცოდნე



ოსიკო – ზაალ გოგუაძე



ოსიკო – დათუნა გოცირიძე

ქართული თეატრის შემოქმედებითი კრიზისის საკითხზე დღეს აღარავინ კამათობს. გადაგვარების, თუ გარდაქმნის პირას მდგარი, ერთ დროს საამაყო ქართული თეატრი ფაქტია, რომ სულს ღაფავს. ჩვენი თეატრის მოღვაწეები, კი ამ კრიზისიდან თავის დაღწევაზეც თითქმის არ ფიქრობენ. თეატრის მოღვაწეებში ამ შემთხვევაში, რეჟისორებს ვგულისხმობ, რომლებიც ქმნიან და წარმართავენ თეატრის შემოქმედებით პოლიტიკას. უპირველესად, მათ ძალუძთ თეატრის ამ გაურკვეველ ლაბირინთიდან გამოყვანა, რადგან კარგა ხანია წარსულს ჩაბარდა დრამატურგის და მსახიობის თეატრი. XXI საუკუნის თეატრში ლიდერის პოზიციას ინერციით კვლავ რეჟისურა იკავებს.

თანამედროვე ქართული თეატრის კრიზისის მიზეზზე თითქმის არ დავფიქრებულვართ, არადა მიზეზი ბევრია და არაერთგვაროვანი. ერთის მხრივ, საჯაროობამ და დემოკრატიამ, სრულ აგონიაში ჩააგდო იმ თეატრალური ესთეტიკის რეჟისორები, რომლებიც ალეგორიებით და მეტაფორებით აზროვნებდნენ საბჭოთა ცენზურის გამო, რამაც რაოდენ გასაკვირი არ უნდა იყოს, ხელი შეუწყო შემოქმედებით ექსპერიმენტებს და ფორმათა ძიებებს მაშინ. ამ ინერციით აგრძელებენ თავიანთ შემოქმედებას რობერტ სტურუა და თემურ ჩხეიძე და მათ ვერც მოვთხოვთ დაჟინებით ვერაფერს, რადგან მათი ცდები ახალი ფორმების შექმნის მიმართულებით, უბრალოდ ყალბი და არადამაჯერებელი იქნება. მართალია, რობერტ სტურუა შეეცადა მხარი აება თანამედროვე სათეატრო ტენდეციიებისათვის, რითაც პრეცედენტი დაუშვა პლაკატურობის და ილუსტრაციულობის ნიშნების დამკვიდრების რუსთაველის თეატრის სცენაზე (ლაშა ბუღაძის ჯარისკაცი, სიყვარული, დაცვის ბიჭი და პრეზიდენტი... ; თამაზ ჭილაძის "ჭალას ჩიტი მომკვდარიყო"), მაგრამ ორივე მცდელობა, ჩემი აზრით, მარცხით დამთავრდა, რადგან ნაკლოვანებების მიუხედავად, სპექტაკლები მაინც აკადემიურია, ისეთი, როგორიც ტრადიციულ რუსთაველის თეატრს შეეფერება. გარდა ამისა, "სტურუას თეატრს" არ მოუხდა თანამედროვე თეატრის მდარე ხარისხის ილუსტრატიულობა და პლაკატურობა, უფრო მეტიც, რეჟისორს თაყვანისმცემლებმა არ აპატიეს ასეთი ტენდენციის გაღვივება მის შემოქმედებაში. მათ უყვართ, მოსწონთ და შეეჩვივნენ ალეგორიულ სტურუას და ვერც გავამტყუნებთ. თემურ ჩხეიძეს, სტურუასგან განსხვავებით, არც უცდია ექსპერიმენტების ჩატარება ამ მიმართულებით. მისი ექსპერიმენტები ფსიქოლოგიურ-რეალისტური თეატრის სივრცეში რეალიზდება მხოლოდ. ლიდერ რეჟისორთა თაობის სხვა რეჟისორები, რომლებიც ქმნიდნენ ქართულ საბჭოთა თეატრს, მაგრამ მხატვრულად ღირებულს (გოგი ქავთარაძე, გიზო ჟორდანია, ლევან მირცხულავა, შალვა გაწერელია და სხვები) ნაწილი შემოქმედებითად გაიყინა, ნაწილი კი, საერთოდ ჩამოშორდა თეატრს.

რაც შეეხება მომდევნო თაობის რეჟისორებს, მათი უმრავლესობა დღეს თბილისის და რეგიონების თეატრებს ხელმძღვანელობენ. მიუხედავად იმისა, რომ მათ ხელშია ყოველგვარი ბერკეტი თავისუფალი შემოქმედებითი ძიებების, სივრცე ექსპერიმენტებისთვის და ფული იდეების რეალიზებისთვის, ისინი შემოქმედებით ძიებებს და ექსპერიმენტებს თითქმის არ მიმართავენ. გაზარმაცდნენ, გახდნენ კომფორმისტები, ჩამოყალიბდნენ ნამდვილ "ხალტურშიკებად", რამაც მათი ნაადრევი დაშტამპვა და შემოქმედებითი რეგრესი გამოიწვია.

ქართულ თეატრს კრიზისის თაობაზე უბრალო პოლიტიკოსიდან დაწყებული, რიგითი მაყურებლით დამთავრებული უკიჟინებს, ამ დროს კი, თავად თეატრის წარმომადგენლები ჯერ არ დავფიქრებულვართ და არც გაგვიანალიზებია (ყოველ შემთხვევაში მე არ მახსენდება) გამყინვარების და სავალალო დაშტამპვის გამომწვევი მიზეზი. ის კი, არა ერთია და სხვადასხვა კატეგორიის. ფაქტია, რომ ქართული თეატრი დღეს გარდატეხის მიჯნაზე დგას, კვლავ დადგა დღის წესრიგში მისი არსებობის აუცილებლობა - არ აუცილებლობის საკითხი. სწორედ ამ დროს, ჩვენი უმოძრაობის პარალელურად, ევროპელი თეატრის გულშემატკივრები და მოღვაწეები ეძებდნენ ახალ ფორმებს, სხვა გამომსახველობით საშუალებებს. მათ ყველაფერი გააკეთეს, რომ თეატრი, როგორც მოვლენა, არ ქცეულიყო ცივილიზაციის ისტორიის კუთვნილებად. ამ დაუცხრომელმა შრომამ, ახლის შექმნის ინტერესმა, XXI საუკუნის დასაწყისის ევროპული თეატრი კრიზისიდან გამოიყვანა. შეიქმნა უამრავი თეატრალური მიმდინარეობა, ფორმა, ჟანრი, რომელთა უმეტესობას თანამოაზრეთა ფართო წრე ჰყავს.

რადიკალურად განსხვავებული სიტუაციაა ჩვენში. თანამედროვე ქართული თეატრი დღითი დღე კარგავს თავის ავტორიტეტს, პოზიციებს და სულ უფრო ხშირად უხდება იმის მტკიცება, რომ ის სჭირდება ერს, საზოგადოებას, სახელმწიფოს. კარგა ხანია არ გვინახავს სპექტაკლი, რომელიც აღგვაფრთოვანებდა და აღფრთოვანებით გამოწვეული განცდა რამდენიმე დღე მაინც გაგვყებოდა. ყველა ემოცია ჩაქრა და დღეს უკვე დავიწყებას მიეცა ესთეტიკური ტკბობის სუმბურულობის გამო. თეატრებში ნანახი სპექტაკლებით მიღებული ემოცია იმდენად ფრაგმენტულია, რომ მეხსიერებს არ რჩება. თუმცა ბოლომდე გულწრფელი რომ ვიყო, ვიტყვი, რომ განსაკუთრებული ემოციები აღძრა ჩემში რუსთაველის თეატრის სპექტაკლმა "დარისპანის გასაჭირი". რაც შეეხება ექსპერიმენტებს, ჩვენში ყოველგვარი ასეთი მცდელობა ფრაგმენტულია და განუვითარებელი.

თავის მხრივ, თანამედროვე ქართულ თეატრს არც უცდია კრიზისიდან თავის დაღწევა. რეჟისურაში მოვიდა, უწიგნური, გაუნათლებელი, კომფორმისტი, ინტერესების და პოზიციების უქონელი თაობა, რომლებიც მხოლოდ ამბიციურობით, ამპარტავნობით და ფანტაზიის სიმწირით გამოირჩევა. ფანტაზიის სიმწირეს კი უნიჭობასთან ერთად, ნაკლებ ინფორმირებულობა იწვევს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თეატრში შემოქმედებითი კრიზისის მთავრობაზე გადაბრალება არასერიოზული მიდგომაა საკითხისადმი. "ვარდების რევოლუციის" შემდეგ საგრძნობლად, თითქმის, ორჯერ გაეზარდა ბიუჯეტები თეატრებს. (თუ არ ჩავთვლით ფოთის, მესხეთის და სამეფო უბნის თეატრებს). ის, რომ მესხეთის თეატრი სახელმწიფოს მიერ დღეს უყურადღებოდ არის მიტოვებული, სახელმწიფოებრივი დანაშაულია, მაგრამ შემოქმედებით კრიზისის პრობლემასთან მაინც არ ასოცირდება.

სახელმწიფო ისევ ინახავს (და უნდა ინახავდეს!) თეატრებს, ახორციელებს სხვადასხვა სახის პროგრამებს სათეატრო მიმართულებით, დაფინანსებულია არა ერთი თეატრალური ექსპერიმენტული პროექტი, თუმცა შედეგი, არაადეკვატურია. (მაგალითად, ნინო ბურდულის სპექტაკლი "ვთამაშობთ თოლიას") დაფინანსებული თეატრები უნდა ეძებდეს, მუდმივად ატარებდეს ექსპერიმენტებს, ზრდიდეს თავის მხატვრულ დონეს და უნდა ვითარდებოდეს. მართალია, მხოლოდ ფული არ ქმნის შედევრებს, მაგრამ ფაქტია, რომ შემოქმედებითმა მუხტმა საგრძნობლად მიიძინა და ამ მეტად არტისტულ გენში თითქმის ჩაქრა. იმძლავრა კომფორმიზმმა. რეჟისორთა უმეტესობა მიღწეულით კმაყოფილია, თვითკმაყოფილების გრძნობამ იმდენად დაისადგურა ჩვენს რეჟისურაში, რომ ყველამ თავი გენიოსად და შედევრების ავტორად გამოაცხადა. ახალგაზრდა რეჟისორები (სხვათაშორის ხელოვანებიც) ისე გველაპარაკებიან ტელეეკრანებიდან, როგორც გამოცდილი, ხანდაზმული ბრძენ-ფილოსოფოსები, ლამის ერის სულიერ მამად რომ მივიჩნევთ.

კომფორმიზმში ჩაძირული რეჟისორები ახალ პიესებზე ფიქრით და მათი სპექტაკლებად ქცევით თავს აღარ იწუხებენ, მათ ურჩევნიათ უკვე დადგმული სპექტაკლები გაიმეორონ. ამ საშიშმა ტენდენციამ იმდენად იმძლავრა ჩვენში, რომ უკვე სერიოზულ პრობლემად იქცა. მისი მიზეზი ფანტაზიის სიმწირეში უნდა ვეძიოთ, რაც ლოგიკურად გულისხმობს ხალტურას და თითქმის გამორიცხავს ყოველგვარ მხატვრულ ექსპერიმენტს, რადგანაც ასეთ შემთხვევაში არ იცვლება სპექტაკლის კონცეფცია და რეჟისორული გადაწყვეტა. ამ მხრივ ლიდერები ჩვენს თანამედროვეობაში სამწუხაროდ, ბევრნი არიან. მოვიყვანთ რამოდენიმე მაგალითს: ლევან სვანაძეს არა ერთხელ დაუდგამს ლაშა თაბუკაშვილის "მერე რა, რომ სველია, სველი იასამანი?!". მათ შორის, ყველაზე გახმაურებული დადგმები იყო ქუთაისის და ბათუმის თეატრებში. სოსო ნემსაძემ კი ნინო ნაკაშიძის "ვინ არის დამნაშავე?" ჯერ თეატრში "გლობუსი" წარმოადგინა, ხოლო შემდეგ ჭიათურის სცენაზე. იგივე რეჟისორმა მიხეილ ჯავახიშვილის "თეთრი საყელოს" და შალვა დადიანის "გუშინდელნის" სამ-სამი "ვერსია" შექმნა. პირველი დაიდგა თეატრში "გლობუსი", ახმეტელის და გორის თეატრებში, ხოლო მეორე თეატრალურ უნივერსიტეტში, "გლობუსში" და თავისუფალ თეატრში. მსგავსი ტენდენცია კარგა ხანია დამკვიდრებულია სხვა რეჟისორთა შემოქმედებაშიც, მაგალითად, ანდრო ენუქიძეს "dostoevski.ru" დადგმული აქვს ნოვგოროდში და თბილისის გრიბოედოვის თეატრში, ისე როგორც, დავით კლდიაშვილის "ირინეს ბედნიერება" ჯერ რუსთაველის, ხოლო შემდეგ ჭიათურის თეატრების სცენებზე.

სულ მალე ახმეტელის თეატრში მაყურებელი იხილავს გიორგი შალუტაშვილის სპექტაკლს ალექსანდრე ვამპილოვის "იხვებზე ნადირობას", რომელიც რამდენიმე წლის განმავლობაში წარმატებით გადიოდა თავისუფალ თეატრში. თუმცა ფართო საზოგადოებამ ნაკლებად იცის, როგორი წარმატებული სპექტაკლი იყო ნანა კვასხვაძის მიერ სტას ნამინის თეატრში დადგმული "ბერნარდა ალბას სახლი", რომლის ქართულ ვარიანტს მაისის ბოლოს კინომსახიობთა თეატრში ვიხილავთ. გიორგი სიხარულიძე კი კინომსახიობთა თეატრში დადგმულ სპექტაკლს - ლევ ტოლსტოის "ანა კრენინას" ახლა ქუთაისელ მაყურებელს აჩვენებს ადგილობრივი მსახიობების შესრულებით, ისე როგორც, სანდრო მრევლიშვილმა მისი სავიზიტო სპექტაკლით ფელესიენ მარსოს "კვერცხით" "გააძლო" ჯერ მეტეხის, ხოლო ახლა რუსთაველის თეატრის ექსპერიმენტული სცენის მაყურებელი. ნუგზარ ლორთქიფანიძე სადაც ხელი მიუწვდება რაფიელ ერისთავის "ჯერ დაიხოცნეს, მერე იქორწინეს" დგამს, (ქუთაისის, გორის, მესხეთის თეატრები), ისე როგორც აკაკის ლექსების მიხედვით დადგმულ ლიტერატურულ სპექტაკლს "სამეფოო, ძველთა ძველო". (ქუთაისის და ცხინვალის ქართული თეატრების სცენები). ციცინო კობიაშვილმა რიჩარდ ნეშის "წვიმის გამყიდველი" თეატრალური სარდაფიდან მარჯანიშვილის თეატრის სხვენში გადაანაცვლა. (ცალკე საუბრის თემაა მეორე საშიში ტენდენცია თეატრალური სარდაფის გადატანა მარჯანიშვილის თეატრის ექსპერიმენტულ სცენაზე, რომელსაც ჩვენ ცალკე წერილს დავუთმობთ).

რეჟისორების მიერ, ერთი და იმავე ლიტერატურულ საფუძველზე დადგული სპექტაკლების ხელმეორედ დადგმა კი არ წარმოადგენს პრობლემას, არამედ მათი სრული სახით "კალკირება". თეატრის ისტორიაში, თუნდაც უახლოესში, არსებობს მაგალითები, თუნდაც რობერტ სტურუას შექსპირის "ჰამლეტთა" სერიები, რომლებიც საფუძვლიანად განსხვავდებიან ერთმანეთისგან, ისე როგორც მისივე დავით კლდიაშვილის "დარისპანის გასაჭირი" ბათუმისა და რუსთაველის თეატრების სცენებზე. სპექტაკლები განსხვავდება არა მხოლოდ რეჟისორული გადაწყვეტით, არამედ პერსონაჟების ქმედებათა და ხასიათთა მოტივაციით. იგივე ითქმის გიორგი თავაძის მიერ განხორციელებულ ლაშა ბუღაძის "ნუგზარი და მეფისტოფელზე" ჯერ სამეფო უბნის, ხოლო შემდეგ ბათუმის თეატრის სცენაზე. თეატრის კრიტიკოსები აღნიშნავდნენ ამ ორი სპექტაკლის რადიკალურ განსხვავებაზე. ეჭვგარეშეა, რომ სპექტაკლები სხვადასხვა ვერსიებს წარმოადგენენ, პირველ რიგში რეჟისორული გადაწყვეტით და ფინალით, აღარაფერს ვამბობთ განსხვავებულ სცენოგრაფიულ სივრცეზე, ატმოსფეროსა, თუ თამაშის განსხვავებულ მანერაზე, ახალ პერსონაჟთა გაჩენაზე.

ერთი და იგივე სპექტაკლების დადგმა ხდება იმის ფონზე, როცა ჯერ არნახული პერიოდულობით გამოიცემა ახალი ქართული, თუ უცხო ენიდან თარგმნილი პიესები, რომელთა უმეტესობა მხატვრული ხარისხის თვალსაზრისით დიდ კამათს არ იწვევს. მაგრამ ჩვენი რეჟისორების უმეტესობა ისე გაზარმაცდა, რომ არა თუ დგამს ახალ პიესებს, არც კითხულობს. ამიტომაც, მიმართავენ გამეორების ხერხს. ზარმაცი რეჟისორები აპრობირებულ მეთოდზე თავს იმით იმართლებენ, რომ სხვა თეატრში სხვაგვარი შემოქმედებითი რესურსი და ატმოსფერო ხვდებათ (მხატვარი, დასი), რაც, ხშირ შემთხვევაში, საფუძველი გამხდარა ახლებური ვერსიის შექმნისა, თუმცა ასეთი შედეგი ზემოთ ჩამოთვლილ რეჟისორებზე თითქმის არ მახსენდება.

ასე, რომ, ზოგჯერ გამეორება ცოდნის დედა სულაც არ არის, ზოგჯერ ის ფანტაზიის სიმწირესა და ამ შემთხვევაში რეჟისორთა შემოქმედებით იმპოტენციაზე მიუთითებს. იმპოტენციიდან თავის დაღწევა სრულ გამოჯანმრთელობამდე ისეთივე რთული და წინააღმდეგობებით აღსავსე პროცესია, როგორც ქართული თეატრის ჭაობიდან ამოყვანა.

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

საქართველოს ს.ს.ი.პ. ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტი, მის: ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. №32, ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლების ფარგლებში, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, აცხადებს ტენდერს კომპიუტერული ტექნიკისა და მოწყობილობების შესყიდვის მიზნით და იწვევს ყველა დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად

1. შემოთავაზებული პროდუქცია უნდა შეესაბამებოდეს ქვემოთ ჩამოთვლილ მახასიათებლებს შემდეგი ლოტების მიხედვით:

| № ლოტი | შესყიდვის ობიექტი | შესყიდვის ობიექტის აღწერილობა | განზ. ერთეული | რაოდენობა | მოწოდების სავალდებულო ვადა |
|---|---|---|---|---|---|
| I | პერსონალური კომპიუტერი | **CPU specifications:** Processor type:ოთხბირთვიანი.CPU speed: 3 GHz.Bus speed: 1333 MHz.L2 cache size: 12 MB. Package type: LGA 775. Bus / Core ratio: 9.0. VID voltage range: 0.85–1.3625V. **Front Side Bus speed:** 1600 / 1333 / 1066 / 800 MHz. **Memory specifications:** Memory type: 4 x DIMM, max. 16 GB.Interface technology: DDR3, 2000 (O.C.) / 1600 / 1333 / 1066 MHz, non-ECC, un-buffered memory Architecture: Dual channel.Support for Extreme Memory Profile (XMP), **Expansion slot specifications:** 2 x PCI Express 2.0 x16 slots, support for ATI CrossFireX technology at x8 link, (PCIe x16_1 blue, PCIe x16_2 black*).1 x PCI Express x16 slot at max. x4 link (black). 2 x PCI Express x1 slots. 2 x PCI slots.* PCI Express x16_2 slot (black at max. x8 link). **Hard and optical disk drive specifications:** 1 x 250 GB SATA 7200 rpm HDD. 1 x 320 GB IDE 7200 rpm HDD.1 x SATA DVD +/-RW optical drive, drive speed: 52x (max. speed 56x). **Graphics accelerator specifications:** Stream processors: 128. Memory interface width: 256 bits.Memory bandwidth: 70.4 GB/sec. Memory: 512MB of GDDR3 RAM. Clocks (Core / Shader / Memory): 675 MHz / 1688 MHz / 2200 MHz. I/O: PCI Express 2.0 compliant. **Onboard I/O interfaces:** 2 x USB connectors support additional 4 USB ports.1 x Floppy disk drive connector. 1 x IDE connector.1 x COM connector. 6 x SATA connectors. 2 x Drive Xpert SATA connectors. 1 x CPU fan connector. 3 x Chassis fan connectors.1 x Power fan connector. 1 x IEEE1394a connector. 1 x Front panel audio connector. 1 x S/PDIF Out header.1 x Chassis intrusion connector.1 x CD audio in.1 x 24-pin ATX Power connector. 1 x 8-pin ATX 12V Power connector. 1 x System Panel (Q-Connector).1 x TPM connector. 1 x Power on switch. 1 x Reset switch. **Front panel I/O ports:** 2 x USB 2.0/1.1 ports. **Back panel I/O ports:** 1 x PS/2 keyboard / mouse combo port.6 x USB 2.0/1.1 ports.1 x S/PDIF out (coaxial and optical).1 x IEEE1394a high-speed serial bus port.2 x 10/100/1000BASE-T RJ45 Ethernet ports.1 x eSATA port.8-channel audio I/O. **Other back panel connectors:** Mains input connector: IEC 60320 C14.Monitor output connector: 15-pin D-sub analog VGA. **Power supply specifications:** Power consumption: <500W. Input voltage range: 90–264V (auto range). Input frequency range: 47–63 Hz. **Operating ranges:** Temperature: 0–35 °C. Relative humidity: 10–90%. **Case type:** Big Tower. **Operating system installed:** Genuine Windows XP Professional 64 Bit Eng (ლიცენზირებული). **Keyboard:** PS/2 standard keyboard. **Mouse:** PS/2 2-button optical scroll mouse. **Monitor specifications:** Display size: 22 inches diagonal.Imaging technology: TFT LCD. Brightness: 300 nits.Contrast ratio: 1000:1.Resolution: 1680 x 1050 @ 60 Hz. Input connector: 15-pin D-sub analog VGA. (მინიმალური გარანტია 3 წელი) | ცალი | 2 | არა უგვიანეს 2009 წლის 31 ივნისისა |
| II | გრაფიკული სადგური | **Processor type:** ოთხბირთვიანი 2.83 GHz/12MB/1333MHz LGA 775. **M/B:** 2xPCI-E+2xGb LAN+1394 SATA 4xDDR2. **RAM:** 2xDDR2 DIMM 2 GB/PC2-6400. **HDD:** 1 TB SATA2 7200rpm 32mb. **Video adapter:** 512 Mb /PCI-E + DualDVI + TV Out. **CD-ROM:** DVD RAM&DVD±R/RW&CDRW IDE. **FDD:** 3.5" 1.44MB. Videoedit: USB 2.0 IEEE 1394 in/out, RCA/S Video in/out. **Keyboard:** PS/2 standard keyboard. **Mouse:** PS/2 2-button optical scroll mouse. **Operating system installed:** Genuine Windows XP Professional Eng (ლიცენზირებული) (მინიმალური გარანტია 3 წელი) | ცალი | 1 | არა უგვიანეს 2009 წლის 31 ივნისისა |
| III | მონიტორი | Technology LCD/Screen size 42"/Format 16 : 9/Response Time 5 ms/Brightness 500 cd/m2/Contrast Ratio 50000 : 1/Resolution 1920 x 1080 /Viewing Angle ( Hor./ Vert.) 178 / 178 (H/V). I/O Ports AV In, S-Video In, HDMI In, USB, CI slot/Speakers Yes/TV Tuner type Digital /Dimensions W x H x D (mm) 1140.4x820.1x324.9 (მინიმალური გარანტია 1 წელი) | ცალი | 1 | არა უგვიანეს 2009 წლის 31 ივნისისა |
| IV | სკანერი | Format A4/ Scanner type:Flatbed, ADF (optional)/Scan resolution, optical: Up to 2400 dpi/Bit depth: 48-bit/Levels of grayscale: 256/Automatic document feeder capacity: Optional, 50 sheets/Automatic document feeder speed: Up to 8 ppm/4 ipm/Transparency adapter: Included/Scan size, maximum (flatbed): 8.5 x 11 in/Scan size, maximum (ADF): 8.5 x 14 in (one-sided); 8.5 x 12 in (two-sided)/Scan Size Minimum (ADF, imperial): 3.5 x 5 in (one-sided); 5 x 9 in (two-sided)/Preview scan speed: Up to 7 sec/Button functions: 5 front-panel buttons (Copy, E-mail, File document, Scan document, Scan photo) (მინიმალური გარანტია 1 წელი) | ცალი | 2 | არა უგვიანეს 2009 წლის 31 ივნისისა |
| V | პრინტერი | ლაზერული პრინტერი: A4/30ppm/1200dpi/16mb (მინიმალური გარანტია 1 წელი) | ცალი | 2 | არა უგვიანეს 2009 წლის 31 ივნისისა |
| VI | პრინტერი (All-In-One) | Print quality:Up to 14 ppm/Copy speed:Up to 14 cpm/Copier resize:25 to 400%/Enhanced scanning resolutionUp to 19200 dpi/Standard connectivity:Hi-Speed USB/Processor speed:230Hhz/Maximum memory:32mb (მინიმალური გარანტია 1 წელი) | ცალი | 4 | არა უგვიანეს 2009 წლის 31 ივნისისა |
| VII | ასლგადამღები | ორმხრივი ბეჭდვის ფუნქცია/კოპირების სიჩქარე (ნორმალური ხარისხი, შავი, A4 ფორმატი): 20 ასლი წუთში/გადიდება: Zoom: 50-200%; Fixed: 50%, 70%, 100%, 141%, 200%/კოპირების მაქსიმალური სიჩქარე: 20 ასლი წუთში/პრინტერის მაქსიმალური ზომა: A3 (297 x 420 mm)/მედიის სტანდარტული ზომები: A3, A4, A5, A5R, Envelopes/სტანდარტული მედიის ზომები: 297 x 432mm/მიწოდების/სტანდარტული სიმძლავრე: 500 sheets/აპარატული სკანირების გარჩევადობა: 1200x1200 DPI/რუხი ფერის დონეები: 256 levels of grey/მაქსიმალური/გარჩევადობა: 1200 x 600 DPI/გახურების დრო: 13 s/დრო პირველი გვედრისთვის (მონო): 7.9 s/ბეჭდვის სიჩქარე (შავი, ნორმალური ხარისხი, A4 ფორმატი): 20 ppm/საბეჭდი ტექნიკა: ლაზერი/ინტერფეისი: USB/შეტანა / გამოტანის პორტები 1x USB 1x Power/პირობითი (არასავალდებულო) დაკავშირებულობა: Ethernet 10/100Mbps/პროცესორი 192MHz/შიდა მეხსიერება 128 მბ. ტონერ-კარტრიჯით. (მინიმალური გარანტია 1 წელი) | ცალი | 2 | არა უგვიანეს 2009 წლის 31 ივნისისა |
| VIII | პრინტერი (All-In-One) | Print quality:Up to 14 ppm/Copy speed:Up to 14 cpm/Copier resize:25 to 400%/Enhanced scanning resolutionUp to 19200 dpi/Standard connectivity:Hi-Speed USB/Processor speed:230Hhz/Maximum memory:32mb (მინიმალური გარანტია 1 წელი) | ცალი | 2 | არა უგვიანეს 2009 წლის 31 ივნისისა |
| IX | პრინტერი | ლაზერული პრინტერი:14ppm 1200dpi 2mb (მინიმალური გარანტია 1 წელი) | ცალი | 4 | არა უგვიანეს 2009 წლის 31 ივნისისა |
| X | პერსონალური კომპიუტერი | **Processor type:** ორბირთვიანი 1.6 GHz/ **RAM:** DDR2 1 GB/ **HDD:** SATA 160GB/ DVD±R/RW **/Keyboard:** PS/2 standard keyboard. **Mouse:** PS/2 2-button optical scroll mouse. Freedos. (მინიმალური გარანტია 1 წელი) | ცალი | 3 | არა უგვიანეს 2009 წლის 31 ივნისისა |
| XI | პერსონალური კომპიუტერი | **Processor type:** ორბირთვიანი 2.8 GHz/ **RAM:** DDR2 2 GB/ **HDD:** SATA 320 GB/ DVD±R/RW/ i1349/Video adapter 512MB/ **Keyboard:** PS/2 standard keyboard. **Mouse:** PS/2 2-button optical scroll mouse. Freedos. (მინიმალური გარანტია 1 წელი) | ცალი | 2 | არა უგვიანეს 2009 წლის 31 ივნისისა |
| XII | მონიტორი | Technology LCD/Screen size 19" Widescreen/Resolution1440 x 900/Response Time 2ms. (მინიმალური გარანტია 1 წელი) | ცალი | 8 | არა უგვიანეს 2009 წლის 31 ივნისისა |
| XIII | სკანერი | 2400 x 4800 dpi, 48-bit, 35-mm slides and negatives, scan speed in preview mode <10 secs, 3 front-panel buttons (Scan, Copy, Scan to PDF) მინიმალური გარანტია 1 წელი | ცალი | 1 | არა უგვიანეს 2009 წლის 31 ივნისისა |
| XIV | პერსონალური კომპიუტერი | **Processor type:** ორბირთვიანი 1.6 GHz/ **RAM:** DDR2 1 GB/ **HDD:** SATA 320GB/ DVD±R/RW **/Keyboard:** PS/2 standard keyboard. **Mouse:** PS/2 2-button optical scroll mouse. Operating systemWindows XP Professional ლიცენზირებული (მინიმალური გარანტია 1 წელი) | ცალი | 4 | არა უგვიანეს 2009 წლის 31 ივნისისა |
| XV | ასლგადამღები | **Copy Sizes:** Cassette: A5 - A3, Stack Bypass: A5R - A3, Envelopes/**Scanner Resolution:** Copying: 600dpi x 600dpi, 1200dpi (PCL, UFRII LT), 1200dpi x 1200dpi (UFRII LT), 256 Gradations/**Copy Speed:** A4: 18cpm, A3: 15cpm./**Magnification Zoom:** 50-200%, Fixed: 50%, 70%, 100%, 141%, 200% /**First Copy Time:** 6.9 sec /**Warm-Up Time:** Approx. 26 seconds /**CPU:** 192 MHz /**Memory:** 128MB (მინიმალური გარანტია 1 წელი) | ცალი | 1 | არა უგვიანეს 2009 წლის 31 ივნისისა |
| XVI | სკანერი | 2400 x 4800 dpi, 48-bit, 35-mm slides and negatives, scan speed in preview mode <10 secs, 3 front-panel buttons (Scan, Copy, Scan to PDF) მინიმალური გარანტია 1 წელი | ცალი | 1 | არა უგვიანეს 2009 წლის 31 ივნისისა |
| XVII | ფერადი პრინტერი | ბეჭდვის ტექნოლოგია: ჭავლური/ფორმატი: A3 (297 x 420 mm)/მაქსიმალური გარჩევადობა: 4800 x 1200 DPI/ბეჭდვის სიჩქარე (შავი, ნორმალური ხარისხი, A4 ფორმატი): 18 ppm/ბეჭდვის სიჩქარე (ფერადი, ჩვეულებრივი ხარისხი, A4 ფორმატი): 11.3 ppm/ბეჭდვის სიჩქარე (შავი-თეთრი, ფერადი მონიშვნებით, მაღალი ხარისხი, A3 ფორმატი):14 / 8.9 ppm მინიმალური გარანტია 1 წელი. | ცალი | 1 | არა უგვიანეს 2009 წლის 31 ივნისისა |
| XVIII | პრინტერი (All-In-One) | Print quality:Up to 14 ppm/Copy speed:Up to 14 cpm/Copier resize:25 to 400%/Enhanced scanning resolutionUp to 19200 dpi/Standard connectivity:Hi-Speed USB/Processor speed:230Hhz/Maximum memory:32mb (მინიმალური გარანტია 1 წელი) | ცალი | 3 | არა უგვიანეს 2009 წლის 31 ივნისისა |
| XIX | ფერადი პრინტერი | ბეჭდვის ტექნოლოგია: ჭავლური/ფორმატი A4/ მაქსიმალური გარჩევადობა:4800 x 1200 DPI/ბეჭდვის სიჩქარე (შავი, ნორმალური ხარისხი, A4 ფორმატი):22 ppm/ბეჭდვის სიჩქარე (ფერადი, ჩვეულებრივი ხარისხი, A4 ფორმატი):17 ppm/ბეჭდვის სიჩქარე (ფერადი, საუკეთესო ხარისხი, A4 ფორმატი):7.8 ppm/ბეჭდვის სიჩქარე (შავი, მაღალი ხარისხი, A4 ფორმატი):13.3 ppm (მინიმალური გარანტია 1 წელი) | ცალი | 1 | არა უგვიანეს 2009 წლის 31 ივნისისა |
| XX | პრინტერი | ლაზერული პრინტერი:14ppm 1200dpi 2mb (მინიმალური გარანტია 1 წელი) | ცალი | 1 | არა უგვიანეს 2009 წლის 31 ივნისისა |
| XXI | workstation | **Processor type:** ოთხბირთვიანი 3.16GHz 1333MHz FSB 64-bit, 2X 6MB L2 Cache)/ **Memory:** ≥8GB expandable up to 64GB quad-channel2 fully buffered DIMM ECC memory/ **HDD** 1 TByte (500X2) **Video adapter:** 1GB/ **Keyboard:** PS/2 standard keyboard. **Mouse:** PS/2 2-button optical scroll mouse. **Operating system:** Genuine Windows XP Professional 64 Bit Eng (ლიცენზირებული).**Monitor:** Technology LCD/Screen size 19" Widescreen/Resolution1440 x 900/Response Time 2ms. (მინიმალური გარანტია 1 წელი) | ცალი | 1 | არა უგვიანეს 2009 წლის 31 ივნისისა |
| XXII | გრაფიკული სადგური | **Processor type:** ორბირთვიანი 3.00GHz/1333MHz/2X4MB L2/ **Memory:** ≥4GB expandable up to 8GB **/HDD** 1 TByte (500X2) **Video adapter:** 1GB/ **Keyboard:** PS/2 standard keyboard. **Mouse:** PS/2 2-button optical scroll mouse. **Operating system:** Genuine Windows XP Professional 64 Bit Eng (ლიცენზირებული).**Monitor:** Technology LCD/Screen size 19" Widescreen/Resolution1440 x 900/Response Time 2ms. (მინიმალური გარანტია 1 წელი) | ცალი | 1 | არა უგვიანეს 2009 წლის 31 ივნისისა |

**აუცილებელი პირობა:**
ინფორმაცია მისაწოდებელი საქონლის გარანტიის ვადის შესახებ ლოტების მიხედვით.
ინფორმაცია მისაწოდებელი საქონლის საგარანტიო მომსახურების პირობების შესახებ ლოტების მიხედვით.

**2. დაფინანსების წყარო: -** ს.ს.ი.პ. ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლები.

გაგრძელება შემდეგ გვერდზე

# ახალი ვონეგუტი

## გამოსაცემად მზადდება ამერიკელი მწერლის უცნობი მოთხრობები

უახლოეს მომავალში მკითხველი ცნობილი ამერიკელი მწერლის, კურტ ვონეგუტის აქამდე უცნობ მოთხრობებს მიიღებს. შეხედე ჩიტუნას - ასე ჰქვია კრებულს, რომელშიც 14 მოთხრობა გაერთიანდება და 2009 წლის ბოლომდე გამოიცემა. მას ცნობილი ამერიკული გამომცემლობა Delacorte Press ამზადებს და როგორც მისი წარმომადგენლები აცხადებენ, ამ მოთხრობებით მკითხველი ახალ ვონეგუტს გაიცნობს.

ეს სწორედ ის მოთხრობებია, რომლებიც მწერლის სიცოცხლეში არასდროს გამოცემულა. ამრიგად გამომცემლობის მიერ ჩაფიქრებული პროექტი ვონეგუტის მწერლობის თაყვანისმცემელთათვის ნამდვილი საჩუქარი იქნება. ამ მოთხრობებს შორის არის ისეთებიც, რომლებიც მხოლოდ მწერლის გარდაცვალების შემდეგ აღმოაჩინეს მის ხელნაწერებში. რამდენიმე მათგანი პრაქტიკულად დაუსრულებელი იყო, მათთვის საბოლოო ფორმის მისაცემად კი ვონეგუტის ლიტერატურის მკვლევარების ჯგუფი მუშაობდა.

Delacorte Press-ის გეგმებში ასევე შედის კურტ ვონეგუტის სიცოცხლეში გამოცემული წიგნების ხელახალი გამოცემა. ასევე ცალ წიგნად გამოვა მწერლის წერილების, ესსეებისა და მოგონებების კრებულიც. მათ წინასიტყვაობას ვონეგუტის შვილი, მარკ ვონეგუტი გაუკეთებს.

კურტ ვონეგუტი ზუსტად ორი წლის წინ, 2007 წლის 12 აპრილს 84 წლის ასაკში გარდაიცვალა. მან გარდაცვალებამდე რამდენიმე კვირით ადრე თავის ტრავმა მიიღო, როდესაც მანჰეტენზე მდებარე სახლის აივანზე დაეცა. ვონეგუტის ლიტერატურული მემკვიდრეობა 19 რომანს, ათობით მოთხრობას, ჩანახატებსა და პიესებს მოიცავს, რომელთა უმეტესობა მკითხველში უდიდესი პოპულარობით სარგებლობდა და ბესტსელერად იქცა. ფინანსური წარმატებების მიუხედავად, მწერალი მთელი ცხოვრება დეპრესიისგან იტანჯებოდა, რომელმაც განსაკუთრებით 80-იან წლებში იჩინა თავი. 1984 წელს კი მას თვითმკვლელობის მცდელობაც ჰქონდა, უამრავი აბი და დიდი რაოდენობით ალკოჰოლი მიიღო, თუმცა მისი გადარჩენა ოჯახის წევრებმა მაინც მოახერხეს, მწრალი კი ამ შემთხვევას ხუმრობით იხსენებდა ხოლმე. სიკვდილზე იგი ხშირად ხუმრობდა, ერთხელ კი ჟურნალისტებს სიკვდილთან დაკავშირებული ნატვრაც გაუმხილა: ვისურვებდი, რომ კილიმანჯაროს მწვერვალს თვითმფრინავით შევასკდე და ადგილზევე დავიფერფლო .



კურტ ვონეგუტი 1922 წელს ინდიანაპოლისში დაიბადა. მოგვიანებით ეს ქალაქი ბევრჯერ გამხდარა მისი რომანების მოქმედების ადგილი. მის ცხოვრებაში დიდი ცვლილება 1941 წელს მოხდა, როდესაც იაპონიის ავიაციამ პერლ ჰარბორში განლაგებული ამერიკის ფლოტი დაბომბა. ახალგაზრდა ვონეგუტი მოხალისედ ჩაეწერა ამერიკის შეიარაღებული ჯარების რიგებში, რის შემდეგაც მეორე მსოფლიო ომშიც ჩაერთო. 1944 წელს მომავალი მწერალი ტყვედ ჩავარდა, რაც მოგვიანებით აღწერა კიდეც თავის ცნობილ რომანში სასაკლაო ნომერი ხუთი . ვონეგუტი ტყვეობიდან მხოლოდ 1945 წელს, ომის დასრულების შემდეგ გაათავისუფლეს.

კურტ ვონეგუტი აქტიურად იყო ჩართული საზოგადოებრივ საქმიანობაშიც და არც ჯორჯ ბუშის პოლიტიკის კრიტიკას ერიდებოდა. გარდაცვალებამდე ერთი წლით ადრე კი გაზეთ The Sunday Herald-ში მკითხველს ღია წერილით მიმართა: რაც უნდა კორუმპირებული გახდეს ჩვენი ხელისუფლება, მსხვილი ბიზნესმენები, მასმედია, რელიგიური და ჰუმანიტარული ორგანიზაციები, მაინც დარჩება რაღაც, რაც ჩვენს ცხოვრებას აზრს შემატებს - ეს იქნება მუსიკა. გთხოვთ, ჩემი საფლავის ქვაზე შემდეგი წარწერა გააკეთოთ: მისთვის ღმერთის არსებობის დასადასტურებლად მუსიკაც კი საკმარისი იყო ...

# ბორნი ბრუნდება

## ჯეისონ ბორნზე მორიგი ფილმი 2011 წელს გამოვა

კინოკომპანია Universal Pictures-ს ჯეისონ ბორნის შესახებ სათავგადასავლო ფილმის მეოთხე ნაწილის გადაღება აქვს გადაწყვეტილი, რომელიც ტელეეკრანებზე სავარაუდოდ 2011 წელს გამოვა. ამის შესახებ ინფორმაცია Twitter-ის საკუთარ მიკრობლოგში პროექტის პროდიუსერმა ფრენკ მარშალმა გაავრცელა. იგი აღნიშნავს, რომ სცენარისტი ჯორჯ ნოლფი სიუჟეტზე მუშაობას 2009 წლის ივნისში დაასრულებს. ეს იქნება სერიალის პირველი ფილმი, რომელიც არა რობერტ ლადლამის ნამუშევარზე იქნება დაფუძნებული, არამედ ორიგინალურ სიუჟეტზე. შეგახსენებთ, რომ ჯორჯ ნოლფი, ფილმის მესამე ნაწილის, სახელწოდებით "ბორნის ულტიმატუმი", ერთ-ერთი სცენარისტი გახლდათ.

ადრე Universal Pictures-მა მწერალ რობერტ ლადლამის ყველა ნაწარმოებზე ექსკლუზიური უფლება მოიპოვა, ასევე გააფორმა კონტრაქტები ბორნის როლის შემსრულებელ მეტ დეიმონთან და რეჟისორ პოლ გრინგრასთან, რომლის თანახმადაც ისინი მოვალენი არიან მონაწილეობა მიიღონ ფილმის მეოთხე სერიის უკანასკნელ გადაღებებში. მოსალოდნელია, რომ ფილმის გადაღება სამხრეთ ამერიკის ტერიტორიაზე მოხდება.

ფილმი "ბორნის ულტიმატუმი" ეკრანებზე 2007 წელს გამოვიდა. მან სამი პრემია "ოსკარი" ტექნიკური ნომინაციებისთვის მიიღო და მსოფლიო კინოგაქირავებიდან 440 მილიონ დოლარზე მეტი გამოიმუშავა. სათავგადასავლო ფილმის პირველი და მეორე ნაწილები იყო - "ბორნის იდენტიფიკაცია" და "ბორნის უპირატესობა". სამივე ფილმმა კინოგაქირავებიდან დაახლოებით მილიარდ დოლარიანი მოგება მოიტანა.

პარალელურად ცნობილი გახდა, რომ კომპანია Electronic Arts-მა ბორნის შესახებ თამაშის გაკეთების უფლება მოიპოვა. თამაშისთვის უკვე იწერება სცენარი . ჯერჯერობით ცნობილი არ არის, ახალი თამაში რომელი პლათფორმებისთვის იქნება განკუთვნილი. შეგახსენებთ, რომ რობერტ ლადლამის ამ პერსონაჟის შესახებ უკვე არსებობს ერთი ვიდეო თამაში - Robert Ludlum's The Bourne Conspiracy, რომელიც მესამე პერსონის შუტერს წარმოადგენს.


**წინა გვერდიდან**

**3. მიწოდების ადგილი -** ს.ს.ი.პ. ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტი, მის: ქ. თბილისი, ქ. ჩოლოყაშვილის გამზ. №3/5

**4.** სატენდერო დოკუმენტაცია ქართულ ენაზე გაიცემა გამოქვეყნების დღიდან და ტენდერში მონაწილეობის მსურველის მიერ გადახდილი სატენდერო მოსაკრებლის 200 (ორასი) ლარის ოდენობის დამადასტურებელი ქვითრის წარმოდგენის შემდეგ **2009 წლის 5 მაისის 17-00 საათამდე.** შემდეგ მისამართზე: ს.ს.ი.პ. ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტი, მის: ქ. თბილისი, ქ. ჩოლოყაშვილის გამზ. №3. მე-2 სართული, სატენდერო კომისიის აპარატი.

- დაინტერესებულმა პირებმა სატენდერო მოსაკრებელი უნდა გადაიხადონ შემდეგ ანგარიშზე:

**სახელმწიფო ხაზინა ბ/კოდი -** 220101222;
**ანგ/ანგარიში -** 200122900;
**საინდენტიფიკაციო კოდი -** 206160606;
**საბიუჯეტო შემოსავლების სახაზინო კოდი -** 300773174.

**აგრეთვე საგადასახადო დავალების დამატებით ინფორმაციაში უნდა იყოს მითითებული:**
**სსიპ**
**ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ტენდერი №5.**

**5.** დაინტერესებულმა პირებმა ქართულ ენაზე შედგენილი განაცხადი, სატენდერო წინადადება და საკვალიფიკაციო მონაცემები დახურულ კონვერტში სამ ეგზემლარად (ერთი –დედანი, ოირი-ასლი) უნდა წარმოადგინონ **2009 წლის 7 მაისს 15 სთ-მდე,** შემდეგ მისამართზე: ს.ს.ი.პ. ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტი, მის: ქ. თბილისი, ქ. ჩოლოყაშვილის გამზ. №3. სატენდერო წინადადებების გახსნა მოხდება ზემოაღნიშნულ მისამართზე: **2009 წლის 7 მაისის 15.00 საათზე**. (ტენდერში მონაწილეებს უფლება აქვთ დაესწრონ სატენდერო წინადადებების გახსნას).

- დაგვიანებით შემოსული საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელ დოკუმენტებს, სატენდერო წინადადებას და სხვა დოკუმენტაციას სატენდერო კომისია არ განიხილავს.
ალტერნატიული წინადადებები არ განიხილება

საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

**6. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:**

**6.1. <u>იურიდიული პირებისათვის:</u>**
ა) ცნობა, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა **(საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან);**
ბ) ცნობა, რომ არ ხორციელდება კომპანიის, ინდ.მეწარმის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია **(საგადასახადო ინსპექციიდან);**
გ) ცნობა, საწარმოს ინდ.მეწარმის გადახდისუნარობის შესახებ **(ცნობა სასამართლოდან);**
დ) ორგანიზაციის მოგების და ქონების წლიური დეკლარაციები **(ბოლო 2 წლის).**
ე) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან **(შემოსავლების სამსახური).**

**6.2. <u>ფიზიკური პირებისათვის:</u>**
ა) ცნობა, რომ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არ აქვს შეზღუდული ქმედუნარიანობა **(სასამართლოდან);**
ბ) საშემოსავლო გადასახადის წლიური დეკლარაციები **(ბოლო 2 წლის);**

**6.3. <u>როგორც ფიზიკური ასევე იურიდიული პირებისათვის:</u>**
ა) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტთან ანგარიშსწორების შესახებ;
ბ) ორგანიზაციის ან ფიზიკური პირის დასახელება, იურიდიული მისამართი, ტელეფონი/ფაქსი, საბანკო რევიზიტები, ხელმძღვანელის ან ხელმძღვანელების სახელი და გვარი **(შემოსავლების სამსახური);**

**6.4. <u>ყველა პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს:</u>**
ა) ხელმოწერილი და ბეჭდით დამოწმებული სატენდერო წინადადება, (ნიმუში წარმოდგენილია სატენდერო დოკუმენტაციაში) რომელიც უნდა მოიცავდეს ლოტის ღირებულებას, სატენდერო წინანდების მოქმედების ვადასა და გადახდის სასურველ პირობებს.
ბ) სატენდერო წინადადებაში საერთო და ერთეულის ფასი გამოსახულ უნდა იყოს ქართულ ეროვნულ ვალუტაში, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი გადასახადების გათვალისწინებით.

7. სატენდერო წინადადების მოქმედების მინიმალური ვადა უნდა იყოს სატენდერო წინადადებების პაკეტების გახსნის დღიდან არანაკლებ 30 დღე. აღნიშნული ასახული უნდა იყოს სატენდერო წინადადებაში.

8. გამოყენებული იქნება სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის გარანტია 1 %-ის ოდენობით, რომელიც 30 დღით უნდა აღემატებოდეს სატენდერო წინადადების ვადას.

9. ტენდერში გამოყენებული იქნება ხელშეკრულების შესრულების მექანიზმი: სახელმწიფო შესყიდვების შესახებ დადებული ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 5 %-ის ოდენობით.

10. სატენდერო წინადადებები არ ჩაითვლება მისაღებად და არ დაიშვება შეფასებისათვის თუ პრეტენდენტი მე-5 პუნქტში დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს სატენდერო განცხადების მე-6 პუნქტში მოთხოვნილ ყველა ცნობასა და ინფორმაციას, რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება ან ვერ დააკმაყოფილებს სატენდერო დოკუმენტაცით მოთხოვნილ პირობებს.

11. ტენდერში მონაწილეობის მსურველ პირებს უფლება აქვთ საკვალიფიკაციო მონაცემებისა და სატენდერო წინადადების წარმოდგენამდე გაეცნონ სატენდერო დოკუმენტაციას შემსყიდველ ორგანიზაციაში.

12. სატენდერო დოკუმენტაციის გატანა და დამატებითი ინფორმაციის მიღება დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ სატენდერო კომისიის აპარატში, შემდეგ პირებთან: ი.გოგოტიშვილი გ. ქობულაშვილი, შემდეგ მისამართზე: ს.ს.ი.პ. ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტი, მის: ქ. თბილისი, ქ ჩოლოყაშვილის გამზ. №3, მეორე სართული ოთახი №237 ტელ: **22 49 06**

# სპორტი

## "დინამო" "დუბლს" უმიზნებს



*მერებაშვილი ისევ საუკეთესოა*

მიხეილ აბაიშვილი

გუშინ, 14 აპრილს, თბილისსა და რუსთავში დავით ყიფიანის სხელობის საქართველოს თასი-ყაზბეგის პირველი ნახევარფინალური შეხვედრები გაიმართა. თბილისში, ვაკეში მდებარე მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე "ლოკომოტივმა", რომელსაც მიმდინარე სეზონში მთავარ სამიზნედ სწორედ თასი აქვს დასახული, "დუბლისთვის" შემართულ "დინამოს" უმასპინძლა და წარმატების საკმაოდ საფუძვლიანი მიზეზიც ჰქონდა. პირველრიგში იმას ვგულისხმობ, რომ ეს გუნდები ერთმანეთს ეროვნულ ჩემპიონატში ორი ტურის წინ შეხვდნენ და მაშინ თამაში არა თუ თანაბარ დონეზე, არამედ "ლოკომოტივის" მცირე უპირატესობითაც კი წარიმართა და ფრედ დასრულდა. სწორედ "ლოკომოტივთან" დაკარგულ ქულებს შეეწირა "დინამოს" გერმანელი ექსდამრიგებელი, რაინერ ცობელი, რომელიც ამ შეხვედრის დასრულების შემდეგ დაკავებული პოსტიდან გადადგა. თავის მხრივ, მწვრთნელის გამოცვლა ძალზე სასიკეთოდ წაადგა "დინამოს", რომელმაც საგრძნობლად გააუმნობესა თამაშის ხარისხი. მართალია, ცობელის შემდეგ, კახა კაჭარავას ხელმძღვანელობით "დინამომ" გუშინდელის ჩათვლით ჯერ მხოლოდ სამი შეხვედრის ჩატარება მოასწრო, მაგრამ მეტად სერიოზულ მეტოქეებთან და სამივეში დამაჯერებელი გამარჯვება იზეიმა. "დინამომ" ჯერ ექსჩემპიონ "ოლიმპს" სძლია ანგარიშით 2:1. შემდეგ თავის ერთ-ერთ ყველაზე პრინციპულ და უხერხულ "ზესტაფონს" მისსავე მოედანზე დიდი ანგარიშით 4:0 მოუგო, გუშინ კი 2:0 გაიმარჯვა და, შეიძლება ითქვას, რომ ცალი ფეხით უკვე ფინალშია.

თუ პარალელს გავავლებთ "ლოკომოტივი" - "დინამოს" გუშინდელ სათასო და სამი კვირის წინანდელ საჩემპიონატო დაპირისპირებებს შორის, საერთო მხოლოდ ამ მატჩების ჩატარების ადგილი - მიხეილ მესხის არენა იქნება. სხვა მხრივ, ეს ორი მატჩი როგორც ცა და დედამიწა, ისე განსხვავდებოდა ერთმანეთისგან. პირველივე წუთებიდან უპირატესობას "დინამო" დაეუფლა. მართალია, ეს მომენტი დინამოელების მიერ შექმნილი საგოლე მომენტების განსაკუთრებულ სიუხვეში არ გადაზრდილა, მაგრამ ინიციატივა ბოლო წუთებამდე ხელიდან არ გაუშვია. რაც მთავარია, მინიმუმამდე დავიდა დაცვაში შეცდომები: ძალზე იშვიათი გამონაკლისის გარდა ოვონოს კართან სრული იდილია და სიმშვიდე იყო. საპირისპიროდ, ლომაიას მიმართულებით ვითარება თანდათან იძაბებოდა და თვალნათელი იყო, რომ "ლოკომოტივი" ამ ზეწოლას დიდხანს ვერ გაუძლებდა. და მაინც, მასპინძლებმა შეხვედრის პირველ ნახევარში საკუთარი კარის "მშრალად" შენახვა შეძლეს, თუმცა ჯერ კოშკაძეს, შემდეგ კი დონალდ ჯუისს მეტად ხელსაყრელი სიტუაციიდან დარტყმები გაუცუდდათ. აღსანიშნავია მერებაშვილის მიერ შესრულებული საჯარიმო დარტყმაც, როცა მასპინძლებს მშველელად კარის ხარიხა მოევლინათ.

მატჩის ბედის გადამწყვეტი ეპიზოდი 70-ე წუთზე დადგა. ამ დროისთვის "ლოკომორივის" მთავარ მწვრთნელს, გიორგი კიკნაძეს სამივე შეცვლის უფლება გამოყენებული ჰქონდა, როცა დილმელაშვილის გამჭოლი პასის შემდეგ მერებაშვილი ლომაიასთან პირისპირ გაიჭრა. საქართველოს ნაკრების კიპერმა რეაქცია დააგვიანა და "დინამოს" თავდამსხმელი საკუთარ საჯარიმოში მოცელა, რასაც პენალტის დანიშვნასთან ერთად მთავარი არბიტრის, ლევან კვარაცხელიას მხრიდან ლოგიკური წითელი ბარათიც მოჰყვა. ლომაიას ისლა დარცენოდა, რომ საკუთარი მეკარის მაისური მინდვრის მოთამაშისთვის, მახარაძისთვის გადაეცა და ისე დაეტოვებინა მოედანი. დაზარალებულმა თავადვე ითავა მსაჯის განაჩენის სისრულეში მოყვანა და მერებაშვილის ზუსტი დარტყმის შემდეგ ანგარიშიც გაიხსნა. 85-ე წუთზე "დინამომ" დემორალიზებულ "ლოკომოტივს" კიდევ ერთი გოლი გაუტანა: ჯუისის ნაცვლად შეცვლაზე შემოსულმა აკირემმა ბურთთან პირველივე შეხება გოლით დაასრულა. ამ ეპიზოდში მეკარის ამპლუამორგებული მახარაძე კი არა, პიტარ ჩეხიც ვერაფერს გააწყობდა: კუთხურიდან კოშკაზის ჩაწოდებას აკირემმა თავი დაუხვედრა და ყუმბარისებური დარტყმით ბურთი ბადეში გაახვია. მახარაძის სასახელოთ კი უნდა ითქვას, რომ მან თავისი გუნდი დიდი ანგარიშით მარცხისგან იხსნა, როცა შოთა კაშიას ძლიერი დარტყმა მოიგერია. საბოლოოდ, "დინამომ" 2:1 გაიმარჯვა და სოლიდურ ჰანდიკაპთან ერთად მშვენიერი ფსიქოლოგიური განწყობით დაელოდება 29 აპრილს - საპასუხო მატჩის თარიღს.

მეორე ნახევარფინალურ წყვილში გამარჯვებულის გამოცნობა გაცილებით პროგნოზირებადი იყო. ამ წყვილთან დაკავშირებით ქართულ მედიაში საკმაო ხმაური ატყდა და, როგორც ჩანს, არც თუ უსაფუძვლოდ. მოგეხსენებათ, "ვიტ ჯორჯია" საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის ლიდერია და ტიტულის მოგების საკმაოდ კარგი შანსიც აქვს. "ოლიმპს" წელს საჩემპიონატო ასპარეზზე უკეთეს შემთხვევაში ბრინჯაოს მედლების მოპოვება თუ ხელეწიფება. შესაბამისად, აქცენტი თასზე გადაიტანა, რაც შექმნილ ვითარებაში სავსებით ლოგიკურია. ისე დაემთხვა, რომ "ვიტ ჯორჯიას" და "ოლიმპს" ერთმანეთთან შეხვედრა ოთდღიან პერიოდში ორჯერ მოუწიათ - სამი დღის წინ ეროვნული ჩემპიონატის კალენდარულ ტურში, ხოლო გუშინ - თასის ნახევარფინალში. საფეხბურტო წრეებში ალაპარაკდნენ იმაზე, რომ "ოლიმპი" "ვიტ ჯორჯიას" სამ ქულას არ "დააამადლიდა", ხოლო ვეტერინარები რუსთაველებს სამაგიერო "ძღვენს" თასის ფინალისკენ "გატარებით" მიართმევდნენ. როგორც საჩემპიონატო, ისე გუშინდელი - სათასო მატცი მეტად მხიარული და ამ პროგნოზების შესაბამისი გამოდგა. მხოლოდ ფაქტებს ვიტყვი, რაც, თავისთავად, უკვე ბადებს არც თუ უსაფუძვლო ეჭვებს. ჩემპიონატის თამაში მოიგო იმან, ვისაც უფრო ჭირდებოდა - ვეტერინარებმა ოთხი დღის წინ 3:1 გაიმარჯვეს და ლიდერობა შეინარჩუნეს. გუშინ კი ასევე უხვგოლიან დაპირისპირებაში "ოლიმპმა" იმარჯვა, რომელმაც 4:2 დაამარცხა მეტოქე. ეჭვებს ისიც აძლიერებს, რომ ქართულმა ტოტალიზატორებმა, რომლებმაც ბოლო პერიოდში საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის და თასის თამაშებიც შეიტანეს პროგრამაში, "ოლიმპი" - "ვიტ ჯორჯიას" დაპირისპირება ამ პროგრამიდან საერთოდ ამოიღეს და ფსონები არ მიიღეს. თავად თამაშებიც, არაერთი თვითმხილველის აზრით, საკმაოდ უნიჭოდ დადგმული სპექტაკლები უფრო იყო, ვიდრე "ფეირ პლეის" პრინციპებით შემდგარი პატიოსანი დაპირისპირება. იმედია, საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია და პროფესიული ფეხბურთის ლიგა ამ საკითხს სათანადო ყურადღებას დაუთმობენ და თუ ხსენებულ ეჭვებში სიმართლეს აღმოაჩენენ, დამნაშავეებს მკაცრად დასჯიან. ასეა თუ ისე, "ოლიმპმა" 4:2 გაიმარჯვა და ფინალს საკმაოდ მოუახლოვდა, რომელიც 30 მაისს თბილისში, ბორის პაიჭაძის ეროვნულ სტადიონზე გაიმართება.

### ბოლო ადგილი პორტუგალიაში

წარუმატებელი გამოდგა ახალგაზრდა ქართველი ხელბურთელების პორტუგალიური ვოიაჟი.

ქალაქ გუარდაში დასრულებულ მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში საქართველოს 21 წლამდელთა ნაკრებმა ევროპული ზონის მე-2 ჯგუფში სამივე მატჩი წააგო და ბოლო, მე-4 ადგილზე გავიდა.

საქართველოს ნაკრებმა პირველი მატჩი თურქეთთან 19:32 დათმო, შემდეგ პორტუგალიასთან - 17:39, ხოლო ბელგიასთან - 24:34 დამარცხდა.

გუარდაში გამართული მინიტურნირი მოიგო მასპინძელმა პორტუგალიამ. მან სამივე შეხვედრა დიდი უპირატესობით მოიგო.

განვლილ მატჩებში საქართველოს ნაკრებმა ასეთი შემადგენლობით იასპარეზა: გიგა ტორონჯაძე (სტუ), დავით სულიკაშვილი (ბროვარი, უკრაინა), ლუკა ჩიხლაძე (მამული), იური ქანთარია (თბილისი), გიორგი ჩიქოვანი (ქარიშხალა), ირაკლი ჩიქოვანი (მეტალოპლასტიკა, სერბეთი), ზურაბ მელქოშვილი (ქარიშხალა), გაგა სამყურაშვილი (შევარდენი), დავით მძელური (რუსთავი), თემურ ლეჟავა (იაპონია), ვანო ქარდავა (თბილისი), ნიკა ჯორბენაძე (ქარიშხალა), ირაკლი თევზაძე (სამტრედია), გოგიტა ნიკურაძე (სამტრედია).

### უეფა უკრაინას ამოწმებს

2012 წლის ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპს უკრაინა და პოლონეთი უმასპინძლებენ. უკრაინაში არსებული არასტაბილური პოლიტიკური ვითარების გამო უცხოურ პრესაში ისიც კი ითქვა, რომ ამ ქვეყანას კონტინენტის პირველობის მასპინძლობის უფლებას ჩამოართმევდნენ. ამჟამად უკრაინაში იმყოფება უეფას დელეგაცია, რომელსაც ორგანიზაციის პრეზიდენტი მიშელ პლატინი ხელმძღვანელობს. 15 აპრილს კიევის ფეხბურთის სახლში გაიმართება ერთობლივი სხდომა, რომელშიც უკრაინის ფეხბურთის ფედერაციის წარმომადგენლებიც მიიღებენ მონაწილეობას. პლატინი მხოლოდ კიევს ეწვია და რომელიმე ობიექტის ინსპექტირებას არ მოახდენს. ფეხბურთის ფრანგ ფუნქციონერს მიაწვდიან აღრიცხვას, რომლის საფუძველზეც 8 მაისს ევრო 2012-ის მატჩების მასპინძელი ქალაქები გაირკვევა.

### შუსტერის აზრით, რონალდუ "რეალს" არ სჭირდება

უკვე დიდი ხანია მადრიდის რეალს სურს მანჩესტერის პორტუგალიელი ვარსკვლავის კრიშტიანუ რონალდუს გადაბირება, რომელსაც ბოლო დროს სერ ალექს ფერგიუსონიც აკრიტიკებს. გადავა თუ არა რონალდუ რეალში , უცნობია. სამაგიეროდ ცნობილია, თუ რას ფიქრობს ამ ტრანსფერთან დაკავშირებით რეალის ყოფილი მწვრთნელი, გერმანელი სპეციალისტი ბერნდ შუსტერი. ერთ-ერთ ესპანურ გამოცემასთან საუბარში გერმანელმა ის პერიოდიც გაიხსენა, როდესაც თავად წვრთნიდა რეალს და კლუბის მესვეურები რონალდუს შეძენას აპირებდნენ. რონალდუს ტრანსფერის წარუმატებლად დასრულების შემთხვევაში, სამი-ოთხი ფეხბურთელის შეძენა ვითხოვე. ამიხსნეს, რომ თუ პორტუგალიელს შეიძენდნენ, სხვა ტრანსფერების განსახორციელებლად საჭირო ფული აღარ დარჩებოდათ. საერთოდ, გუნდს არ ესაჭიროებოდა ისეთი მოთამაშე, როგორიც რონალდუა. მისი ყიდვა თავად ხელმძღვანელობას სურდა. ვიცოდი, რომ ის ჩვენს ყველა პრობლემას ვერ გადაწყვეტდა - კრიშტიანუ დაცვაში არ მონაწილეობს და არც დაცვის ფლანგზე თამაში შეუძლია. მიკვირს, რომ მათ არ შეიძინეს არც ერთი ის მოთამაშე, რომელთა საკუთარ გუნდში ხილვაც ვისურვე. კალდერონმა მითხრა, რომ თანხა მხოლოდ რონალდუს შესაძენად იყო საკმარისი, მაგრამ ვილიას, ფაბრეგასის ან დანი ალვეშის ყიდვა შეუძლებელი იქნებოდა , - თქვა შუსტერმა.

### კურანი "შალკეში" რჩება

გელზენკირხენის შალკეს ფორვარდი კევინ კურანი მზადაა დაიწყოს კლუბთან მოლაპარაკება კონტრაქტის გაგრძელების თაობაზე. გასულ ზაფხულს კურანის გადაბირება ინგლისურ ბლექბერნს სურდა. ეს კლუბი ახლაც ცდილობს ფეხბურთელის ყიდვას. ამჟამად მე მთლიანად შალკეში თამაშზე ვარ კონცენტრირებული. გუნდში თავს ბრწყინვალედ ვგრძნობ და, იმედია, ეს ვითარება არ შეიცვლება. მინდა შალკეში დავრჩე და ალბათ ზაფხულში კლუბთან კონტრაქტსაც გავაგრძელებ , - ამბობს კურანი.

### ვალდესი "ბარსელონაში" დარჩება

კატალონიური ბარსელონას მეკარის ვიქტორ ვალდესის აგენტის ხინეს კარხავალის განცხადებით, მისი კლიენტი კლუბთან კონტრაქტს ზაფხულში გააახანგრძლივებს.

ვალდესთან დაკავშირებით სხვა კლუბებთან მოლაპარაკება არ გამიმართავს. ბარსელონას მესვეურებმა განაცხადეს, რომ ვიქტორთან კონტრაქტის გაგრძელება სურთ. ზაფხულამდე არაფერს ვეგემავთ. ზაფხულში კი ალბათ ბარსასთან გავახანგრძლივებთ კონტრაქტს. თუ კონტრაქტის გაგრძელება არ მოხერხდა, სხვა კლუბებზე მხოლოდ ამის შემდეგ დავიწყებთ ფიქრს.

### ვან პერსი ზაფხულს ელოდება

არსენალის ჰოლანდიელი ფორვარდის რობინ ვან პერსის აზრით, არსებობს დიდი ალბათობა იმისა, რომ ის ლონდონში დარჩება და ვენგერის გუნდში გააგრძელებს კარიერას. არადა, ვან პერსის რამდენიმე ევროპული გრანდი იწვევს, მათ შორის ბარსელონაც .

კლუბის მესვეურებთან კონტრაქტის გახანგრძლივების თაობაზე რამდენიმე შეხვედრა გავმართე. შემდეგ ვენგერმა თქვა, ზაფხულამდე ამ საკითხის განხილვა არ მსურსო. პირადად მე ამაში პრობლემას ვერ ვხედავ. დაველოდები ზაფხულს. მთავარია, რომ კლუბს ჩემი შენარჩუნება სურს, მე კი - არსენალში დარჩენა. ასე რომ, ჯარიერას ალბათ ლონდონში გავაგრძელებ , - ამბობს ვან პერსი.

### ნიჰატი იმედიანადაა

არსენალისა და ვილიარეალის ჩემპიონთა ლიგის პირველი მეოთხედფინალური მატჩი, რომელიც ესპანეთში გაიმართა, ფრედ - 1:1 დასრულდა. განმეორებით მატჩის წინ, რომელიც დღეს ლონდონში უნდა გაიმართოს, უპირატესობას არსენალი ფლობს. თანაც მყვინთავებს ორი წამყვანი ფეხბურთელიც დააკლდება. მიუხედავად ამისა, ვილიარეალის თურქი შემტევი ნიჰატი იმედიანადაა.

სენასა და კასორლას არყოფნა ჩვენი გუნდისთვის უდიდესი დანაკლისი იქნება. თუმცა ახლა ამაზე არ ვფიქრობთ. დასაკარგი არაფერი გვაქვს და ყველაფერს გავაკეთებთ ნახევარფინალში გასასვლელად. რა თქმა უნდა, ეს ადვილი არ იქნება. არსენალი სერიოზული მეტოქეა, მაგრამ მჯერა ჩვენი გუნდის და იმედი მაქვს, ნახევარფინალში სწორედ ჩვენ ვითამაშებთ , - აცხადებს ნიჰატი.

### ოპტიმისტი დონადონი

იტალიური ნაპოლის ახალი მთავარი მწვრთნელი რობერტო დონადონი იმედოვნებს, რომ სულ მალე მისი გუნდი სატურნირო ცხრილში მდგომარეობას გამოასწორებს.

ყველა ის მატჩი, რომელიც გუნდმა ჩემი მეთაურობით ჩაატარა, სასარგებლო იყო. გუნდი სწორ გზას ადგას და შედეგიც მალე იქნება , - ამბობს დონადონი.

ამავე დროს სკუადრა აძურას ყოფილმა თავკაცმა აღიარა, რომ მილანის მწვრთნელობა სურდა. მართალი არ ვიქნები, თუ ვიტყვი, რომ მილანის მწვრთნელობა არ მინდოდა. ბავშვობიდან ამ გუნდის ქომაგი ვარ. თანაც ძალიან მომწონს კარლო ანჩელოტის მუშაობის სტილი .

### იოლი "ჰამბურგის" ერთგულია

ხვალ გერმანული ჰამბურგი უეფას თასის განმეორებით მეოთხედფინალურ მატჩში ინგლისურ სიტის დაუპირისპირდება. თამაშის წინ ჰამბურგის მთავარმა მწვრთნელმა განაცხადა, რომ კლუბში თავს ბედნიერად გრძნობს და არსად წასვლას არ აპირებს. ამ განცხადების გაკეთება იოლს იმისთვის დასჭირდა, რომ ბოლო ხანს ჰოლანდიელი სპეციალისტი ბრიტანულ მედიას ჯიუტად გადაჰყავს მანჩესტერ სიტიში .

ჰამბურგი დიდებული კლუბია. ევროპაში ბევრი კლუბი ვერ დაიკვეხნის ასეთ გულშემატკივრს და კლუბში შექმნილ ატმოსფეროს. აქ თავს ბედნიერად ვგრძნობ. სეზონის ბოლოს კონტრაქტის გაგრძელებასაც ვაპირებ. ასე რომ, არსად არ წავალ , - ამბობს იოლი.

### "მილანის" ახალი სამიზნე

იტალიური მედიის ინფორმაციით მილანი ბუნდესლიგის ლიდერ ვოლფსბურგის 23 წლის ბოსნიელ მეგოლე ედინ ჯეკოს აკვირდება.

როსონერის სკაუტები დაესწრნენ ვოლფსბურგი - ბაიერნის მატჩს, რომელიც მგლებმა ანგარიშით 5:1 მოიგეს, ჯეკომ კი დუბლი მოითავა.

ჭაბუკმა ბოსნიელმა მიმდინარე სეზონში ფლოეს მაგათის გუნდს 16 გოლი შეაწია და პრემიერლიგურ კლუბთა დაინტერესებაც დაიმსახურა.

# აბა, ჩემს შვილს ხომ არ მოვჭრი თავს?!

როგორც ჩანს, სწორედ ამ პრინციპით იხელმძღვანელა რუმინეთის რაგბის კავშირმა, თორემ "ფარული - დინამოს სკანდალური მატჩის დეტალების თითქმის ექვსსაათიანი განხილვის შემდეგ ასეთ ვერდიქტს არ გამოიტანდა.

რაგბის გულშემატკივრამა კარგად იცის, რაც მოხდა. ამ ჩხუბის ვიდეოჩანაწერი ინტერნეტშიც დაიდო და ქართულმა ტელევიზიებმაც აჩვენეს. ჰოდა, ვინც ეს ჩანაწერი ნახა, თვალნათლივ დაინახა, რომ ჩხუბი დინამოელებმა ატეხეს და ყველაზე მეტად "ფარულის ქართველი მორაგბეები დაშავდნენ. ეს იყო შურისძიება, რაც მორაგბეებს ნამდვილად არ ეკადრებათ. რუმინელებმა საქართველოში განცდილი მარცხის გამო ბოღმა ჩაიდეს გულში და რუმინეთში მოთამაშე ქართველებზე იყარეს ჯავრი.

რუმინეთის რაგბის კავშირმა კი დიდი სჯა-ბაასის შემდეგ გადაწყვიტა, რომ ინციდენტის მთავარი დამნაშავე ქართული მხარეა და ისედაც დაშავებული ქართველი მორაგბეები მკაცრად დასაჯა.

საქართველოს ნაკრების 9 ნომერ ბიძინა სამხარაძეს მოძალადისთვის წიხლის ჩარტყმის გამო 10-მატჩიანი დისკვალიფიკაცია მისცეს და 1 000 ლეის (დახლოებით 250 ევრო) გადახდა დააკისრეს. "ფარულის" მეორე მორაგბე, რომლის დასჯაც რუმინელებმა გადაწყვიტეს, გიორგი ხოსიტაშვილია, რომელსაც ირაკლი ნატრიაშვილისა და კახა უჩავას შემდეგ ყველაზე მეტი მოხვდა. ის 7 მატჩს გამოტოვებს და 600 ლეის გაიღებს. მკაცრი სასჯელი გამოუტანეს "ფარულის" პრეზიდენტსაც, რომელიც კონსტანცელთა 12 მატჩს ვერ დაესწრება და 3 000 ლეის გადაიხდის.

ბუქარესტის "დინამოსგან" 7 მორაგბე დაისაჯა და მათგან სამხარაძის დარი სასჯელი მხოლოდ ერთმა - დარიე კურეამ მიიღო - 10 თამაში და 1 000 ლეი. დანარჩენ ექვსს - ვალენტინ კალაფეტეანუს, კოსტიკა მერსოიუს, ნიკოლას რუშს, კოზმინ რატოიუს, სტელიან ბურკეას და ფლავიუს დობრეს 7-7 თამაშის გამოტოვება და ჯიბის 600-600 ლეით შემსუბუქება მოუწევთ. დაისაჯა "დინამოს" მთავარი მწვრთნელი დანიელ ნეაგაც და ბუქარესტის სტადიონიც. ყველაზე საოცარი კი ის არის, რომ დინამოელთა მწვრთნელი ნეაგა, რომელიც თავის შეგირდებს აქეზებდა, მიდით, ქართველებს ურიტყით, მსუბუქად დასაჯეს.

იმის გამო, რომ რუმინული რაგბის მამებმა ინციდენტი არაობიექტურად განსაჯეს, გამორიცხული არ არის, საქართველოს რაგბის კავშირმა ევროპული და მსოფლიო რაგბის სათავო ორგანიზაციაში ეძებოს სამართალი.

# ქეცბაიამ ანორთოსისი დატოვა

ცნობილი გახდა, რომ წარსულში სახელოვანმა ფეხბურთელმა, ამჟამად კი სამწვრთნელო ასპარეზზე ასევე წარმატებით მომუშავე თემურ ქეცბაიამ ანორთოსისის მთავარი მწვრთნელის პოსტი დატოვა.

AFP-ს ცნობით, 40 წლის ქეცბაია კვიპროსული გუნდის ხელმძღვანელობასთან მთელი დღის განმავლობაში მართავდა მოლაპარაკებს. მიუხედავად იმისა, რომ ფამაგუსტელები მის გაშვებას არ თანხმდებოდნენ, ბოლოს მაინც თავისი გაიტანა.



გადადგომის მიზეზად ქეცბაიამ ის ფაქტი დაასახელა, რომ მან ანორთოსისს კვიპროსის ჩემპიონის ტიტული ვერ შეუნარჩუნა, თუმცა ალბათ ეს დიდი ვერაფერი მიზეზია იმის გათვალისწინებით, რომ თემურმა ანორთოსისის ისტორიაში ახალი და ყველაზე წარმატებული ფურცელი ჩაწერა. სწორედ მისი დამსახურებაა, რომ ევროპული საზომით მოკრძალებული ანორთოსისი ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე გავიდა. წესით. კვიპროსელებს ჯგუფური ტურნირის ბარიერიც უნდა დაეძლიათ, მაგრამ გულშემატკივარს კარგად ახსოვს, რომ ბოლო ორ ტურში ჟოზე მოურინიოს ინტერმა უბრალოდ აღარ ითამაშა და ბერძნულ ოლიმპიაკოსს და ვერდერს ქულები აჩუქა .

ამ ცოტა ხნის წინ აქტიურად საუბრობდნენ ინგლისური ნიუკასლის სამწვრთნელო შტაბში ქეცბაიას გამოჩენაზე, თუმცა, კაჭკაჭებმა გუნდის სადავეები ლეგენდარულ ალან შირერს ჩააბარეს.

გამორიცხული არ არის, რომ ქართველ სპეციალისტს სხვა სერიოზული შეთავაზებებიც ჰქონდეს. შესაძლოა სწორედ ეს იქცა ანორთოსისიდან წასვლის მთავარ მიზეზად.

# სტიპენდიატთა რიცხვი იზრდება

ფონდი არველაძის თაოსნობით ათვრამ კარგ საქმეს ჩაეყარა საფუძველი. ამ ფონდის წყალობით რამდენიმე ქართველმა ახალგაზრდამ შესაძლოა დიდ ფეხბურთშიც შეაბიჯოს. ფონდი არველაძეს ოთხი სტიპენდიატი უკვე ჰყავს. სულ მალე მათი რიცხვი გაიზრდება. ფონდს სხვა ახალი პროექტებიც აქვს. სწორედ ამ საკითხებს ეძღვნება ინტერვიუ არჩილ არველაძესთან, რომელიც ფონდის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნდა.

**- როდის ეყოლება ფონდი არველაძეს ახალი სტიპენდიატები?**

- სავარაუდოდ, მაისში. ვაპირებთ, რომ კიდევ ორ-სამ მოზარდს დავუნიშნოთ სტიპენდია. ორი სტიპენდიატი ალბათ ბორჯომიდან გვეყოლება.

**- სტიპენდიას გამორჩეულ მოზარდებს უნიშნავთ. კონკრეტულად რა მიზანს ემსახურება სტიპენდიის გამოყოფა?**

- უცხო ენის შესწავლა, დაზღვევა, საფეხბურთო სკოლაში გადასახდელი თანხის დაფარვა, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში სწავლის საფასურის გადახდა, სპორტული ინვენტარით და, თუ საჭიროა, ბინით უზრუნველყოფა - ფონდის მიერ დანიშნული სტიპენდია ამ ხარჯებს უნდა მოხმარდეს. სტიპენდიანტთა მშობლებთან ჯენტლმენური შეთანხმება გვაქვს იმაზე, რომ თანხა მიზნობრივად დაიხარჯოს. რალაცას ჩვენც ვაკონტროლებთ.

**- სტიპენდიატებისთვის ასაკობრივი ცენზი არ მოქმედებს?**

- სტიპენდიატები ფონდისგან მანამდე მიიღებენ დახმარებას, სანამ პროფესიონალურ გუნდში არ მოხვდებიან.

**- დაახლოებით რამდენი სტიპენდიატის ყოლას აპირებთ? ამ მიმართულებისთვის რა რესურსი აქვს ფონდი არველაძეს ?**

- თუ ფონდის ბიუჯეტი გაიზრდება, მომატებს სტიპენდიატთა რაოდენობაც. თუ ასე არ მოხდა, შეძლებისდაგვარად ვიმოქმედებთ.

**- სასტიპენდიო თანხა ყველასთვის ერთი და იგივეა?**

- არა. თუმცა არც დიდი სხვაობაა. ზოგს მეტი დახმარება სჭირდება. მაგალითად, ზოგიერთ სტიპენდიატს ბინის ქირის თანხასაც ვაძლევთ.

**- ახალგაზრდა ფეხბურთელების მივლინება უცხოეთში - ამ მხრივ თუ არის სიახლეები ფონდის საქმიანობაში?**

9. აუქციონის დროს შედგენილი გამარჯვებულის გამოვლენის დამადასტურებელი ოქმი წარმოადგენს წერილობით ხელშეკრულებას, ოქმის ხელმოწერაზე უარის თქმა ართმევს გამარჯვებულ მონაწილეს გამარჯვებულის სტატუსს, მყიდველი ვალდებულია აუქციონის ჩატარებიდან 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის განმავლობაში დაფაროს მის მიერ აუქციონზე დასახელებული, გასაყიდი ობიექტის საბოლოო გამოსასყიდი თანხა, წინააღმდეგ შემთხვევაში მყიდველს არ მიეცემა საკუთრების უფლება.

11. გასაყიდი ობიექტებისა და აუქციონის შესახებ დამატებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია საკონტაქტო პირისაგან: გ. ჩიხრაძე, ტელ: 895 58-14-58.

## განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. ჯანმრთელობისა და სოციალური პროგრამების სააგენტო (ქ. თბილისი, რუსთაველის გამზირი N12) აცხადებს საერთაშორისო ტენდერს 2009 წლის სამედიცინო დახმარების სხვა სახელმწიფო პროგრამების ორგანოთა და ქსოვილთა ტრანსპლანტაციისა და თირკმლის ჩანაცვლებითი თერაპიის სახელმწიფო პროგრამის მიხედვით სამედიცინო მომსახურების შესყიდვის მიზნით და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

2. შესყიდვის ობიექტია: თირკმლის ტერმინალური უკმარისობით დაავადებულთა უზრუნველყოფა ჰემო და პერიტონეული დიალიზით; სისხლძარღვოვანი მიდგომის უზრუნველყოფა.

***შენიშვნა: ტენდერში გამარჯვებულმა ორგანიზაციამ (ორგანიზაციებმა) 2009 წლის 1 ივნისიდან 31 დეკემბრის ჩათვლით უნდა უზრუნველყოს ჰემოდიალიზის არანაკლებ 76167 (მათ შორის დეკემბერი - 10881) სეანსის და პერიტონეული დიალიზის არანაკლებ 69720 (მათ შორის დეკემბერი - 9960) სეანსის ჩატარება, საქართველოს ტერიტორიაზე განლაგებულ სპეციალიზებულ სამედიცინო დაწესებულებში გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის დაცვით.***

3. მომსახურების გაწევის ვადაა 2009 წლის 1 ივნისიდან 2009 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

4. სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილია ქართულ ენაზე. მონაწილეობის მსურველ პირებს სატენდერო დოკუმენტაციის მიღება შეეძლებათ 2009 წლის 8 მაისის 18 საათამდე, მას შემდეგ, რაც გადაიხდიან 200 ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებელს შემდეგ ანგარიშზე: სახაზინო სამსახურის ერთიანი ანგარიშის N200122900, სახელმწიფო ხაზინა, კოდი 220101222, სახაზინო კოდი 302003174, გადახდის დანიშნულება - სატენდერო მოსაკრებელი, ჯანმრთელობისა და სოციალური პროგრამების სააგენტო. სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს შეეძლებათ შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, რუსთაველის გამზირი N12, მე-4 სართული, ოთახი N413.

5. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება (ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად) უნდა წარმოადგინონ არაუგვიანეს 2009 წლის 11 მაისს 10-დან 13 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, რუსთაველის გამზირი N12, მე-6 სართული, სააქტო დარბაზი. ***დაგვიანებით შემოსული სატენდერო წინადადებებს სატენდერო კომისია არ განიხილავს და გაუხსნელად უბრუნებს წარმომდგენ პირებს.***

6. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

6.1. იურიდიული პირისათვის:

ა) შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საიდენტიფიკაციო კოდი, საბანკო რეკვიზიტები);

ბ) სამეწარმეო რეესტრის ამონაწერი (საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურიდან);

გ) ცნობა, რომ შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმისწარმოება (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნას სასამართლოდან რეგისტრაციის ადგილის მიხედვით).

6.2 ფიზიკური პირისათვის:

ა) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ქსეროასლი;

ბ) დოკუმენტი გადასახადის გადამხდელად დარეგისტრირების შესახებ (საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურიდან);

გ) ცნობა, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმისწარმოება (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნას სასამართლოდან საცხოვრებელი ადგილის მიხედვით).

6.3 დამატებითი მოთხოვნები როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის: დაწესებულების სალიცენზიო მოწმობა და/ან ცნობა იმის თაობაზე, რომ დოკუმენტაცია კონკრეტული საქმიანობების მიხედვით შესაბამისობაშია მოყვანილი მოქმედ კანონმდებლობასთან.

7. ყველა საკვალიფიკაციო მონაცემი წარმოდგენილი უნდა იქნას ერთი ეგზემპლარი ორიგინალის ან ნოტარიულად დამოწმებული ასლის სახით, დანარჩენი 2 ეგზემპლარი ქსეროასლის სახით.

8. მე-6 პუნქტში მითითებული საკვალიფიკაციო მონაცემები უცხო ქვეყნის იურიდიული ან ფიზიკური პირის მიერ წარმოდგენილი უნდა იქნას შესაბამისი ქვეყნის სათანადო ორგანოდან, დადგენილი წესით დამოწმებული თარგმანის სახით.

9. ტენდერში მონაწილეობის მსურველს უფლება აქვს მიიღოს ტენდერში მონაწილეობა ქვეკონტრაქტორთან ერთად, იმ პირობით, რომ ქვეკონტრაქტორიც გაივლის საკვალიფიკაციო შეფასებას ზემოთ აღნიშნული მოთხოვნების გათვალისწინებით.

10. განცხადების 6.1. და 6.2. პუნქტებში მითითებული ცნობები გაცემული უნდა იყოს ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადების გამოქვეყნების შემდეგ.

11. პრეტენდენტებს უფლება აქვთ წარმოადგინონ როგორც ძირითადი, ისე ალტერნატიული სატენდერო წინადადება (წინადადებები).

12. ტენდერში გამოვლინდება ერთი ან რამდენიმე გამარჯვებული.

13. ტენდერში გამოყენებული იქნება სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის (სატენდერო წინადადების 1%-ის ოდენობით) და ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის (ხელშეკრულების 2%-ის ოდენობით) მექანიზმი, საბანკო გარანტიის ან სადაზღვევო კომპანიის მიერ გაცემული გარანტიის სახით.

14. ტენდერში მონაწილებისი მსურველ პირებს სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდე, შეუძლიათ გაეცნონ სატენდერო დოკუმენტაციას მისამართზე: ჯანმრთელობისა და სოციალური პროგრამების სააგენტო, ქ. თბილისი, რუსთაველის გამზირი N12, მეოთხე სართული, ოთახი N413.

15. ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადების მე-12 პუნქტითა და სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრული მოთხოვნები/დოკუმენტები შემდგომ დაზუსტებას/შევსებას არ ექვემდებარება.

16. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან - სატენდერო კომისიის აპარატის წევრები: ალექსანდრე მამალაძე, ლალი დევიძე, გულსუნდა ონიანი ტელ.: 936629, მისამართზე: ჯანმრთელობისა და სოციალური პროგრამების სააგენტო, ქ. თბილისი, რუსთაველის გამზირი N12, მეოთხე სართული, ოთახი N413.

სატენდერო კომისია

## განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. ჯანმრთელობისა და სოციალური პროგრამების სააგენტო (ქ. თბილისი, რუსთაველის გამზირი N12) აცხადებს ტენდერს 2009 წლის სამედიცინო დახმარების სხვა სახელმწიფო პროგრამების ორგანოთა და ქსოვილთა ტრანსპლანტაციისა და თირკმლის ჩანაცვლებითი თერაპიის სახელმწიფო პროგრამის მიხედვით სამედიცინო მომსახურების შესყიდვის მიზნით და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

2. შესყიდვის ობიექტია: თირკმლის ტრანსპლანტაციის ოპერაციის ჩატარება.

3. მომსახურების გაწევის ვადაა 2009 წლის 1 ივნისიდან 2009 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

4. სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილია ქართულ ენაზე. მონაწილეობის მსურველ პირებს სატენდერო დოკუმენტაციის მიღება შეეძლებათ 2009 წლის 8 მაისის 18 საათამდე, მას შემდეგ, რაც გადაიხდიან 200 ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებელს შემდეგ ანგარიშზე: სახაზინო სამსახურის ერთიანი ანგარიშის N200122900, სახელმწიფო ხაზინა, კოდი 220101222, სახაზინო კოდი 302003174, გადახდის დანიშნულება - სატენდერო მოსაკრებელი, ჯანმრთელობისა და სოციალური პროგრამების სააგენტო. სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს შეეძლებათ შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, რუსთაველის გამზირი N12, მე-4 სართული, ოთახი N413.

5. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება (ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად) უნდა წარმოადგინონ არაუგვიანეს 2009 წლის 11 მაისს 10-დან 13 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, რუსთაველის გამზირი N12, მე-6 სართული, სააქტო დარბაზი. ***დაგვიანებით შემოსული სატენდერო წინადადებებს სატენდერო კომისია არ განიხილავს და გაუხსნელად უბრუნებს წარმომდგენ პირებს.***

6. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

6.1. იურიდიული პირისათვის:

ა) შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საიდენტიფიკაციო კოდი, საბანკო რეკვიზიტები);

ბ) სამეწარმეო რეესტრის ამონაწერი (საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურიდან);

გ) ცნობა, რომ შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმისწარმოება (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნას სასამართლოდან რეგისტრაციის ადგილის მიხედვით);

6.2 ფიზიკური პირისათვის:

ა) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ქსეროასლი;

ბ) დოკუმენტი გადასახადის გადამხდელად დარეგისტრირების შესახებ (საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურიდან);

გ) ცნობა, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმისწარმოება (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნას სასამართლოდან საცხოვრებელი ადგილის მიხედვით).

6.3 დამატებითი მოთხოვნები როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის: დაწესებულების სალიცენზიო მოწმობა და/ან ცნობა იმის თაობაზე, რომ დოკუმენტაცია კონკრეტული საქმიანობების მიხედვით შესაბამისობაშია მოყვანილი მოქმედ კანონმდებლობასთან.

7. ყველა საკვალიფიკაციო მონაცემი წარმოდგენილი უნდა იქნას ერთი ეგზემპლარი ორიგინალის ან ნოტარიულად დამოწმებული ასლის სახით, დანარჩენი 2 ეგზემპლარი ქსეროასლის სახით.

8. მე-6 პუნქტში მითითებული საკვალიფიკაციო მონაცემები უცხო ქვეყნის იურიდიული ან ფიზიკური პირის მიერ წარმოდგენილი უნდა იქნას შესაბამისი ქვეყნის სათანადო ორგანოდან, დადგენილი წესით დამოწმებული თარგმანის სახით.

9. ტენდერში მონაწილეობის მსურველს უფლება აქვს მიიღოს ტენდერში მონაწილეობა ქვეკონტრაქტორთან ერთად, იმ პირობით, რომ ქვეკონტრაქტორიც გაივლის საკვალიფიკაციო შეფასებას ზემოთ აღნიშნული მოთხოვნების გათვალისწინებით.

10. განცხადების 6.1. და 6.2. პუნქტებში მითითებული ცნობები გაცემული უნდა იყოს ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადების გამოქვეყნების შემდეგ.

11. პრეტენდენტებს უფლება აქვთ წარმოადგინონ როგორც ძირითადი, ისე ალტერნატიული სატენდერო წინადადება (წინადადებები).

12. ტენდერში გამოვლინდება ერთი ან რამდენიმე გამარჯვებული.

13. ტენდერში გამოყენებული იქნება სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის (სატენდერო წინადადების 1%-ის ოდენობით) და ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის (ხელშეკრულების 2%-ის ოდენობით) მექანიზმი, საბანკო გარანტიის ან სადაზღვევო კომპანიის მიერ გაცემული გარანტიის სახით.

14. ტენდერში მონაწილებისი მსურველ პირებს სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდე, შეუძლიათ გაეცნონ სატენდერო დოკუმენტაციას მისამართზე: ჯანმრთელობისა და სოციალური პროგრამების სააგენტო, ქ. თბილისი, რუსთაველის გამზირი N12, მეოთხე სართული, ოთახი N413.

15. ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადების მე-12 პუნქტითა და სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრული მოთხოვნები/დოკუმენტები შემდგომ დაზუსტებას/შევსებას არ ექვემდებარება.

16. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან - სატენდერო კომისიის აპარატის წევრები: ალექსანდრე მამალაძე, ლალი დევიძე, გულსუნდა ონიანი ტელ.: 936629, მისამართზე: ჯანმრთელობისა და სოციალური პროგრამების სააგენტო, ქ. თბილისი, რუსთაველის გამზირი N12, მეოთხე სართული, ოთახი N413.

სატენდერო კომისია

13 აპრილი, 2009წ.

მუდმივმოქმედი არბიტრაჟი "დავების განმხილველი ცენტრი"

DRC-ს სასამართლო

**მხარისათვის შეტყობინების მიზნით სხდომის დღის პუბლიკაციის შესახებ**

DRC-ის საარბიტრაჟო სასამართლოს წარმოებაშია ს/ს ბანკი "რესპუბლიკა"-ს საარბიტრაჟო პრეტენზია შორენა ფაფიას, მაკა ქაჯაიას, იოსებ ანთიას, ინგა შედანიასა და ინგიშტერ მიქელბაიას მიმართ, საკრედიტო დავალიანების - **4 523.45 ლარის** ანაზღაურების შესახებ.

ხსენებული საქმის განხილვის მიზნით სასამართლო სხდომა დანიშნულია 2009 წლის 22 აპრილი 12:30 საათზე, მუდმივმოქმედ არბიტრაჟ "დავების განმხილველი ცენტრში" შემდეგ მისამართზე - ქ.თბილისი, ვაჟა-ფშაველას N71, I სართული.

ხსენებული სხდომის შესახებ შეტყობინებულ იქნეს მოპასუხე შორენა ფაფია, მცხ: ზუგდიდი, კოკი; მაკა ქაჯაია, მცხ: ზუგდიდი, შენგელაიას 25; იოსებ ანთია, მცხ: გარდაბანი, საერთო საცხოვრებელი N2, ბინაN5; ინგა შედანია, მცხ: ზუგდიდი, ს.კახეთი და ინგიშტერ მიქელბაია, მცხ: ზუგდიდი, ჯანაშიას 8/2;

## განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლოების დეპარტამენტი აცხადებს ტენდერს სატელევიზიო მომსახურეობის სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

**1. შესყიდვის ობიექტი -** სარეკლამო რგოლების გაშვება.

- სატელევიზიო ბადის შედგენა და სარეკლამო რგოლების განთავსება ელექტრონულ მედია საშუალებებში.

- სასამართლოს მიერ განხორციელებული აქტივობების გაშუქება ელექტრონულ მედიაში.

(სარეკლამო ხასიათის სიუჟეტების მომზადება და გაშუქება რუსთავი-2 სა და იმედის ეთერით);

2. სატენდერო წინადადება და საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა იყოს შედგენილი ქართულ ენაზე და წარმოდგენილი დედნის ან ნოტარიულად დამოწმებული ასლების სახით სატენდერო კომისიის აპარატში 2009 წლის 5 მაისს 11:00 საათიდან 14:00 საათამდე, მისამართზე: **ქ.თბილისი, ძმ. ზუბალაშვილების N32 (შემოსასვლელი არსენას ქუჩიდან), მეორე სართული, საერთო სასამართლოების დეპარტამენტი**.

3. პრეტენდენტის საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

**3.1 იურიდიული პირისათვის:**

ა) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;

ბ) ცნობა სასამართლოდან, რომ იურიდიული პირის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება;

გ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ ხორციელდება იურიდიული პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;

დ) ცნობა საჯარო რეესტრის სააგენტოს ადგილობრივი ორგანოდან, რომ იურიდიული პირის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა.

ე) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან იურიდიული პირის რეგისტრაციის ადგილის მიხედვით, ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არარსებობის შესახებ.

ვ) ცნობა მომსახურე ბანკიდან საბანკო ანგარიშზე ყადაღის (ინკასოს) არარსებობის შესახებ.

ზ) შესყიდვების სააგენტოდან წერილობითი დადასტურება, რომ იგი არ არის შესული შესყიდვებში მონაწილე არაკეთილსინდისიერი პირების, პრეტენდეტების და მიმწოდებლების სიაში;

**3.2. ფიზიკური პირისათვის:**

ა) ცნობა უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია;

ბ) ცნობა, რომ ფიზიკური პირის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება;

გ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არარსებობის შესახებ.

დ) ცნობა მომსახურე ბანკიდან საბანკო ანგარიშზე ყადაღის (ინკასოს) არარსებობის შესახებ.

ე) შესყიდვების სააგენტოდან წერილობითი დადასტურება, რომ იგი არ არის შესული შესყიდვებში მონაწილე არაკეთილსინდისიერი პირების, პრეტენდეტების და მიმწოდებლების სიაში;

**3.3 როგორც იურიდიული, ასევე ფიზიკური პირისათვის:**

ა) ინფორმაცია პერსონალის კვალიფიციკაციის და გამოცდილების შესახებ;

ბ) ინფორმაცია უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში განხორციელებული ან მოცემულ პერიოდში მიმდინარე ანალოგიური მომსახურეობის შესახებ;

4.პრეტენდენტების მიერ განცხადების მე-3 პუნქტის შესაბამისად წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები საკვალიფიკაციო შერჩევის დროს შემდგომ დაზუსტებას არ ექვემდებარება.

*შენიშვნა: მომსახურების გასაწევად სუბ-კონტრაქტორ(ებ)ის აყვანის შემთხვევაში, პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი უნდა იყოს ასევე სუბ-კონტრაქტორ(ებ)ის საკვალიფიკაციო მონაცემები მე-3 მუხლის მიხედვით;*

*ზემოთაღნიშნული საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები უნდა იყოს გაცემული/შედგენილი წინამდებარე განცხადების გამოქვეყნების თარიღის შემდგომ პერიოდში.*

5.თუ პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ყალბი აღმოჩნდება, ან ვერ დააკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, სატენდერო კომისიას უფლება აქვს მოახდინოს ამ პირის დისკვალიფიკაცია შესყიდვის ნებისმიერ ეტაპზე, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების დადებამდე.

6.სატენდერო მოსაკრებელი 200 ლარის ოდენობით უნდა იყოს გადახდილი შემდეგ რეკვიზიტებზე:

**მიმღების დასახელება**: საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური, ერთიანი ანგარიში N200122900; საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი N 302005300

**გადახდის დანიშნულება** - სატენდერო მოსაკრებელი, სატელევიზიო მომსახურეობის სახელმწიფო შესყიდვის ტენდერი, საერთო სასამართლოების დეპარტამენტი.

7.სატენდერო დოკუმენტაცია (ქართულ ენაზე) გაიცემა 2009 წლის 15 აპრილიდან 2009 წლის 4 მაისის 18:00 საათამდე სატენდერო კომისიის აპარატში ზემოთ აღნიშნულ მისამართზე გადახდის დამადასტურებელი საბუთის წარმოდგენის შემდგომ. ტენდერში მონაწილეობის მიღების მსურველ პირს ზემოაღნიშნულ მისამართზე უფლება აქვს სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდე გაეცნოს სატენდერო დოკუმენტაციას, რომელიც შედგენილ იქნება ქართულ ენაზე.

8.პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს ერთი სატენდერო წინადადება. ალტერნატიული წინადადებები არ განიხილება. ტენდერის შედეგად გამოვლინდება ერთი ან რამდენიმე გამარჯვებული.

9.პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია, გაცემული ბანკის ან საქართველოში ლიცენზირებული სადაზღვევო კომპანიის მიერ. საგარანტიო თანხის ოდენობა განისაზღვრება პრეტენდენტის სატენდერო წინადადების ღირებულების 1% ოდენობით;

10.ტენდერის შედეგად გამოვლენილ გამარჯვებულთან ხელშეკრულების გაფორმებისას გამოყენებული იქნება ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმი (საბანკო გარანტიის სახით) ხელშეკრულების ღირებულების 3% ოდენობით.

11.შენიშვნა: არარეზიდენტმა ფიზიკურმა/იურიდიულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნის უფლებამოსილი ორგანოების მიერ გაცემული საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები, რომლებსაც თან უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული თარგმანი ქართულ ენაზე.

12. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან: ტატა კაპანაძე, ნათია თელია, მისამართზე ქ. თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. N32 (საერთო სასამართლოების დეპარტამენტი). ტ. 911189;

**სატენდერო კომისია**

## განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო, მდებარე ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზ. N6, 2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესაბამისად, პროგრამით - "სოფლის მეურნეობის დარგის გამოფენების მოწყობის ღონისძიებები" - გათვალისწინებული ასიგნებების ფარგლებში, აცხადებს ხელახალ ტენდერს შემდეგ საერთაშორისო გამოფენაში მონაწილეობის ორგანიზების უზრუნველსაყოფად:

**Food Ingredients Europe, ქ.ფრანკფურტი, გერმანია, 17-19 ნოემბერი, 2009**

და ტენდერში მონაწილეობის მისაღებად იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს.

მომსახურების გაწევის ადგილია ქ. ფრანკფურტი, გერმანია.

მომსახურების გაწევის სავალდებულო ვადაა 2009 წლის 17-19 ნოემბერი.

2. გასაწევი მომსახურების დეტალური აღწერა მითითებული იქნება სატენდერო დოკუმენტაციაში.

3. დაინტერესებულმა პირებმა ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო წინადადება და საკვალიფიკაციო მონაცემები (დალუქული კონვერტებით, შესაბამისი აღნიშვნებით) უნდა წარმოადგინონ 2009 წლის 14 მაისის 10 საათიდან 17 საათამდე შემდეგ მისამართზე: საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო, მის: ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზ. N6, 1-ლი სართული, ოთახი N106-107.

4. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

ა) ტენდერში მონაწილე პირის რეკვიზიტებს (მისამართი, ტელეფონი, საბანკო რეკვიზიტები);

ბ) ცნობა საგადასახადო ორგანოდან რომ არ ხორციელდება ტენდერში მონაწილე პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია, (იურიდიული პირის შემთხვევაში);

გ) ცნობა სასამართლოდან, რომ არ მიმდინარეობს ტენდერში მონაწილე პირის გადახდისუუნარობის საქმის წარმოება;

დ) ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, ტენდერში მონაწილე პირის საჯარო სამართლებრივი შეზღუდვის არარსებობის შესახებ;

ე) ცნობა შესაბამისი საგადასახადო ორგანოდან ბიუჯეტის მიმართ დავალიანების არარსებობის შესახებ;

ვ) სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს წერილი, რომ პრეტენდენტი არ არის რეგისტრირებული შესყიდვებში მონაწილე არაკეთილსინდისიერ პირთა რეესტრში;

ზ) ინფორმაცია შესასყიდი მომსახურების სფეროში გაწეული საქმიანობის შესახებ;

5. შერჩევის ეტაპზე შემდგომ დაზუსტებას არ ექვემდებარება განცხადების მე-4 პუნქტში მითითებული ინფორმაცია (გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც საჭირო გახდება საკვალიფიკაციო მონაცემების ხელახალი დადასტურება და ასევე "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-15 მუხლის მე-3 და მე-5 პუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევებისა).

6. საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადებები არ ჩაითვლება მისაღებად და არ დაიშვება შეფასებისათვის თუ პრეტენდენტი მე-3 პუნქტით დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-4 პუნქტსა და სატენდერო დოკუმენტაციაში მითითებულ ყველა შესაბამის დოკუმენტსა და ინფორმაციას, რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება ან ვერ დააკმაყოფილებს აღნიშნულ პუნქტებით დადგენილ მოთხოვნებს.

7. ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს 200 (ორასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის წარმოდგენის შემდეგ შეეძლებათ 2009 წლის 15 აპრილის 10 საათიდან 13 მაისის 18 საათამდე (შაბათ-კვირის გარდა), მარშალ გელოვანის გამზ. N6, 1-ლი სართული, ოთახი N106-107.

8. ტენდერში მონაწილეობის მსურველი პირების მიერ სატენდერო მოსაკრებელი გადახდილი უნდა იქნეს შემდეგ ანგარიშზე: მიმღები: ხაზინის ერთიანი ანგარიში 200122900, ბანკი: სახელმწიფო ხაზინა, ბანკის კოდი: 220101222, სახაზინო კოდი: 302004400, სოფლის მეურნეობის სამინისტროს სატენდერო მოსაკრებელი, ს/კ 203843010.

9. ტენდერში გამოიყენება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის 3%-ანი მექანიზმი საბანკო გარანტიის ფორმით.

10. შესყიდვაში მონაწილეობის მსურველ ნებისმიერ პირს უფლება აქვს სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდე გაეცნოს სატენდერო დოკუმენტაციას.

11. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ სატენდერო კომისიის აპარატში, მისამართზე: საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო, მის: ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზ. N6, 1-ლი სართული, ოთახი N106-107. ტელ. 378012.

**საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სატენდერო კომისია**

---

**14 აპრილი 2009 წელი ქ. თბილისი**
**N 09/1-141**

## დადგენილება
## შპს "ჯგუფი მილენიუმის" მუდმივმოქმედი კერძო არბიტრაჟის სახელით საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების თაობაზე

შპს ჯგუფი მილენიუმის მუდმივმოქმედ კერძო არბიტრაჟში იხილება პრეტენდენტების: **ნათია ბზიშვილის და თამაზ ხორავას** საარბიტრაჟო პრეტენზია მოპასუხე **ზურაბ დანელიას, როგორც ნანა მორბედაძის წარმომადგენლის** მიმართ დავალიანების გადახდის თაობაზე.

**2007 წლის 26 დეკემბრის სესხის და იპოთეკის** ხელშეკრულების საფუძველზე პრეტენდენტები **ნათია ბზიშვილი და თამაზ ხორავა** ითხოვენ **მოპასუხე ზურაბ დანელიასგან** სესხის და იპოთეკის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას: 1) ***ნათია ბზიშვილი*** ითხოვს: ა) **11 200 აშშ დოლარს** - სესხის ძირითად თანხას. ბ) **ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირგასამტეხლოს, სესხის ძირითადი თანხის 0,3%-ის დაკისრებას, რაც შეადგენს 33,60 აშშ დოლარს ყოველდღიურად, 2008 წლის 26 ივლისიდან საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულებამდე.** 2) **თამაზ ხორავა** ითხოვს: ა) **4 180 აშშ დოლარს** - სესხის ძირითად თანხას. ბ) **ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირგასამტეხლოს, სესხის ძირითადი თანხის 0,3%-ის დაკისრებას, რაც შეადგენს 12,54 აშშ დოლარს ყოველდღიურად, 2008 წლის 26 ივლისიდან საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულებამდე.** პრეტენდენტებმა **ასევე მოითხოვეს მათ მიერ გადახდილი საარბიტრაჟო მოსაკრებლის და საარბიტრაჟო განხილვის სხვა ხარჯების მოპასუხეზე დაკისრება. აღნიშნული ვალდებულებების შესრულებას პრეტენდენტები ითხოვენ იპოთეკით დატვირთული უძრავი ქონების იძულებით აუქციონზე რეალიზაციის გზით.** საარბიტრაჟო სხდომა ვერ ჩატარდა და რამდენჯერმე გადაიდო იმის გამო, რომ მოპასუხის ადგილსამყოფელი უცნობია და მისთვის საქმის მასალების და საარბიტრაჟო უწყების ჩაბარება სხვაგვარად ვერ მოხერხდა. აღნიშნულიდან გამომდინარე, არბიტრაჟმა იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის **მე-12** და **78-ე** მუხლებით, შპს ჯგუფი მილენიუმის მუდმივმოქმედი კერძო არბიტრაჟის დებულების **6.16-ე** მუხლით და

**დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. **მოპასუხე ზურაბ დანელიას, თავად და ასევე, როგორც ნანა მორბედაძის წარმომადგენელს, მცხოვრებს ქ. თბილისი, ბალანჩივაძის ქ. კორპ. 40, ბ. 8 გაეგზავნოს საჯარო** შეტყობინება იმის თაობაზე, რომ პრეტენდენტების: **ნათია ბზიშვილის** და **თამაზ ხორავას** საარბიტრაჟო პრეტენზიის განხილვა ჩატარდება **2009 წლის 27 აპრილს, 15.00 სთ-ზე შპს ჯგუფი მილენიუმის მუდმივმოქმედ კერძო არბიტრაჟში, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ივ. ჯავახიშვილის ქ. 50.**

აღნიშნული დადგენილების გაზეთში გამოქვეყნებიდან **მე-7** დღეს საარბიტრაჟო უწყება მოპასუხისთვის ჩაბარებულად ითვლება.

**არბიტრაჟის თავმჯდომარე: /იასონ ადამაშვილი/**

---

## შპს "საქართველოს რკინიგზა" აცხადებს კონკურსს

**ქუთაისის სალოკომოტივო დეპოს ადმინისტრაციული შენობის 49.73კვ.მ ფართში, სასადილოს მოწყობის მიზნით დროებით სარგებლობაში, იჯარის ფორმით გაცემის შესახებ**

**1. ძირითადი საინფორმაციო მონაცემები**

**- საიჯარო ქონების მისამართი-** ქუთაისის სალოკომოტივო დეპოს ადმინისტრაციული შენობა

**- იჯარით გასაცემი ფართი - 49.73 კვ.მ**

**- საწყისი საიჯარო ქირა თვეში - 30 ლარი (დღგ-გარეშე)**

**- "ბე" - 30 ლარი**

**- იჯარის ვადა - 3 წელი**

**- განაცხადების მიღების ადგილი - ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზირი N15, შპს " საქართველოს რკინიგზის" ადმინისტრაციული შენობა, მე-4 სართული**

ტელ: 56 33 48; 56 65 10

**- განაცხადების მიღების ვადა** - 2009 წლის 15 აპრილიდან 2009 წლის 28 აპრილის ჩათვლით. 10:00 საათიდან 17:00 საათამდე.

**- კონკურსის ჩატარების ადგილი და დრო** - მონაწილის წინადადებების შემცველი კონვერტების გახსნის თარიღი, 2009 წლის 29 აპრილი ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზირი N15, შპს "საქართველოს რკინიგზის" ადმინისტრაციულ შენობაში 14:00 საათზე.

**- შპს "საქართველოს რკინიგზის" საბანკო რეკვიზიტები** - "ბანკი რესპუბლიკა", ცენტრალური ფილიალი, ა/აN3407003205, ბანკის კოდი N220101757, საიდენტიფიკაციო კოდი N202886010.

**- კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ** - საქართველოს ან უცხო ქვეყნის ფიზიკურ და იურიდიულ პირებს.

**2. კონკურსის პირობები**

2.1 მოიჯარის მიერ საიჯარო ქირის ყოველთვიურად გადახდა.

2.2 მოიჯარე ვალდებულია უზრუნველყოს, იჯარით აღებული ქონების მოვლა-პატრონობა, ხანძარსაწინააღმდეგო, უსაფრთხოების და სანიტარული ნორმების დაცვა.

2.3 იჯარით აღებულ ფართზე, კომუნალურ გადასახადებსა და დაცვის ხარჯებს იხდის მოიჯარე;

2.4 ხელშეკრულების მოშლის ერთ-ერთ საფუძველს წარმოადგენს საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2007 წლის 7 ივნისის N1-1/875 ბრძანებით დამტკიცებული "სახელმწიფოს 50%-ზე მეტი წილობრივი მონაწილეობით არსებული საწარმოების ბალანსზე რიცხული ძირითადი საშუალებების განკარგვისა და გადაცემის წესის შესახებ" დებულების მე-5 მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული პირობის დადგომა;

2.5 შპს "საქართველოს რკინიგზის" დასაბუთებული მოთხოვნის შემთხვევაში, რომ საწარმოს, საკუთარი მიზნებისათვის ესაჭიროება საიჯარო ფართი, მოიჯარე ვალდებულია გაფრთხილებიდან 1 თვის ვადაში გაანთავისუფლოს აღნიშნული ფართი.

*3. საუკეთესო წინადადებების გამოვლენის კრიტერიუმები*

3.1 საუკეთესო წინადადების გამოვლენის კრიტერიუმია: საკონკურსო პირობების სრულად დაკმაყოფილება და მაქსიმალური საწყისი საიჯარო ქირის შემოთავაზება, რომელიც უნდა აღემატებოდეს გამოცხადებულ საწყის საიჯარო ქირას.

*4. იჯარის ხელშეკრულების დადება*

4.1 კონკურსის ჩატარებიდან არაუგვიანეს 30 კალენდარული დღის განმავლობაში, გამარჯვებული მონაწილე ვალდებულია შპს "საქართველოს რკინიგზასთან" გააფორმოს იჯარის ხელშეკრულება.

4.2 მიჯარე ვალდებულია, ყოველ 6 თვეში ერთხელ, შპს "საქართველოს რკინიგზას" წარუდგინოს ანგარიში, იჯარის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების თაობაზე.

4.3 სახელშეკრულებო ვალდებულებების შეუსრულებლობის ფაქტის გამოვლენის შემთხვევაში მოიჯარე იღებს გაფრთხილებას წერილობითი ფორმით, სადაც მიეთითება ვადა დარღვევის აღმოსაფხვრელად. ამასთან, თუ მოიჯარე დაარღვევს საიჯარო ქირის გადახდის ვადებს იგი ჯარიმდება ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადაუხდელი თანხის 0.1%-ის ოდენობით (ჯარიმა მოიჯარეს ეკისრება წინასწარი გაფრთხილების გარეშე).

4.4 თუ გაფრთხილებით გათვალისწინებულ ვადაში მოიჯარე არ აღმოფხვრის დარღვევას ან უარს განაცხადებს ჯარიმის გადახდაზე, შპს "საქართველოს რკინიგზას" უფლება აქვს ცალმხრივად მოშალოს იჯარის ხელშეკრულება. ამ შემთხვევაში მოიჯარე კარგავს გაწეული ხარჯებისა და ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას.

*5. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად წარსადგენი დოკუმენტები*

5.1 დამტკიცებული ფორმის მიხედვით შევსებული განაცხადი, რომელშიც სავალდებულოა აისახოს საიჯარო ქონების დასახელება და კონკურსანტის თანხმობა გამოცხადებული საკონკურსო პირობების შესრულებაზე.

5.2 კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი წინადადებები, მოთავსებული ცალკე კონვერტში, რომელიც ილუქება კონკურსანტის მიერ. წინადადებები საიჯარო ქირის შესახებ მოცემული უნდა იყოს კონკრეტული რიცხვის (მითითებით) სახით. დაუშვებელია აპელირება სხვის წინადადებაზე ასეთი წინადადებები არ განიხილება)

5.3 **"ბე"-ს გადახდის ქვითარი -** "ბე" გადაიხდება შპს "საქართველოს რკინიგზის" ანგარიშსწორების ანგარიშზე, საზოგადოების საბანკო რეკვიზიტების მიხედვით.

5.4 კონკურსში მონაწილე ფიზიკური პირის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის მონაცემები ან ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა თუ იგი მოქმედებს სხვა პირის სახელით.

5.5 იურიდიული პირები დამატებით წარადგენენ, სადამფუძნებლო დოკუმენტების ნოტარიულად დამოწმებულ ასლებს.

5.6 კონკურსში მონაწილეთა ზონარგაყრილ დავთარში განაცხადის რეგისტრაციის მომენტიდან, განმცხადებელი იძენს კონკურსში მონაწილის სტატუსს.

5.7 კონკურსის მონაწილეს ან მის უფლებამოსილ წარმომადგენელს უფლება აქვს დაესწროს მხოლოდ კონვერტის გახსნას. ამასთან, მონაწილეთა წინადადებებს საკონკურსო კომისია იხილავს მათი დასწრების გაერშე.

5.8 გადაწყვეტილება, კონკურსში საუკეთესო წინადადების გამოვლენის შესახებ ცხადდება, როგორც წესი, კონვერტის გახსნის დღეს. ამასთან, საკონკურსო კომისიას უფლება აქვს გადაწყვეტილება საუკეთესო წინადადების გამოვლენის შესახებ გამოაცხადოს კონვერტის გახსნიდან არაუმეტეს 5 სამუშაო დღის განმავლობაში.

5.9 კონკურსი ითვლება არშემდგარად, თუ კონკურსის გამოქვეყნებიდან დადგენილ ვადაში არ იქნა შეტანილი არც ერთი განაცხადი ან წარმოდგენილი განაცხადებიდან არც ერთი არ შეესაბამება კონკურსის პირობებს.

*6. შენიშვნები და დათქმები*

6.1 მოიჯარეს გადახდილი "ბე" ჩაეთვლება, ხელშეკრულებით გათვალისწინებული საბოლოო თვის ანგარიშსწორებისას.

6.2 დადგენილი ვადის შემდეგ შემოსული საკონკურსო განაცხადი არ მიიღება.

6.3 განაცხადის შემოსვლის თარიღი განისაზღვრება მისი რეგისტრაციის თარიღით.

6.4 თუ განაცხადების მიღების ბოლო დღე ემთხვევა დასვენების დღეს, მაშინ განაცხადების მიღება გრძელდება და შეწყდება მომდევნო პირველსავე სამუშაო დღის, იმავე საათზე.

6.5 მეიჯარეს უფლება აქვს, ნებისმიერ დროს შეუფერხებლად დაათვალიეროს იჯარით გაცემული ქონება, მათ შორის შეამოწმოს მოიჯარის მიერ ტექნიკური უსაფრთხოების, ხანძარსაწინააღმდეგო და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის მდგომარეობა.

საქართველოს რკინიგზა
GEORGIAN RAILWAY

**საიჯარო ქონებაზე დამატებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია შპს "საქართველოს რკინიგზაში"**
ტელ.: 56 33 48
56 65 10

VTB

# გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

## ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია" აცხადებს ღია ტენდერს სამშენებლო -სარეკონსტრუქციო და სარემონტო სამუშაოების შესყიდვაზე ორ ლოტად.

1) შესყიდვის ობიექტი: ქ. თბილიში, ჭანტურიას ქ. №14-ში მდებარე ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას" ცენტრალური ოფისის სამშენებლო-სარეკონსტურქციო და სარემონტო სამუშაოები.

- ლოტი I:–სარდაფი, ცოკოლის სართული და პირველი სართული. სარემონტო სარეკონსტრუქციო სამუშაოები, საერთო ფართით 1933.70 მ$^2$ ორ ეტაპად.
- ლოტი II:–სართულის დაშენების სამუშაოები, საერთო ფართით 1096.20 მ$^2$ ორ ეტაპად.

2) ტენდერში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა დაინტერესებულ ქართულ და უცხოურ იურიდიულ პირს.

3) სატენდერო დოკუმენტაცია ქართულ ენაზე პრეტენდენტებს გადაეცემათ, მოთხოვნისთანავე, სამუშაო საათებში 4.05.2009წ. 12.$^{00}$ საათამდე შემდეგ, მისამართზე – ქ. თბილისი, დ.უზნაძის ქ. №37, მე-4 სართული, შესყიდვების კოორდინაციის ჯგუფი.

4) პრეტენდენტებმა სატენდერო წინადადებები უნდა შეადგინონ მიღებული სატენდერო დოკუმენტაციის შესაბამისად, შესყიდვის ობიექტის და ლოტების მიხედვით, ტენდერში ლოტების მიხედვით გამოვლინდება ერთი ან რამოდენიმე გამარჯვებული.

5) ტენდერში გამარჯვებულმა პრეტენდენტმა, სამუშაოები უნდა დაიწყოს ხელშეკრულების გაფორმებიდან ორი დღის განმავლობაში და დაასრულოს სატენდერო დოკუმენტაციაში მითითებული სავალდებულო სამუშაოთა განხორციელების გეგმა-გრაფიკის შესაბამისად, ან შესაძლებლობის შემთხვევაში უფრო ნაკლებ ვადაში მისი სატენდერო წინადადების შესაბამისად, მოთხოვნილი ეტაპების თანმიმდევრობის დაცვით.

6) ტენდერში მონაწილეობის მსურველებმა, საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტაცია, სხვა მოთხოვნილი ინფორმაცია და სატენდერო წინადადებები დედნების სახით (შევსებული ხარჯთაღრიცხვა ელექტრონული ვერსიის სახითაც, დისკზე.) უნდა წარმოადგინონ ქართულ ენაზე (ან ინგლისურ ენაზე, ქართულ ენაზე ნოტარიულად დამოწმებული თარგმანის დართვით), ორი დახურული კონვერტით (სატენდერო წინადადება და შევსებული ხარჯთაღრიცხვა ცალკე კონვერტში, ხოლო საკვალიფიკაციო მონაცემების დამდასტურებელი და სხვა მოთხოვნილი დოკუმენტები და ინფორმაცია ცალკე კონვერტში) ხელმძღვანელის ან მის მიერ უფლებამოსილი პირის მეშვეობით, მისამართზე: ქ. თბილისი, დ. უზნაძის ქ. №37, მე-4 სართული, შესყიდვების კოორდინაციის ჯგუფი.

7) ტენდერში მონაწილე პრეტენდნენტებმა, საკვალიფიკაციო მონაცემების დამდასტურებელი, ასევე სხვა მოთხოვნილი დოკუმენტები და შევსვებული სატენდერო წინადადებები უნდა წარმოადგინონ 11.05.09წ. 16$^{00}$ საათამდე: სატენდერო წინადადება უნდა შეიცავდეს ტენდერში მონაწილეობის მსურველის დასახელებას, იურიდიულ და ფაქტიურ მისამართს, ტელეფონი/ფაქსი, ანაგრიშსწორების ზუსტ რეკვიზიტებს.

8) პრეტენდენტის მიერ, სატენდერო წინადადებასა და საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელ დოკუმენტაციასთან ერთად წარმოდგენილი უნდა იქნას ინფორმაცია მისი სუბკონტრაქტორების შესახებ (არსებობის შემთხვევაში) და მათი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტაცია, მე-13 პუნქტის შესაბამისად.

9) პრეტენდენტთა მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადებები უნდა იყოს ხელმოწერილი და ბეჭედდასმული პრეტენდენტი იურიდიული პირის ხელმძღვანელის მიერ, ხელმოუწერელი სატენდერო წინადადებები არ განიხილება.

10) ალტერნატიული სატენდერო წინადადებების წარმოდგენა დაუშვებელია.

11) დაგვიანებით შემოსულ განაცხადებს, საკვალიფიკაციო მონაცემებს და სატენდერო წინადადებებს სატენდერო კომისია არ განიხილავს და გაუხსნელად უბრუნებს წარმომდგენ პირებს.

12) პრეტენდენტების საკვალიფიკაციო მონაცემების და სატენდერო წინადადებების გახსნა მოხდება ქ. თბილიში, დ. უზნაძის ქ. №37, ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას" სათაო ოფისში, წინადადებების წარმოდგენის ვადის დასრულების შემდეგ.

13) საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

- ცნობას საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ პრეტენდენტის ქონებზე არ არის დადებული ყადაღა; (უცხოური კომპანიის შემთხვევაში – შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან);_____ აღნიშნული მოთხოვნა ვრცელდება პრეტენდენტის სუბკონტრაქტორზეც.
- ცნობას სასამართლოდან, რომ პრეტენდენტის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება, (უცხოური კომპანიის შემთხვევაში – შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან- აღნიშნული მოთხოვნა ვრცელდება პრეტენდენტის სუბკონტრაქტორზეც.
- ცნობას საგადასახადო სამსახურიდან, რომ არ მიმდინარეობს მისი რეორგნიზაცია ან ლიკვიდაცია; (უცხოური კომპანიის შემთხვევაში – შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან).-აღნიშნული მოთხოვნა ვრცელდება პრეტენდენტის სუბკონტრაქტორზეც.
- ამონაწერი საგადასახადო სამსახურიდან რეგისტრაციის შესახებ.-_აღნიშნული მოთხოვნა ვრცელდება პრეტენდენტის სუბკონტრაქტორზეც.
- სატენდერო წინადადების უზრუნველყოფა, სატენდერო წინადადების ჯამური ღირებულების 1%-ის ოდენობით, ერთ-ერთი ფორმით :
  1) საბანკო გარანტია, საქართველოში რეგისტრირებული, ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიასათვის" მისაღები, რომელიმე ბანკიდან.
  2) ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიაში" განთავსებული შესაბამისი თანხის დეპოზიტი..
- ტენდერში მონაწილეობის მსურველი პრეტენდენტის ფინანსური მდგომარეობის ამსახველი ინფორმაცია (წარმოდგენილი უნდა იქნას გასული წლის აუდირებული ფინანსური უწყისები, სასურველია აუდიტის დასკვნის თანხლებით). ამასთან ბანკი იტოვებს უფლებას აღნიშნული ინფომაცია მოსთხოვოს ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტს, მოთხოვოს აუდიტის დასკვნა და თუ აღმოჩნდება მატერიალური განსხვავება მანამდე წარმოდგენილ ფინანსურ უწყისებთან გააუქმოს გადაწყვეტილება ტენდერში გამარჯვებულის გამოვლენის შესახებ.
- დეტალური ინფორმაცია ბოლო ორი წლის განმავლობაში განხორციელებული მსგავსი სამუშაოების შესახებ. ( აუცილებელია პრეტენდენტს და/ან მის საკვანძო თანამდებობებზე მყოფ თანამშრომლებს ქონდეთ მსაგავსი საქმიანობის მინიმუმ ერთი წლის გამოცდილება,)- აღნიშნული მოთხოვნა ვრცელდება პრეტენდენტის სუბკონტრაქტორზეც.
- სატენდერო დოკუმენტაციაში მითითებული, ბანკის სატენდერო კომისიისათვის წარსადგენი სამშენებლო მასალების წარმოშობის და ხარისხის შესაბამისობის დამდასტურებელი სერთიფიკატები. (ან შესაბამისი დოკუმენტები)
- ინფორმაცია ტექნიკური აღჭურვილობის შესახებ.- აღნიშნული მოთხოვნა ვრცელდება პრეტენდენტის სუბკონტრაქტორზეც.
- ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიაში" ანგარიშსწორების ანგარიშის გახსნის წერილობით ვალდებულებას, ხელმოწერილს პრეტენდენტის ხელმძღვანელის მიერ, (იხ.პუნქტი 16.)

14) საკვალიფიკაციო შერჩევა მოხდება წარმოდგენილი დოკუმენტაციის ზემოთ ჩამოთვლილ კრიტერიუმებთან შედარების საფუძველზე. პრეტენდენტები, რომელთა საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი ან სხვა მოთხოვნილი დოკუმენტაცია არ იქნება წარმოდგენილი სრულყოფილად ან ყალბი აღმოჩნდება ვერ გაივლიან საკვალიფიკაციო შერჩევას და არ დაიშვებიან შეფასებისათვის;

15) იმ პრეტენდენტებს, რომელთაც გახსნილი აქვთ ანგარიშსწორების ანგარიში ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიაში" (მინიმუმ ერთი წლის ბრუნვით,) სატენდერო წინადადებების შეფასებისას სხვა პრეტენდენტებთან თანაბარ პირობებში აღმოჩენის შემთხვევაში მიენიჭებათ უპირატესობა.

16) ტენდერში გამარჯვებული პრეტენდენტი, ვალდებულია გახსნას ანგარიში ს/ს „ვითიბი ბანკ ჯორჯიაში", ბანკის მიერ გამარჯვებულ პრეტენდენტთან სამუშაოების შესრულებასთან დაკავშირებით ანგარიშსწორება განხორციელდება ამ ანგარიშის მეშვეობით, ანგარიშის გახსნის ვალდებულება წერილობითი სახით (ხელმძღვანელის ხელმოწერით) წარმოდგენილ უნდა იქნას სატენდერო წინადადებასთან ერთად. – აღნიშნული მოთხოვნა ვრცელდება პრეტენდენტის სუბკონტრაქტორზეც.

17) ტენდერში გამოიყენება ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმი, სატენდერო დოკუმენტაციაში მითითებული ფორმით.

18) ტენდერში მონაწილეობის მსურველებს შეუძლიათ სატენდერო პროცედურებთან და შესყიდვის ობიექტთან დაკავშირებული ნებისმიერი მათთვის საჭირო ინფორმაცია, წერილობითი მიმართვის საფუძველზე მიიღონ მხოლოდ ბანკის რისკების სამმართველოს შესყიდვების კოორდინაციის ჯგუფის ქვემოთ მითითებული თანამშრომლებისაგან ასევე წერილობითი ფორმით, აგრეთვე გაეცნონ სატენდერო დოკუმენტაციას და დაათვალიერონ შესყიდვის ობიექტი მხოლოდ აღნიშული ჯგუფის თანამშრომელთა უშუალო მონაწილეობით.

19) დამატებითი ინფომაციისათვის მიმართეთ საკონტაქტო პირებს, სალომე კალანდაძე, გიორგი ჩიხრაძე, ტელ: 822 505-589; მობ: 895 58-14-58. G.chikhradze@vtb.com.ge; S.kalandadze@vtb.com.ge

**სატენდერო კომისია**

# გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

საჯარო სამართლის იურიდიული პირის ფერდინანდ თავაძის მეტალურგიისა და მასალათმცოდნეობის ინსტიტუტი აცხადებს ღია კონკურსს შემდეგი ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად:

· უფროსი მეცნიერი თანამშრომელი - სპეციალისტი არქეოლოგიურ - ეთნოგრაფიული ლითონური ნაკეთობების მეტალურგიული კვლევისა და ექსპერტიზის დარგში.

კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა განცხადებით უნდა მიმართონ ინსტიტუტის საკონკურსო კომისიას და თან დაურთონ შემდეგი საბუთები:

1. განმცხადებლის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი.
2. კალენდარული ავტობიოგრაფია (CV).
3. დასაკავებელი თანამდებობის შესაბამისი აკადემიური ან მასთან გათანაბრებული ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის ასლი.
4. გამოქვეყნებული ( მათ შორის ბოლო 5 წლის განმავლობაში) სამეცნიერო ნაშრომების ჩამონათვალი.
5. ერთი სამეცნიერო ნაშრომის სტატიის ასლი, რომელიც განმცხადებლის აზრით უკეთესად წარმოაჩენს მის სამეცნიერო პოტენციალს და კვლევის უნარს.
6. შესაბამისი დარგის სამი მეცნიერის საკონტაქტო ინფორმაცია, (სახელი, გვარი, ტელეფონი, ფაქსი, ელ.ფოსტა, მისამართი) რომელთაც შეიძლება რეკომედაცია გაუწიონ განმცხადებელს (სასურველია).
7. სამეცნიერო გრანტების ჩამონათვალი, რომელშიც მონაწილეობდა კონკურსანტი. (სასურველია).
8. პატენტების, საავტორო მოწმობების, ლიცენზიების, გამოყენების აქტების და სამეცნიერო მოღვაწეობასთან დაკავშირებული სხვა დამადასტურებელი დოკუმენტაციის ჩამონათვალი (სასურველია).

კონკურსში მონაწილეობის მსურველთა საბუთები მიიღება გაზეთში გამოქვეყნების დღიდან 21 დღის განმავლობაში სსიპ-ფერდინანდ თავაძის მეტალურგიისა და მასალათმცოდნეობის ინსტიტუტის კადრების განყოფილებაში, ყოველ დღე 10სთ.-დან - 17სთ-მდე, შაბათ -კვირის გარდა. მისამართი - ალ. ყაზბეგის გამზირი N 15; კადრების ინსპექტორი ი. ლობჟანიძე ტ: 38 16 22